


ვიტორე  
ეოკოლაძეძილი

საქართველოს  
რესპუბლიკის



საქართველოს  
რესპუბლიკის



„გნა -  
ბედისწერა“

გიორგი გოგოლაშვილი

ენა და მწერალი

3

საქართველო

„ენა – ბედისწერა“  
(ზიქრები ანა კალანდაძეზე)

 თბილისი 2019

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების  
ინსტიტუტი

„ენა და მწერალი“ ჩემი ფილოლოგიური  
ცხოვრების თანამდევია თემა... გადავწყვი-  
ტე, წიგნაკების სახით წარმომედგინა მკი-  
თხველისათვის ჩემი ნაფიქრი ჩემთვის  
ძვირფას მწერლებზე...

დღეს ანა კალანდაძეზე ვისაუბრებ...

რედაქტორი რუსუდან ლანდია

ტექნიკური რედაქტორი ლევან ვაშაიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა რუსუდან გრიგოლიასი

გარეკანი ნინო ებრაღიძისა

დაიბეჭდა თსუ-ის გამომცემლობის სტამბაში

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14

14 Ilia Tchavtchavadze Avenue, Tbilisi 0179

Tel 995 (32) 225 04 84, 6278

[www.press.tsu.edu.ge](http://www.press.tsu.edu.ge)

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2019

© არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 2019

ISBN 978-9941-13-813-3 (ჯველა წიგნის)

ISBN 978-9941-13-888-1 (წიგნი 3)

## შინაარსი

„ენა – ბედისწერა“ .....	5
ბრძანა ანამ.....	19
„პოეზიის ენა“ .....	28
სასვენ ნიშანთა „ანასეული სისტემა“	
ა) მრავალწერტილი .....	43
ბ) ძველი ქართული ენა და ანა კალანდაძე (სასვენ ნიშანთა „ანასეული სისტემის“ ახსნის ცდა).....	56
ფოთი სამი დღე ანას პოეზიით ცოცხლობდა .....	65
„ბევრი რამ არის ამქვეყნად ამოუხსნელი“ .....	76
დანართი: წინასიტყვა (სერიისათვის „ენა და მწერალი“) .....	95

## ენა და მწერალი

1. „შვენებით სავსე ქართული“ (ფიქრები დავით კლდიაშვილზე) – 2019
2. „ქართული ქართველთ რწმენა“ (ფიქრები მუსრან მაჭავარიანზე) – 2019
3. „ენა – ბედისწერა“ (ფიქრები ანა კალანდაძეზე) – 2019

გაგრძელება იქნება...

## ენა – ბედისწერა

\* \* \*

„მშობლიური ენის სულზეა მორგებული ანა კალანდაძის ხმა“, – ბრძანებს მუხრან მაჭავარიანი და სწორედ ქართული ენის სულს ხედავ, მის სიღიადეს გრძნობ, როცა კითხულობ ქალბატონი ანას ლექსს... ერთია ლექსში გამომწვევდელი სილამაზე და სილაღე ქართული ენისა და სხვაა პროზაული შეგონებანი ქალბატონი ანასი დედაენის თემაზე. მეოცე საუკუნის ქართველ კლასიკოსთაგან მიხეილ ჯავახიშვილისა და კონსტანტინე გამსახურდიას შემდეგ იმდენი არავის უფიქრია, უსაუბრია (და, შეიძლება ითქვას, უდარდია...) ქართული ენის შესახებ, რამდენიც ქალბატონ ანას!...

\* \* \*

პროფესორი ალექსანდრე მაჰომეტოვი იგონებდა: მეორე მსოფლიო ომის პერიოდი. უმაღლესი საინჟინრო განათლების მქონე დაღესტნელი (დარგოელი) სპეციალისტი აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას თვალთახედვის არეში მოხვდა; მოსწონებია ბ-ნ არნოლდს ალ. მაჰომეტოვის ლინგვისტური აზროვნება და ურჩევია, „შეეცვალა სპეციალობა“, გადმოსულიყო ლინგვისტთა ბანაკში... იმჟამად დაღესტნური ენების კვლევა ფართო მასშტაბით იგეგმებოდა... გადაწყდა, ალ. მაჰომეტოვს ბატონი არნოლდის ლექციები უნდა მოესმინა... შევედი აუდიტორიაში, – ბრძანებს ბ-ნი ალექსანდრე, – დავჯექი ბოლო მერხზე და დაველოდე სტუდენტებისა და პროფესორის შემოსვლას. წინა მერხზე ერთი გოგონა იჯდა. დაირეკა ზარი;

შემოვიდა აუდიტორიაში პროფესორი არნ. ჩიქობავა, მიიხურა კარი; დაიკავა თავისი ადგილი აუდიტორიაში და დაიწყო ლექციის კითხვა... ის ერთი გოგონა ანა კალანდაძე იყო... ჯგუფში ქ-ნი ანა ერთადერთი ყოფილა; პროფესორები იმ გოგონას უკითხავდნენ ლექციებს...

ამ ამბავს ასე იგონებს ქ-ნი ანა:

„მე რომ იმთავითვე ჩემდა უნებურად ენის, გრამატიკის „ცივ“ სამეფოში აღმოვჩნდი, ამას ბედისწერად ვთვლი, ჩემს ბედისწერად, — ეს ალბათ ასე უნდა მომხდარიყო, მხოლოდ და მხოლოდ ასე! კავკასიური ენების განყოფილებისაკენ ჩემი პოეტური ბუნება მეწეოდა; მეწეოდა, უპირველეს ყოვლისა, კავკასიის ეგზოტიკა!“ „გრამატიკამ“ დააფრთხო განყოფილების ის სტუდენტებიც, ჩემთან ერთად რომ ირჩიეს ამ განყოფილებაში გადასვლა. ისინი ყველანი „ძველ გზას“ დაუბრუნდნენ, ისევ ლიტერატურის სამყაროს მიაშურეს. „გაქცევის“ ცდები მეც მქონდა, მაგრამ უკვე ჩაბარებული (ე. წ. განსხვავებული) საგნები დამენანა და შევჩინე განყოფილებას ერთადერთი სტუდენტი! მაშ არ იყო ეს ბედისწერა?!“ (ხაზი ჩემია — გ. გ. ვიმოწმებთ გამოცემიდან: ანა კალანდაძე, ორტომეული, ტ. II, 1996, გვ. 153. შემდგომში მივუთითებთ მხოლოდ გვერდს).

„მაშ არ იყო ეს ბედისწერა?!“ — ემოციურად იკითხავს ქ-ნი ანა; დარწმუნებით იკითხავს...

დიას, ეს იყო ბედისწერა... ბედისწერა იყო ისიც, რომ მაღალი პოეტური სულის მქონე სტუდენტ გოგონას ენის ურთულეს ლაბირინთებში დაატარებდნენ არნოლდ ჩიქობავა და აკაკი შანიძე, ვარლამ თოფურია და ქეთევან ლომთათიძე, გიორგი როგავა და სხვანი... და სხვანი... ასე ხელჩაკიდებული მოატარეს გიორგი მერჩულისა და შოთა რუსთაველის ენობრივი სამყარო; ქართველური ენების საუფლო; აფხაზეთისა თუ ჩერქეზეთის, ჩეჩნეთისა თუ დაღესტნის ენობრივი სივრცეები...

ქ-ნი ანასთვის ერთ მოსკოველ ჟურნალიტს უკითხავს: „მოქმედებს თუ არა თქვენზე ენათმეცნიერული პროფესიული ცოდნა, თუ თქვენი ცხოვრების ეს ორი სფერო არ ჰკვეთს ერთმანეთსო?“

საგულისხმოა ქ-ნი ანას პასუხი: „ჩემმა „ენათმეცნიერულმა პროფესიულმა ცოდნამ“ ერთგვარად გაამდიდრა და გააღრმავა კიდევ ჩემი შემოქმედება. უდიდესი და უმდიდრესი ქართული ენა, სათანადო საენათმეცნიერო ლიტერატურა უხვად ასაზრდოებდა ჩემს პოეტურ წარმოსახვას. უძველესი სამეფოები, უძველესი ხალხები, მათი ყოფა, მათი ენები უდიდეს საზრდოს აწვდიდნენ ჩემს სულს. ლექსები – „მე მივაშურებ ურარტუს ქვაბებს“, „მათ ბალკანეთში პოვეს სადგური“ და სხვა ხომ უძველესი ისტორიული სურათების წარმოსახვის შედეგი გახლავთ?!“ (413).

სხვაგან კიდევ უფრო კონკრეტულად და ზუსტად მიაწინებებს თავისი შემოქმედებითი მოწოდებისა და პროფესიული საქმიანობის ურთიერთკავშირზე (ალბათ უფრო სწორი იქნება, ვისაუბროთ ურთიერთშეპირობებულობაზე):

„ჩემმა „პროფესიულმა ენათმეცნიერულმა ცოდნამ“ და ძველი ქართული ხელნაწერების განუმეორებელმა პოეტურმა გარემომ დიდი სამსახური გაუწია ჩემს მოწოდებას, გაამდიდრა ჩემი შემოქმედება. ვფიქრობ, უამისოდ ძალიან ბევრს დავკარგავდი!“ (77).

პოეტისათვის უშედეგოდ არც იმას ჩაუვლია, „უმდიდრესი საენათმეცნიერო ლიტერატურის დამუშავება-გაცნობას რომ მიჰქონდა მისი სტუდენტური დროის უდიდესი ნაწილი“... იტყვის, „მსოფლიოს უძველესი ხალხების ცხოვრებაში „ჩამახედა“, ჩემი ფიქრები თავს ევლებოდნენ ურარტუს ქვაბებს, ხეთების სამკვიდროს, მითანის სამეფოს და... ფეხდაფეხ მი-

ჰყვებოდნენ პელასგებს, რომლებიც უკვე „მკვიდრდებოდნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე“ (77).

ქართულ სიტყვასთან, ძველი ქართული ენის სამყაროსთან ქ-ნი ანას მჭიდრო კავშირი ერთ-ერთი უმთავრესი პირობა ჩანს მისი შემოქმედებითი წარმატებისა... „უნივერსიტეტში სრულად ვეზიარე მადლს ძველი ქართული ენისაო“ (77), ბრძანებს ქ-ნი ანა და განმარტავს:

„დღესაც ჩემი პროფესიის მიხედვით ქართულ სიტყვაზე მიხდება მუშაობა და ამდენად ჩემი კონტაქტი მასთან განუწყვეტელია (უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას წინადადებით მუშაობა დავიწყე ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილებაში)“... (77).

როცა ამ საკითხებზე ვსაუბრობთ (ძველ ქართულ ენასთან, ქართულ სიტყვასთან პოეტის დამოკიდებულებაზე), ერთ ძალიან საინტერესო ადგილს მოვიხმობ „საუბრებიდან“: „სამოციან წლებში ძველი ქართული ენის ფონდის შესავსებად ლექსიკოლოგიის განყოფილების თანამშრომლებმა ოშკის ბიბლიის (მეათე საუკუნე) ნუსხურად ნაწერი ტექსტი მხედრულით გადმოვიღეთ (ხელთ ფოტოპირები გვქონდა). „მეფეთა წიგნი“, „იგავნი სოლომონისანი“, „ეზეკიელი“, „ეზრა“, „ესთერი“, „ივლითი...“ უბედნიერესი წუთები იყო ჩემს ცხოვრებაში“ (137).

სწორედ ამ სამყაროში ტრიალი (ცხოვრება) ასაზრდოებდა ქ-ნი ანას პოეტურ განწყობას; იტყვის – „აქედან იყო მობერილი ჩემი განწყობაც ამ ლექსის შესაქმნელად“ – „ვერაინ ამჩნევს შენსა მშვენებას“. ეს უსათაურო ლექსი 1962 წელს დაიწერა“ (137).

ამ თემას არაერთგზის უბრუნდება ქ-ნი ანა: „ჩემმა „პროფესიულმა ენათმეცნიერულმა ცოდნამ“ და ძველი ქართული ხელნაწერების განუმეორებელმა პოეტურმა გარემომ დიდი

სამსახური გაუწია ჩემს მოწოდებას, გაამდიდრა ჩემი შემოქმედება. ვფიქრობ, უამისოდ ძალიან ბევრს დაკვარავალი!“ (77).

როცა ამ სერიის („ენა და მწერალი“) წინასიტყვაში კითხვა დავსვი – „რა არის ენა მწერლისათვის“, ალბათ ეს აზრიც უნდა მომეყვანა – აი, ეს არის ენა ანა კალანდაძისათვის...

ისიც გაკვეთილია პოეტი ქალბატონის მიერ თანამოკალმეებისადმი ჩატარებული, როცა თავისი სამაგიდო წიგნების შესახებ საუბრობს:

„ქართლის ცხოვრება“, საბას „სიტყვის კონა“, ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“, „ქართული ოთხთავის“ ორი ძველი რედაქცია (აკად. აკაკი შანიძის გამოცემა), „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეული (აკად. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით), ვარლამ თოფურიასა და ივანე გიგინეიშვილის „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“, ივანე იმნაიშვილის „ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი“ (ა. შანიძის რედაქციით), „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“ (მთ. რედ. ი. აბაშიძე), „რუსულ-ქართული ლექსიკონის“ ერთტომეული (ენათმეცნიერების ინსტიტუტის გამოცემა, სარედ. კოლეგიის თავმჯდომარე აკად. ქეთ. ლომთათიძე, მოადგილე – ფილოლ. მეცნ. კანდიდატი ალ. კობახიძე), „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“ (შემდგენელი ფილოლ. მეცნ. კანდიდატი მიხ. ჭაბაშვილი) – ჩემი სამაგიდო წიგნებია და ამიტომ მათ ყოველთვის ახლოს უნდა ვხედავდე“ (79).

ანუ: თუ გსურს რომ ენის სამყაროში „მკვიდრად ცხოვრობდე“; თუ გსურს რომ ღრმად და საფუძვლიანად იცოდე ქართული ენა, ამ წიგნებს „ყოველთვის ახლოს უნდა ხედავდე“... პოეტი კიდევ ერთხელ ხაზგასმით შენიშნავს, რა ასაზრდოებს მის პოეტურ ფანტაზიას: „ძველი ქართულისა და უმამაცეს მთიელთა ენის სურნელი ნაზად ერწყმოდა ერთმანეთს და ჩემს პოეტურ ფანტაზიას ასაზრდოებდა!“ (74).

ქ-ნი ანას „თეორიულ შეხედულებათაგან“ განსაკუთრებით საყურადღებოდ მეჩვენება მსჯელობა ძველი და ახალი ქართული ენის ურთიერთმიმართებაზე. პროტი აქ ერთ შეგონებასაც ვეთავაზობს: „როგორც ჩვენი უხსოვარი წინაპრების ხმა და ხატება ჩვენდა შეუმჩნეველად აირეკლება ხოლმე და გამოისახება ჩვენში, ასევე ძველი ქართული ენის მადლიანი აჩრდილი თავს ადგას ახალს და მისგან განუშორებელია“ (78).

ქ-ნი ანა როცა ამდენს საუბრობს ძველი ქართული ენის შესახებ, ძველი ქართული ენის ძეგლების მნიშვნელობაზე, ბუნებრივია, დასვამს საკითხს, რა მიმართებაა ძველსა და ახალ ქართულს შორის... ქ-ნი ანა იმ წრეში ჩამოყალიბდა პროფესიონალ ენათმეცნიერად, სადაც ძალიან აქტიური კამათი იყო, ქართული სალიტერატურო ენა რამდენ პერიოდად უნდა დაიყოს — სამად (ა. შანიძე), თუ ორად (არნ. ჩიქობავა)... ცხადია, აქ საუბარია განვითარების საფეხურებზე და არა ორ ან სამ ენაზე... მაგრამ მაინც, ქ-ნი ანა ერთმნიშვნელოვნად იმ აზრისაა, რომ „ძველი და ახალი ქართული ენა შესახება ერთ, მთლიან, ცოცხალ ორგანიზმად, რომლის შუაზე გადაკვეთა მის უეჭველ სიკვდილს გამოიწვევს!“ (79).

აზრი ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის თაობაზე სხვასაც გამოუთქვამს („მრავალსაუკუნოვანი მთლიანობააო“ — რეზი თვარაძე), თუმცა ასეთი მკვეთრი და ზუსტი არგუმენტი, რომელიც შემოგვთავაზა ქ-ნმა ანამ, არავის მოუყვანია — „რომლის შუაზე გადაკვეთა მის უეჭველ სიკვდილს გამოიწვევს“...

მახსოვს: ქ-ნ ანასთან ვსაუბრობდით იმის თაობაზე, რომ ფილოლოგთა ერთმა ჯგუფმა მოისურვა (და შეასრულა კიდევ!) ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლების („შუმანიკის წამების“, „აბოს წამების“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა“ და სხვათა) „ახალ ქართულ ენაზე თარგმნა“(!)... ვერ

ფარავდა ქ-ნი ანა შემფოთებასა და აღმფოთებას ამ ფაქტის გამო... ეს მიაჩნდა ალბათ ძველი ქართული ენის (თუ საერთოდ ქართულის?) „უეჭველ სიკვდილად“...

ეს იმიტომ, რომ ქ-ნი ანას სჯეროდა: „როგორც ჩვენი უხსოვარი წინაპრების ხმა და ხატება ჩვენდა შეუმჩნეველად აირეკლება ხოლმე და გამოისახება ჩვენში, ასევე ძველი ქართული ენის მადლიანი აჩრდილი თავს ადგას ახალს და მისგან განუშორებელია (78). იცის ქ-ნმა ანამ, რომ სხვათა მაგალითს ზოგჯერ უფრო ცხოველმოქმედი ძალა აქვს და ამიტომაც ვრცელ ამონარიდს მოიყვანს გენადი ფიშის წიგნიდან – „სალამი დანიავ!... ატლანტიკის განდევილი... შვედებთან“: „მშობლიური ლიტერატურისადმი სიყვარული ისლანდიელმა დედის რძესთან ერთად შეისისხლხორცა. ...ისლანდიური ენის დაწერილობა და გრამატიკა თითქმის არ შეცვლილა უკანასკნელი ათასწლეულის მანძილზე და ამიტომაც უძველესი საგების ენა თითქმის გასაგები იყო უბრალო გლეხისთვისაც. იმ დროს, როცა მთელს ევროპაში ლიტერატურის ენა ლათინური იყო, ისლანდიელები თავიანთ წიგნებს ხალხურ ენაზე წერდნენ. კავშირი დამწერლობასა და ცოცხალ მეტყველებას შორის არასოდეს არ შეწყვეტილა და შეიძლება ამის გამოც თანამედროვე ლიტერატურული ენა თითქმის არაფრით განირჩევა და განსხვავდება ძველისაგან. საგათა ხელნაწერები ნამდვილად ერის ფარი და ხმალი იყო. მათ შეუნახეს ისლანდიელებს მშობლიური ენა, როცა ისლანდია დანიის მრავალსაუკუნოვანი მონობის უღელქვეშ გმინავდა. აი, რატომ წერდნენ ლათინურის ბრწყინვალედ მცოდნე ისლანდიელი მწერლები თავის ნაწარმოებებს მხოლოდ და მხოლოდ ხალხურ ენაზე“ (96).

ქ-ნი ანას ისლანდიელთა ამბავი ქართულისათვის სჭირდება; ბრძანებს: „უძველესი საგების ენა თითქმის გასაგები იყო უბრალო გლეხისთვისაც... დღევანდელი ქართველიც ხომ თავისუფლად იგებს მეხუთე საუკუნის ძველის ენას – „წამება

შუმანიკისი“?! „კავშირი დამწერლობასა და ცოცხალ მეტყვე-  
ლებას შორის“ არც ჩვენთან შეწყვეტილა და სწორედ ამიტომ  
ეს წმინდა კავშირი ანიჭებს სიცოცხლისუნარიანობას ჩვენს  
მშობლიურ ენას, რის გამოც მისი მეუფება უსაზღვროდ მესა-  
ხება აწ და მარადის!“ (96).

ვთქვი, ამ თემაზე ქ-ნი ანას მსჯელობა და დასკვნები  
მნიშვნელოვნად მიმაჩნდა. როცა ვსაუბრობთ სალიტერატურო  
ენის პერიოდიზაციის შესახებ და მიმოვიხილავთ სხვადასხვა  
ცნობილ თვალსაზრისს (ა. შანიძისა, არნ. ჩიქობავასი, ფ. ერ-  
თელიშვილისა, ბ. ჯორბენაძისა, ზ. ჭუმბურიძისა, რ. თვარაძი-  
სა...), ამათ გვერდით ანა კალანდაძის თვალსაზრისსაც უნდა  
მივუჩინოთ ღირსი ადგილი!...

\* \* \*

ქ-ნ ანას აქვს ასეთი ჩანაწერი: „ენათმეცნიერების ინსტი-  
ტუტის სამეცნიერო საბჭოს ერთ-ერთ საჯარო სხდომაზე ბა-  
ტონმა არნოლდმა აღნიშნა: მწერლობა თუ ენის სპეციალისტი  
– ასე საკითხის დაყენება არაა სწორი, – ენას ქმნის მწერალი  
(ღმერთმა ნუ ქნას, რომ გრამატიკოსების ანაბარა დაერჩეთ!),  
მაგრამ მწერლობაში რაც გვხვდება, ყველაფერს ეტალონად  
ვერ მივიღებთ. ენის სპეციალისტის როლი ენის მსახურის  
როლია, ის გონივრულად უნდა მოემსახუროს მასო“ (378).

არ არის შემთხვევითი, როდესაც ქ-ნი ანა ყურადღებას  
ამ საკითხზე ამახვილებს – „მწერლობა თუ ენის სპეციალის-  
ტი“.

და რომ, „ენას ქმნის მწერალი“

და რომ, „ენის სპეციალისტის როლი ენის მსახურის  
როლია“...

ქ-ნი ანა არის მწერალი – ანუ „ქმნის ენას“!...

ქ-ნი ანა არის პროფესიონალი ენის სპეციალისტი – ანუ  
„ენის მსახურია“!...

სწორედ ამ ორი კუთხით უყურებს და განიხილავს იგი ქართულ ენას...

ქ-ნი ანა თავისი მაღალმხატვრული აზროვნებით შეგვაგონებს: „მოგესხენებათ, ენა ცოცხალი ორგანიზმია, — მის სტიქიას განუწყვეტლივ „შესდის და გაედინების“ ნაირნაირი ენობრივი ფორმები (სიტყვები თუ გამოთქმები). ამ უამრავი მასალიდან იგი ბევრს მიიღებს, ბევრს კი, როგორც უცხოსა და მიუღებელს, ზღვასავით გამოირიყავს ნაპირზე!

იქნებ... სწორედ დღესაც ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს ეს მორიგი შერჩევის, მიღება-გარიყვის, დიდი და საინტერესო პროცესი? ვინ იცის?...“ (158).

ქ-ნი ანა ასე ხედავს: მწერალი — როგორც ამ ცოცხალი პროცესის წარმმართველი; მკითხველი — როგორც ამ პროცესის მონაწილე, ენის მსახური...

ქ-მა ანამ იცის, რომ „ცოცხალი მაგალითების“ ძალა უფრო დიდია, შთამბეჭდავია, ვიდრე თეორიული შეგონებისა. ამიტომაც იგი მშობლიურ ენასთან, მშობლიურ ენობრივ სამყაროსთან დამოკიდებულების მაგალითად პერუელი მწერლის აზრს მოიშველიებს: „როდესაც საზღვარგარეთ წლობით მაცხოვრებელ ერთ-ერთ ახალგაზრდა პერუელ მწერალს კორესპოდენტმა ჰკითხა, თქვენ ახლა პერუში ცხოვრობთო? მან ასეთი პასუხი ვასცა: „დიახ, უნდა დავბრუნებულიყავი, რათა კავშირი მქონოდა ჩემს სამყაროსთან, ჩემს ენასთან: დიდი ხნით შორს ყოფნა უკვე დაღს ასვამდა ჩემსა მუშაობას, ამ წლების მანძილზე მე ხშირად ჩავდიოდი პერუში, მაგრამ ერთი-ორი თვით დაბრუნება ხომ სულ სხვაა, ვიდრე ის, როდესაც ჩაფლული ხარ მშობლიური ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებასა და საჭირბოროტო პრობლემებში?“

ერი, ენა, მშობლიური მიწა — განუყოფელია, ერთიანია, მთლიანია... თავის სიტყვას, თავის აზრს რომ მეტი „ძალა“

მიანიჭოს. ქ-ნი ანა ხშირად ბიბლიას მოიშველიებს: „ჩემი გულისთქმა ხშირად საოცრად მიესადაგება ხოლმე ჩემთვის საინტერესო ადგილებს ამ ბრძნული წიგნებიდან, — როგორც ძველი. ისე ახალი აღთქმიდან. ამიტომაცაა „ბიბლია“ „შთავონების უშრეტი წყარო“ ყოველი დროისა და ყოველი ეპოქის ხელოვანისათვის“ (78).

ეს „წინასიტყვა“ სჭირდება იმისათვის, რომ მშობლიური ენის მნიშვნელობაზე თავისი აზრი ბიბლიური მაგალითით განამტკიცოს: „წინასწარმეტყველს, ელისეს, რომელსაც საქადაგებლად სხვადასხვა უცხო მხარეში უხდებოდა ყოფნა, ერთი ადგილობრივი მდიდარი მოქალაქე გაუწვდის დახმარების ხელს, — საკუთარ ჭერქვეშ დააბინავებს და ზრუნვას არ მოაკლებს. როცა მადლიერი და დავალებული წინასწარმეტყველი სამაგიეროს გადახდას შეეცდება და ჰკითხავს დიასახლისს, სათხოვარი ხომ არაფერი გექნება მეფესთან ან ქალაქის რომელიმე გავლენიან პირთან, რომ გიმუამდგომლო, საოცრად გაკვირვებული ქალი მიუგებს, მე ხომ... ჩემს მიწაზე, ჩემს ხალხთან, თვისტომთა შორის ვცხოვრობ და რა უნდა გამიჭირდეს მშობლიურ მიწაზე, მშობლიურ ქვეყანაშიო? რამდენი სიბრძნეა ქალის ამ პასუხში!! ყოველ ჩვენგანს უნდა ახსოვდეს, რომ მშობლიურ მიწას მოწყვეტილი კაცი ჰაერში ატაცებული ანტეოსივით იღუპება (სხვაგან წერს — „მშობლიურ ენას მოწყვეტილი კაციო...“ — იხ. აქვე) ქალის პასუხში იგრძნობა, რომ ერი მთლიანია და განუყოფელი!“... (78).

ფაქტობრივად, ესეც ქ-ნი ანას პასუხია კითხვაზე, როგორი უნდა იყოს მწერლის დამოკიდებულება მშობლიური ენისადმი, მშობელი ხალხისადმი; სხვაგვარად — რას ნიშნავს მწერლისთვის მშობლიური ენის წიაღში ყოფნა, „ცხოვრება“ მშობლიური ენისა და მშობელი ხალხის წიაღში...

იმ ტრაგიზმზეც მიგვანიშნებს პოეტი, რა შეიძლება გამოიწვიოს მშობლიური ენის გარემოსაგან მოწყვეტამ:

„დიახ. მშობლიური ენა ის ცხოველმყოფელი წყაროა, რომელიც კვებავს ერს, ზრდის და აცოცხლებს. მშობლიურ ენას მოწყვეტილი (როგორც ცალკეული პირი, ისე ერი!) ჰაერში მოშთობილი ანტიეოსივით იღუპება“ (95).

თავისთავად ცხადია, როცა ქ-ნი ანა დედაენასთან „როგორც ცალკეული პირის, ისე ერის“ დამოკიდებულების აუცილებლობაზე საუბრობს, გრძნობს იმის პასუხისმგებლობასაც, რომ განუმარტოს „მსმენელს“, რატომ არის აუცილებელი „ცხოვრება მშობლიური ენისა და მშობელი ხალხის წიაღში“:

„დედა-ენას მაგიური უნარი აქვს „კაცის გონებით და გულით გაღვიძებისა“, ღვიძლი ხალხის საუკუნიდან საუკუნეში მთავარი სასიცოცხლო ძარღვით ერთმანეთთან დაკავშირებისა: „ენა თაობიდან თაობას გადაეცემა და მისი წყალობით ეს თაობები ერთ ხალხად ითქმის“ (არნოლდ ჩიქობავა). დედაენაა ის საფუძველი და საძირკველი, რომელზეც მკვიდრად დაეშენება და დაედუღაბება კედელი ერისკაცობისა და მამულიშვილობისა“ (382).

ეს უკვე მწერლის შეგონებაა — ენის ლაბირინთებში ღრმად ჩახედული მწერლისა!...

\* \* \*

90-იანი წლების დასაწყისია. ქ-ნმა ანამ უარი თქვა პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურ ჩართვაზე (როგორც ამბობენ, მას ჰქონდა ასეთი შეთავაზებები...), თუმცა აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან არასოდეს გამდგარა განზე... არეულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში პრობლემები შეექმნა ქართულ ენას; გაფრთხილებასავით უღერს პოეტის მოწოდება: „ლამის ისევ „წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას!“ სალიტერატურო ენის ნორმები მეტ-ნაკლებად ყოველთვის ირღვეოდა, მაგრამ ეს ძალიან ხელშესახები გახდა ქვეყანაში უკანასკნელ ხანებში მომხდარი კატაკლიზმების შედეგად. — ბევრი სხვა

საზრუნავის გამო დაიკარგა კონტროლი სალიტერატურო ენაზეც... (155).

ეს არის მწერლის საფიქრალი — „ღიას, უახლოეს წლებში ქვეყანაში მომხდარი ისტორიული ძვრების დროს სალიტერატურო ენაზეც დაიკარგა კონტროლი და მივიღეთ დღევანდელი სამწუსარო შედეგი“ (155) — ქ-ნი ანა დარდობს იმას, რომ სახელმწიფოებრივი ზრუნვა შენელდა სახელმწიფო ენაზე — გაუქმდა სახელმწიფო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისია... ეს, თითქოს ყველა ჩვენგანისათვის საფიქრელ-საზრუნავი, ქ-ნმა ანამ — კლასიკოსმა მწერალმა — გაახშიანა... საოცარი შთაბეჭდავი მაგალითით შეგვაგონა: „მართლაცდა, ერთი არაბული გამოთქმისა არ იყოს, ცეცხლზე შემოდგმულ რძესავით უნდა თვალყურის დევნება არა მარტო ახალფეხადგმულს (და, საერთოდ, ნებისმიერი ასაკის ყმაწვილს!), არამედ ენასაც!“ (155).

ღიას, ცეცხლზე შემოდგმულ რძესავით უნდა თვალყურის დევნება ენას!... — ასე ფიქრობს ქ-ნი ანა!...

ვფიქრობთ, ხევსური ქალბატონის — ნათელა ბალიაურის — ერთი პირადი წერილიც მრავლისმთქმელია: „1978 წ. 14 აპრილი... ჩემო ანა! მოგილოცავ ქართული ენის სახელმწიფო ენად დამტკიცებას, ალბათ დიდი ნერვიულობა გადაიტანე შენ და მთელმა ქართველმა ხალხმა, თუ მე, 80 წლის ხევსურის ქალმა, ცრემლი ვღვარე“ (185).

თითქოს პროზაული პასაჟია, მაგრამ დღეაენაზე მოფიქრალი პოეტი მთელი სერიოზულობით მსჯელობს 1979 წლის სამთავრობო დადგენილებასა და მის მნიშვნელობაზე... „დადგენილება „რესპუბლიკის სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ უთუოდ დროულია. ეს დადგენილება ქართული ენისადმი რესპუბლიკის მთავრობის დიდი ზრუნვის

„უდავო მაჩვენებელია“ (95)... 90-იანი წლებისთვისაც ეს მაგალითი მოჰყავს...

ეს არის ფიქრი პოეტისა, რომლისთვისაც „ენა ბედისწერაა!“... და რომლის აზრითაც, „ცეცხლზე შემოდგმულ რძესავით უნდა თვალყურის დევნება ენას!“...

ამიტომაც იყო ქ-ნი ანასთვის მნიშვნელოვანი XX საუკუნის დასასრული: „გამოიღვიძა ჩვენმა ეროვნულმა სულმა, ეროვნულმა თვითშეგნებამ. ჩვენი წინაპრებისათვის მარად სალოცავი, მაგრამ შემდეგ ჩვენგანვე უარყოფილი და უღვთოდ დავიწყებული „მამული, ენა, სარწმუნოება“ გავიხსენეთ და გულში სამუდამოდ ჩავიმარხეთ.

დავიწყეთ მშობლიურ ენაზე ზრუნვა, გულმოდგინებით ვცდილობდით წაქცეული ჯვრის აღმართვას.

მძიძეა და რთული თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს გზა! იქნებ იაკობ გოგებაშვილისთვისაც მოგვესმინა: „ყოველი ჯგუფი ადამიანებისა მხოლოდ მაშინ დაიმსახურებს პატივისცემას და გავლენას, როდესაც ღირსეულად, დარბაისლურად იცავს თავისს საზოგადო ინტერესებსა“... იქნებ დიდთა წინაპართა „მოქნილი პოლიტიკაც“ გაგვეხსენებინა, რასაც ასე მოხერხებულად იყენებდნენ შეჭირვების უამს?...

„მამული, ენა, სარწმუნოება“ – ჩვენი ხსნა მათ დაცვასა და შენარჩუნებაშია!“

ქ-ნ ანასთან შეხვედრაზე მოსწავლეებმა ერთხელ ანასეული ნათქვამი გაიხსენეს, „ენას პატრონი უნდა ჰყავდეს, ბატონი რომ არ გაუჩნდესო“ (ზეპირი ნათქვამი ჩანს...)... ამ ნათქვამის ლოგიკაზე ამახვილებს ყურადღებას ქ-ნი ანა: „მოგეხსენებათ, რა მალე ჩაკვდება ლობემორღვეული წალკოტი, ხეხილი „მოიწყენს“, მიწას სარეველა გადაუვლის. განა არ გვინახავს ქალაქად თუ სოფლად „ჩამოჭრილი“, „ჩამორთმეული“ მიწის ნაკვეთი, შემდეგ უკვე აღარავისი რომ აღარაა და ამიტომაც გატიალებულია და გავერანებული?“...

ეს დღე ელის ენასაც, თუ პატრონი არ უპატრონებსო...  
ქართული ენის დღის დაარსებაშიც ამ მიზანს ხედავდა  
ქ-ნი ანა – პატრონობის სურვილს ქართველი კაცისაგან ქარ-  
თული ენისას:

„სულითა და გულით ვულოცავ ჩემს თანამემამულეთ 14  
აპრილის ქართული ენის დღედ გამოცხადებას.

ამ ვადაწყვეტილებაში საგულისხმოა ისიც, რომ „ეს იქ-  
ნება არა მხოლოდ საზეიმო დღე, არამედ ანგარიშგების დღე  
– შეჯამება იმისა, თუ როგორ ვუფრთხილდებით დედაენას,  
რა უნდა გაკეთდეს მომავალში მისი განვითარებისთვის“  
(498).

არ ეყოლება ქართულ ენას ბატონი, როცა ჰყავს ქ-ნი  
ანასნაირი პატრონი... ქ-ნი ანა ჩვენს უკვდავ კლასიკოსებთან  
ერთად მარადიული პატრონია ქართული ენისა!...

*„ანა კლანდაძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი  
სამეცნიერო კრებული“; თელავი, 2008*

## ბრძანა ანამ

პოეტი აკადემიკოსი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ანა კალანაძემ უპასუხებს ჟურნალის „ბურჯი ეროვნები-სა“ მთავარი რედაქტორის შეკითხვებს.

— ქალბატონო ანა, თქვენ ბევრს საუბრობთ ქართული ენის სიწმინდის, მისი ღირსების დაცვის შესახებ. რა აზრის ბრძანდებით, საერთოდ, სალიტერატურო ენის ნორმების თაობაზე და როგორ წარმოგიდგენიათ მწერლის „ენობრივი თავისუფლება?“

— ბატონო გოგი, უწინარეს ყოვლისა, ნება მიბოძეთ, სუ-ლითა და გულით მოგილოცოთ ღირსშესანიშნავი თარიღი — ჟურნალის დაარსების 10 წლისთავი, მივულოცო ჟურნალის მთელს შემოქმედებით კოლექტივს და მის მრავალრიცხოვან მკითხველს! მრავალჟამიერ სიცოცხლეს გისურვებთ ყველას, ღმერთმა კვლავაც დიდხანს გამყოფოთ ქართული ენისა და ქართველი ერის სამსახურში!

„ჩვენი გაზეთის ძირითადი მიზანია ქართული ენის სამსახური“, — აცხადებთ თქვენ, გაზეთის (შემდგომში უკვე — ჟურნალის) ერთ-ერთი პირველი ნომრის ფურცლებზე და, ჩვენდა სასიხარულოდ, უნდა ითქვას, რომ დღემდე არ გილა-ლატიათ ამ თქვენეული აღთქმისათვის!

ბატონო გოგი, გილოცავთ ამ დღეებში იაკობ გოგებაშვი-ლის სახელობის მედლით დაჯილდოებას, რითაც დაფასდა თქვენი და თქვენი კოლექტივის დიდი ღვაწლი ერის წინაშე!

ასლა შევეცდები, შეძლებისდაგვარად, ვუპასუხო თქვენს კითხვებს...

როგორც ცნობილია, სალიტერატურო ენის ნორმები მეტ-ნაკლებად ყოველთვის ირღვეოდა, მაგრამ, ქვეყანაში მომხდარი ისტორიული კატაკლიზმების დროს, ეს უფრო ხელშესახები ხდება ხოლმე, — სალიტერატურო ენაზე იკარგება კონტროლი და იგივე მალევე იტბორება „ცუდმეტყველებით!“

სალიტერატურო ენა ნორმების გარეშე არ არსებობს. ვფიქრობ, ენობრივი თავისუფლებაც „შეცნობილ აუცილებლობათა“ რიგს განეკუთვნება. არა მგონია, ბილწსიტყვაობა, რომელიც დღეს ასე თავმოწონებით იკიდებს ფეხს ჩვენს მწერლობაში, „მწერლის ენობრივი თავისუფლების“ მაჩვენებელი იყოს! მას... ნარკომანიაზე ნაკლები ზიანი არ მოაქვს ჩვენი ახალგაზრდობისათვის, ქვეყნისათვის! დიდი ილიას ნათქვამს (სხვა ვითარების გამო) გავისხენებ: „მის მაყურებელ ერს ხომ გული უტყდება თავის-თავზე, სასოება და იმედი ეკარგება და აქედამ განა დიდი მანძილია სრულად განადგურებამდე!“

— თქვენ ბრძანებთ: ცეცხლზე შემოდგმულ რძესავით უნდა თვალ-ყურის დევნება ენას. თუმცა, იმასაც აღნიშნავთ, რომ ვერ ვექცევით ღირსეულად დედაენას. ამ პოზიციიდან, როგორ გესახებათ დღევანდელ დღეს მწერლის როლი თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მოვლა-პატრონობაში? ხომ არ ფიქრობთ, რომ მწერლის ინტერესი სალიტერატურო ენისადმი მინელდა?

— დიას, კვლავაც მოვიგონებ ერთ ბრძნულ არაბულ ნათქვამს: ყმაწვილს ისევე უნდა ყოველწუთიერი თვალ-ყურის მიდევნება, როგორც ცეცხლზე შედგმულ რძესო. ასევე, მუდმივი და შეუწელებელი ზრუნვა და ყურადღება სჭირდება ენასაც!

უახლოეს წარსულში ენას ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალთაგან მეტი ყურადღება ექცეოდა. როგორც ბატონი არნოლდ ჩიქობავა იგონებს, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეულის მომზადება და გამოცემა, რომელიც 19 წელს გაგრძელდა, მაშინდელი ცენტრალური კომიტეტის მდივნის, კანდიდ ჩარკვიანის, მუდმივი ყურადღებითა და დახმარებით მიმდინარეობდა! დღეს კი, როგორც იტყვიან, ღვთის ანაბარად მიტოვებული ენა ეცემა და... ერის დაცემასაც აღარაფერი აკლია!

დიახ, მწერლის როლი დიდია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მოვლა-პატრონობაში! მოვიგონოთ ისევ დიდი ილია: „ჩვენი ენა არა ენას არ დაუვარდება ქვეყანაზედ. ნიჭიერი მწერალიც იმისათვის არის სასარგებლო ენისათვის, რომ თავის თხზულებაში ენის სიმდიდრე გამოაჩინოს ხოლმე“!

საჭიროა მწერლებისა და მეცნიერების გვერდიგვერდ ღვომა, რომ ენამ არ დაკარგოს ბუნებრივი განვითარების გეზი და მიმართულება! მივხედოთ ენას, მივხედოთ ქვეყანას!

– თქვენ ბევრს საუბრობთ ლიტერატურულ კრიტიკაზე. კონსტანტინე გამსახურდიას აზრი მინდა გავიხსენო: „ჩვენი კრიტიკა უგულვებელყოფს ხშირად არა მარტო სტილისტურსა და ენობრივ მომენტებს მწერლის შემოქმედებისას, იგი თვით იმის განსჯაში არ შედის, თუ რამდენად არღვევს ესა თუ ის მწერალი ქართული ენის ელემენტარულ ნორმებსა და სწორ წერას“. თვლით თუ არა, რომ კლასიკოსის პრეტენზია კრიტიკის მიმართ სწორია?

– სავსებით ვეთანხმები და ვიზიარებ ბატონი კონსტანტინე გამსახურდიას მოსაზრებას!

– თქვენ ბრძანებთ: „დღევანდელი დაწერილი ლექსი ყოველთვის მერჩია გუშინდელს და დაუნანებლად შემეძლო დამეხია ლექსი, რომელიც აღარ მომეწონებოდა“... არ გიფიქრიათ, რომ „თქვენი შემოქმედებითი მუშაობის მკაცრ კანონს“ შეეწი-

რა ბევრი კარგი ლექსი? მეტი ღმობიერება ხომ არ არის საჭირო საკუთარი შემოქმედებისადმი? მით უმეტეს, რომ თქვენგან დაწუნებულ ლექსს სხვისთვის ცრემლი მოუგვრია?... ისიც გავიხსენოთ: თქვენ არ დაეთანხმეთ ქალბატონ ქეთევან მაღალაშვილს და მისგან დაწუნებული თქვენი პორტრეტი განადგურებას გადაარჩინეთ...

— თქვენი ბრძანებისა არ იყოს, ალბათ, მეტი ღმობიერება საჭირო საკუთარი შემოქმედებისადმი, მაგრამ... „მკაცრ კანონს“, რომელსაც ჩემი ბუნება მიკარნახებს, სად წაუვალ?!“

იმ ერთმა სიტყვამ კი დამაფიქრა... დიახ, ერთ-ერთ ჩემს მორიგ კრებულში რატომღაც აღარ შევიტანე ერთი პატარა ლექსი და მკითხველის საყვედურიც მივიღე... უცნობმა მამაკაცმა დამირეკა და კრებულიდან იმ ლექსის ამოღების მიზეზი მკითხა, — ამ ლექსის წაკითხვისას ცრემლები მერევავო... „შეცდომა“, რა თქმა უნდა, მომდევნო კრებულშივე „გამოვასწორე“!

ქალბატონი ქეთევან მაღალაშვილი გაიხსენეთ... არც ის აჩერებდა იმ სურათს, რომელიც მას, როგორც შემოქმედს, არ აკმაყოფილებდა და ეს „თვისება“, ჩანს, ბუნებრივია საკუთარი თავისადმი „კრიტიკულად განწყობილი“ ყოველი ავტორისათვის! დიახ, მან ხელალებით დაიწუნა ჩემი ერთ-ერთი პორტრეტი. ერთხელ, როგორღაც მოიგონა: „გახსოვთ, თქვენი პირველი პორტრეტი რომ დავხიე? მეორესაც იგივე ბედი ელოდა, თქვენ რომ არ წაგეღოთ... ეხ, რამდენი ჩემი პორტრეტი, რამდენი ნამუშევარ გამინადგურებია, მტკვარში გადამიყვრია! იაკობ ნიკოლაძემ უთხრა დიტოს (მხატვარი დიტო შევარდნაძე — ა. კ.). არ გააკაროთ ეგ თავის ნახატებსო“...

— თქვენ ბრძანებთ: „ამ... ჩაკეტილობამ თუ მიხსნა ჩემი პოეტური ნავარჯიშევის საქვეყნოდ გამოფენისაგან?“... ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ შემოქმედის არქივიდან ყველაფერი საქვეყნოდ არ უნდა გამოძეურდეს... განსაკუთრებით, პირადი

წერილები... არადა, ხდება ხოლმე ამგვარი... თუ ასე ფიქრობთ, რომელი შემოქმედის მაგალითს მოიყვანდით?...

– ვფიქრობ, შემოქმედის არქივიდან ყველაფერი საქვეყნოდ გამოსატანი არაა, განსაკუთრებით, პირადი წერილები (ინტიმურ წერილებს ვკულისხმობ)... მაგალითების მოყვანას მოვერიდები.

– თქვენ ბრძანებთ: „ხალხურ კილოს საგანგებოდ მივმართავ ხოლმე კოლორიტის – ხალხურობის სურნელის შესანარჩუნებლად... მივმართავ, ცხადია, მხოლოდ მაშინ, როცა ლექსის თემა მოითხოვს ამას. მაგალითად, ასე მოვიქეცი ფშაური ლექსების ციკლის წერისას“...

თქვენ გურიაში დაიბადეთ. როგორც წერთ, „პირველი პოეტური შთაგონება“, „პირველი პოეტური სიტყვა“ თქვენს „სოფელს უკავშირდება...“ და რამდენადაც დავკვირვებივარ, თქვენს ლექსებში გურული დიალექტის კვალი არა ჩანს... რატომ?

– თუ მკრეხელობაში არ ჩამომერთმევა, მოვიგონებ ადგილს „მგზავრის წერილებიდან“: „მართალია თუ არა ჩემი მოხვევა, მე მაგის გასინჯვაში არ შევალ, ან რა ჩემი საქმეა ეგა? მე ვაკვრით, როგორც მგზავრი, ვიხსენებ მას, რაც მისგან გამიგონია. ჩემი ცდა მარტო იმაშია, რომ იმის აზრისათვის იმისივე ფერი შემერჩია და იმის სიტყვისათვის იმისივე კილო. თუ ეს შევასრულე, ჩემი განზრახვაც შემისრულებია“.

„ფერი“ და „კილო“ ყოველ ქართულ დიალექტურ სიტყვას თავისებური, განუმეორებელი აქვს... ფშავ-ხევსურული სიტყვის „ფერი“ და „კილო“, ჩემთვის... საკმაოდ უცხო აღმოჩნდა, თანაც... „უმალღესი პოეზიით“ გაჯერებული“... თავი მთვარეზე მეგონა!

ხალხური პოეზიის დიდებულ კუთხეს მინდოდა ასე შევხშიანებოდი მხოლოდ – „თავის ენაზე“ ეს ლექსები მხოლოდ ასე გახმაურდნენ ჩემში...

ჩემს ლექსებში გურული დიალექტის კვალი რომ არ ჩანს, ამასთან დაკავშირებით ისევ ჩემს ნათქვამს გავიმეორებ: „ჯერ კიდევ ბევრი რჩება ამქვეყნად ამოუხსნელი, ამოუცნობი და ამდენად – განუმარტავი“!

– თქვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებთ ნაწარმოების სათაურს. გული გწყდებათ, რომ იძულებული იყავით, პირველ კრებულში რამდენიმე სათაურიანი ლექსი უსათაუროდ დაგებეჭდათ. თქვენს პირველ ტომს ამ თვალსაზრისითაც გადავხედე. 1970, 1971, 1972 წლებში დაწერილი ყველა ლექსი უსათაუროა. 1989, 1990, 1991, 1992, 1993 წლებში დაწერილი ლექსები სათაურიანია (სამის გარდა)...

შემთხვევითია ეს ფაქტი, თუ შეიძლება აიხსნეს?

თქვენ ამასაც ბრძანებთ: „ხშირად, სწორედ სათაურს შეაქვს ლექსში სინათლე“... დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი თქვენი ლექსი („ფეხი დამადგით...“) ჩემთვის ხელმისაწვდომ ყველა გამოცემაში დაიბეჭდა უსათაუროდ; ორტომეულში ეს ლექსი დასათაურებულია – „ღირსმსახურებადი ქართულ მიწა-წყალს“... შეიძლება აიხსნეს ეს ფაქტი?

– განსაკუთრებულ მნიშვნელობას ლექსის სათაურს, მაინცდამაინც, არ ვანიჭებ, სათაური წერისას იბადება ხოლმე (ისევე, როგორც „უსათაურობაც“!).

რაც შეეხება რამდენიმე ლექსისათვის სათაურის მოცილებას და „უსათაუროდ“ დატოვებას (მაგ. „ლოცულობს გველი“, „ხატთან ანთია სანთელი ორი“, „მკვდართა მზე ვარ“ და სხვ.) ეს 40-იან წლებში ქვეყანაში შექმნილმა ვითარებამ გამოიწვია.

1946 წლის 25 მაისს ჩემი ლექსების კითხვის საღამო მოეწყო მწერალთა კავშირში. კითხვის დასრულების შემდეგ აზრთა გაცვლა-გამოცვლა არ ყოფილა (ამას საგანგებოდ აღნიშნავდა ერთ-ერთი გაზეთი), მხოლოდ იმაზე იყო საუბარი, რომ რაც შეიძლება მალე გამოცემულიყო ჩემი პირველი კრე-

ბული. იმ საღამოს მხოლოდ... მომავალი კრებულის ფორმატზე საუბრობდნენ. თავიანთ მოსაზრებას უზიარებდნენ საზოგადოებას. კითხვის საღამოს შემდეგ პირველად გამოქვეყნდა ჩემი ოცდაათი ოდესეულ ლექსი გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ (რედ. გ. ნატროშვილი) და ჟურნალ „მნათობში“ (რედ. ა. მამაშვილი).

რამდენიმე თვის შემდეგ ლენინგრადში დაამუშავეს ლიტერატურული ჟურნალი „ზეზდა“ და „ლენინგრადი“, აპოლიტიკური და უიდეო ნაწარმოებთა გამოქვეყნებისათვის, რასაც ჩვენშიც მოჰყვა სათანადო რეაქცია. რამდენიმე უფროსი თაობის მწერალთან ერთად მეც მოვეყვი კრიტიკის ქარცეცხლში. „მას აკლია ჩამოყალიბებული ცოდნა ცხოვრებისა, უნარი მოვლენების სწორად დანახვისა, არ ხელმძღვანელობს მოწინავე იდეებით, დეკადენტური მოტივების ტყვეობაშია მოქცეული“. – ასე წერდნენ... ეს „მკაცრი განაჩენი“ ეხებოდა არა მხოლოდ ჩემს რამდენიმე ცალკეულ ლექსს (კრიტიკამ... გამოუქვეყნებელი ლექსებიც არ დაინდო, – ისინი უკვე... გავრცელებული იყო ხელნაწერების სახით), არამედ მთელს ჩემს პოეზიას, თემატიკას, განწყობილებას, ჩემს პოეტურ სამყაროს.

რალა თქმა უნდა, ჩემმა პირველმა კრებულმა, რომელიც „რაც შეიძლება, მალე უნდა გამოსულიყო“... მთელი შვიდი წლით დაიგვიანა. კრებული მხოლოდ 1953 წელს გამოვიდა. სტალინის გარდაცვალების შემდეგ. მასში ბევრი ლექსი არ შეიტანეს და რაც შევიდა – გადაკეთებული, „ცხოვრებისეულ მოთხოვნებს“ მისადაგებული“

სწორედ ამის გამო მირჩია ბატონმა სიმონ ჩიქოვანმა (მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გახლდათ), შემდგომ კრებულებში რამდენიმე ლექსი უსათაუროდ შემეტანა: სათაურები თვალში ხვდებოდა და... აფეთებოდა, მითხრა. აი, ამან გამოიწვია ზოგიერთი ლექსის უსათაუროდ გამოქვეყნება (პირველ კრებულში ისინი, საერთოდ, არ შეუტანიათ).

რაც შეეხება 60-90-იან წლებში გამოქვეყნებულ უსათაუროდ „დარჩენილ“ ლექსებს, მათს „ასე დატოვებას“ მიკარნახებდა... შინაგანი ხმა! დიახ, არის ზოგიერთი მოვლენა, რომლის ახსნა „მოკვდავთა ენას არ ძალუძს“!

დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი ლექსიც, ალბათ, ასევე „უსათაუროდ“ უნდა დარჩენილიყო... უზენაესის კარნახით (რაც შემდგომში ლექსის „დასათაურებამაც“ ცხადი გახადა ჩემთვის!).

– თქვენ ბრძანებთ: ლექსის წაკითხვა იმდენაირია, რამდენაირი მკითხველიც ჰყავსო; ანდა: „ფრჩხილების გახსნის, სულის გაშიშვლების სურვილი ავტორს, ჩვეულებრივ, არა აქვს და, ვფიქრობ, რომ არცაა საჭირო“...

ამ ფონზე, როგორ შეაფასებთ სასკოლო სახელმძღვანელოებში (და არა მხოლოდ სასკოლოში) ლირიკული ლექსების „განზილვას“ („გარჩევას“, „იდეურ-მხატვრულ ანალიზს“)? რამდენადაა საჭირო და აუცილებელი, ამგვარად მივიტანოთ მოზარდამდე ლირიკული ლექსი?... და საერთოდ, შეიძლება „ვასწავლოთ“ ლირიკული ლექსის „გაგება“?

– სკოლის მოსწავლეებს ლექსის (და, საერთოდ, ლიტერატურული ნაწარმოების) წაკითხვა (გაგება) უნდა ვასწავლოთ და ეს, უსათუოდ, სპეციალისტებმა უნდა გააკეთონ. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს კარგი სახელმძღვანელოების აუცილებლობას.

– თქვენგან ვიცით: არნოლდ ჩიქობავას უბრძანებია, „როცა ახალგაზრდა ჯარში მიჰყავთ, რამდენიმე ხნის მერე ფიცს ადებინებენ. ასევე, უნდა იქცეოდნენ ახალგაზრდა მეცნიერების მიმართაც, რათა ერთგულად ემსახურებოდნენ მეცნიერების დროშას“...

ხომ არ ფიქრობთ, ასევეა საჭირო მწერლობაშიც, რომ ახალგაზრდა შემოქმედი „ერთგულად ემსახუროს მწერლობის დროშას“?

– არ იქნება ურიგო...

– გალაკტიონ ტაბიძის გამოსვლას სამწერლო ასპარეზზე არ გამოხმაურებია იმუამად პოეზიის მეფე აკაკი წერეთელი. თქვენს მოსვლას ქართულ მწერლობაში არ გამოხმაურებია გალაკტიონ ტაბიძე... ამგვარ მოვლენებს შეიძლება ჰქონდეს ახსნა?

განმარტება კითხვისთვის: „ჩვენ ძველებმა კალაში უნდა დავდოთ და გზას ვაყვას დავუთმოთ“ – ილიას ამ აზრს ილიას თანამედროვეთა მოგონებებში ვკითხულობთ: ასევე მოგონებებმა შემოგვინახეს აკაკის აზრიც გალაკტიონზე: „ახალგაზრდებიდან გალაკტიონი ბევრ სიახლეს გვპირდება“... თავად ილიას და აკაკის ეს აზრები არსად დაუწერიათ...

– მიუხედავად ზოგიერთი გაზეთის მტკიცებისა, რომ მე გალაკტიონს არა თუ ვიცნობდი, მასთან... დამეგობრებულეც კი ვყოფილვარ, უნდა განვაცხადო, რომ დიდ პოეტს პირადად არ ვიცნობდი!

სამწუხარო ისაა, რომ ეს „ფაქტი“ მომავალში ამ საკითხით დაინტერესებულმა პირმა თავისუფლად შეიძლება... „უტყუარ საბუთად“ მიიღოს და გამოიყენოს...

– ქალბატონო ანა, თქვენგან ვიცით: ფიროსმანს უთქვამს „ნიჭი დამეღალაო“... არნოლდ ჩიქობავას უთქვამს ქეთევან ლომთათიძეზე, „ჭკვიანი ნიჭი აქვსო“... შალვა ნუცუბიძეს უთქვამს თქვენთვის, „ქართველები ყველაფერს გაპატიებენ, ნიჭის გარდაო“...

მინც, რა არის ნიჭი? როგორ განმარტავდით მას, ყმაწვილთათვის ლექსიკონს რომ ადგენდეთ?

– ვფიქრობ, ეს სიტყვაც... „ზესაიდუმლოთა“ რიგისაა და, ამდენად – განუმარტავი!

*ჟურნალი „ბურჯი ეროვნებისა.  
№10-12, 2005*

## „პოეზიის ენა“...

\* \* \*

შესაძლებლობა მომეცა და ქ-ნ ანას შეკითხვა დაეუსვი:  
„თქვენ ბრძანებთ, „ხალხურ კილოს საგანგებოდ მივმართავ  
ხოლმე კოლორიტის – ხალხურობის სურნელის შესანარჩუნებლად... მივმართავ, ცხადია, მხოლოდ მაშინ, როცა ლექსის  
თემა მოითხოვს ამას. მაგალითად, ასე მოვიქვეცი ფშაური  
ლექსების ციკლის წერისას“...

თქვენ გურიაში დაიბადეთ. როგორც წესი, „პირველი  
პოეტური შთაგონება“, „პირველი პოეტური სიტყვა“ თქვენს  
„სოფელს უკავშირდება...“ და რამდენადაც დავკვირვებივარ,  
თქვენს ლექსებში გურული დიალექტის კვალი არა ჩანს... რა-  
ტომ?“

რა პასუხი მივიღე ამ კითხვაზე, მოგვიანებით გეტყვით:  
ჯერ იმის თაობაზე, რატომ დავსვი ეს კითხვა...

\* \* \*

„გურული გახლავართ და „გაკუჭებაც“ გვარიანი ვიცი“...  
(149) – წერს ერთგან ქალბატონი ანა. „საუბრებში“, პროზა-  
ულ ჩანაწერებში „გურული გახლავართ“ – მისთვის საამაყო  
ფაქტია...

„ჩემი პირველი პოეტური შთაგონება, ჩემი პირველი პო-  
ეტური სიტყვა ჩემს მშობლიურ სოფელს, ხიდისთავს, უკავ-  
შირდება. იგი გურიაშია, ჩოხატაურის რაიონში. ამ სოფელში  
ვარ დაბადებული მოსამსახურის ოჯახში“ (39). – ასე იწყებს  
ქალბატონი ანა თავის „საუბრებს“... ასეთი დასაწყისი კი

იმისთვის სჭირდება, რომ განმარტოს, რამ შეუწყო ხელი მისი „პოეტური სიმის“ შერხევას: „სულ უმნიშვნელო ბიძგმა, სულ უბრალო შემთხვევამ შეიძლება შეარხიოს ჩვენში ის პოეტური სიმი, რომელიც თითქოს იმ გარეგან ფაქტორს ელოდებოდ“ (39)... ცოტა ქვევით ქნი ანა იმ შემთხვევასაც გაიხსენებს. რომელმაც სწორედ ეს სიმი შეარხია მასში და იმთავითვე განსაზღვრა, როგორც ბრძანებს, „ჩემი მომავალი. ეს შემთხვევა რომ არა, შეიძლება პოეზიას არც დაკავშირებოდიო“ (39).

ეს ის დროა, როცა „ოჯახი ქუთაისში ცხოვრობდა. ზაფხულის არდადეგებს ბავშვები თითქმის ყოველთვის ვატარებდით ხიდისთავში... სოფლად გამგზავრება ჩვენთვისაც დღესასწაულო იყო. ჩემი ბავშვობა ძალზე უფერული იქნებოდა, ხიდისთავში გატარებული უბედნიერესი დღეები რომ არა!“... (40).

და იწყება – გახსენება იმ ბედნიერებისა, რასაც სოფელი ჰქვია, რასაც გურია ჰქვია...

„წაბლის ხის ერთსართულიანი საკმაოდ დიდი ოდა გაშლილ მწვანედ მოხასხასე მინდორში“...

„ოდის უკან იყო რცხილის უზარმაზარი ხეებით დაბურული მარანი... ამ რცხილების გუგუნე ახლაც ხშირად ჩამქმის ხოლმე“...

„მეორე ასეთივე დიდი მარანი ეზოს გადაღმა გვექონდა. ყანაში... ჩემს ბავშვობაში იგი უფრო მიტოვებული და მივიწყებული იყო თავისი „ცარიელ ქვევრში დამწყვედული ჭინკებით“ (ეს მარანი მქონდა მხედველობაში ლექსის „დამილოცეთ, ძმებო“ წერისას“)...

„სახლს ორივე მხრიდან წყალი ჩამოედის: ერთ მხარეს მაჭახურას ღელეა და მეორე მხრიდან – სპეციალურად წისქვილისთვის გადმოგებული გუბაზოულის ტოტი“...

„უწისქვილოდ „კარმიდამო ჩემი“ ვერც კი წარმომიდგენია“ (40)

„საუბრებშიც“ და სხვა ჩანაწერებში გურიაზე საუბარი უემოციოდ არ შეუძლია ქ-ნ ანას...

და გახსენება იმ საღამოსი, როცა შეირხა „ის პოეტური სიმი“ და რამაც „იმთავითვე განსაზღვრა“ მისი მომავალი...

„მახსოვს, ზაფხულის ერთ საღამოს ბავშვები ჩვენი ძველბურთი ფართოაივნაიანი ოღის წინ ეზოში ვისხედით და დიდი გულისყურით ვუსმენდით ფოცია მამიდას, რომელიც მშობლიურ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა თბილისის ერთ-ერთ სკოლაში. იმ ზაფხულს ისიც ჩვენთან ერთად ისვენებდა. მოულოდნელად ჩვენი ყურადღება მიიპყრო საოცარმა ნათელმა, მათაა წვერებს რომ ეფინებოდა. მთვარე ამოდიოდა, სავსე, ბადრი მთვარე! ბავშვები მოჯადოებულებით შეგყურებდით ამ დიდებულ სურათს, ყურადღება გაგვეფანტა... მამიდამ იგრძნო: მშვენიერია, არა? – გკითხა და მეორე დღისთვის ყოველივე ამის აღწერა გვთხოვა.

დილისათვის ორსტროფიანი ლექსი მზად მქონდა. ლექსს, რა თქმა უნდა, „ბადრი მთვარე“ დავარქვი. მამიდამ დიდად გაიხარა, ლექსი მომიწონა და შინაურებსაც წაუკითხა. სინარულით მეცხრე ცაზე ვიყავი მხოლოდ იმიტომ, რომ... დავალების შესრულება შეეძელი და რომ მამიდას ვასიამოვნე“... (41).

ასე რომ, გურია, გურული გარემო, გურულები, გურული დიალექტი – ის სამყაროა, რომელმაც „იმთავითვე განსაზღვრა“ ქ-ნი ანას პოეტური მომავალი... და...

ქ-ნი ანას ლექსებში ეს გურული დიალექტი ფაქტობრივ არ აისახა. უფრო სწორად, ლექსებში გვხვდება რამდენიმე დიალექტური ლექსიკური ერთეული:

„შემოდოდა ჩიჩილაკებით  
ჩვენში კალანდა“...  
„ქუდმოხდილი ქვეერი“...

ღვინიანი კოპე...“

„პაწაწინა აჭვისწყალი

ამ ბოგის ქვეშ ახმიანდა“...

და თითქმის არცერთი გრამატიკული დიალექტიზმი. განსაკუთრებით საინტერესო ისაა, რომ სწორედ ლექსებში არ გვხვდება ასეთი დიალექტიზმები; პროზაულ ჩანაწერებში – საკმაოდაა:

„რამ შევაშინა, ნენა, გული არ გეიტეზო, – აგერ არა ვართ?“ (327)

„იმ დალოცვილმა აგი მაინც რაფერ თქვაო?“ (344)

„ეილე, დეიდა, ეილე, – ერთი კაპიკია, მარა ერთ კოლოფ სპიჩკას იყიდი“... (344)

„მთებში იმერელი ხალხი ვერ ანავალა, – თათრის ნაშინება... (...) ეძება, ეძება და ბოლოს მიაგნო, მარა მარტომ ვერ ამეიყვანა და სოფელს გასძახა: ბაწარი შეიტანე, ბაწარი შეიტანე... ვერ გეიგეს, ეგონათ, თათარი მევიდაო... (...) გოუკვირდა, სა წვეიდა ეს ხალხიო... იგენმაც როცა გეიგეს, რაში იყო საქმე, ქე დაბრუნდენ უკან...“ (345)

„მეზობელი სუფრიდან გურულმა კაცმა იკითხა, – დეიწყეს იქინეც? (347)

„ამიზა იყო რევიზია?... (347)

„ხვალე ალბათ ხაბურზაკის სუკს გვაჭუმენ და ნამოთვარ (ლაყე) კვერცხებს გაგვასალებიებენო“ (347).

ამ და მსგავს შემთხვევებში საკმაოდ საინტერესოა და დაჭერილი გურული დიალექტის თავისებურებანი...

კითხვა ასეთია: გურული დიალექტი არაა პოეზიის ენა? როგორც ჩანს, „მაღალი“ პოეზიის ენად არ მიაჩნია... თორემ გურულ ხალხურ პოეზიას სიამოვნებით გაიხსენებს ერთგან: ნო-იან წლებში ქ-ნ ანას ლევან გოთუასთან ერთად გურიაში უმოგზაურია... „მასპინძლებმა ძიმითში წაგვიყვანეს (ლევან გო-

თუა ძიძითელა). (...) შენობის მეორე სართულიდან ქვემოთ დიდებული სანახაობა ვადაგვეშალა: მზეზე ბრწყინავდა მდინარე სუფსა და მისი შენაკადი ბახვისწყალი (...). სუფსამ ბაილეთი მომაგონა ერთი გურული ხალხური ლექსიდან, „ალი ფაშამ გვიღალატა“:

„ალი ფაშამ გვიღალატა,  
ჩავვიყვანა კვირიკეთში,  
იმან ფულები ეილო,  
ჩვენ ჩავგვტია რუსის ხელში.  
კარგი არც მას დამართნია  
ბაწრით ჩაათრიეს გემში,  
მისი ყვირილი ისმოდა  
სუფსის გაღმა ბაილეთში“... (550)

და იქვე ღიმილიანი კომენტარი: „ორი ღლის განმავლობაში ბევრის ნახვა მოვასწარი ჩემს მშობლიურ კუთხეში. მართლაცდა მის უკეთესს ვეფერს ნახავს კაცის თვალი!“ (550).

ღიან, ხალხურ პოეზიაში გურული დიალექტური ფორმები ჩვეულებრივია, პროზაულ ჩანაწერებში ქ-ნი ანა არ უკარგავს ხიბლს გურულ მეტყველებას... ის, რაც შესაძლებელია და დასაშვები გურული ხალხური ლექსისთვის, მიუღებელია ქ-ნი ანას პოეზიისათვის...

ფშავ-ხევსურულის შემთხვევაში?... – აქ სრულიად განსხვავებული ვითარება...

\* \* \*

1955 წელს ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა ანა კლანდაძის ფშაური ციკლის ლექსები. როგორც ჩანს, არაერთმნიშვნელოვანი იყო კრიტიკისა და მკითხველების დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი.

ქალბატონი ანა საკმაოდ გულდაწყვეტილი საუბრობს იმის თაობაზე, თუ როგორ გამოეხმაურა „ერთი ახალგაზრდა

კრიტიკოსი“ „მნათობის“ მე-11 ნომერში გამოქვეყნებულ ფშაური ციკლის ლექსებს: „გახალხურებისაკენ, სისადავისკენ სწრაფვას პოეტი ხალხური პოეზიისა და ვაჟას ლექსების იმიტაციამდე მიუყვანია“-ო... (355).

ქ-ნი ანა სიამოვნებით აღნიშნავს იმას, რომ „მნათობის“ რედაქტორი სიმონ ჩიქოვანი (ქ-ნი ანას დიდი გულშემატკივარი და პატივისმცემელი) „არ ეთანხმებოდა ამ შეფასებას და, თითქოს თავისი შეხედულებების დასასაბუთებლად, ჟურნალის არქივიდან გადმომცა ვეძათხეველი ავტორ-მთქმელის, ალექსანდრე ქუშხვეელის, ლექსი – „ანა კალანდაძეს ჟურნალ „მნათობის“ მე-11 ნომერში გამოქვეყნებული ფშაური ლექსების გამო“... გადმომცა სასკოლო რვეულის ორ გვერდზე მელნით ნაწერი ეს ლექსი და დასძინა, არავითარი უფლება არ მაქვს, ჟურნალის არქივიდან რაიმე გავცე, მაგრამ ამჟამად გამონაკლისს ვუშვებო... (355). ეს „გამონაკლისი“ დასტურია იმისა, რომ რედაქტორი ეთანხმება ქუშხვეელს და თანაუგრძნობს ახალგაზრდა პოეტს უსამართლო კრიტიკის გამო...

ქ-ნი ანა გვთავაზობს ნაწყვეტს ალ. ქუშხვეელის ლექსიდან:

„ეს ლექსები ფშავისხევის  
ყვავილების კონებია.  
ჩვენს ბაღაში მოგიკრეფავს,  
ფშავი მოგიწონებია...  
„ვაჟას ჩანგი მოძველდაო“,  
მე ტყუილად მგონებია,  
ჩვენი ხალხის პოეზია  
დროს ვერ დაუმონებია“...

ქ-ნი ანასთვის „ახალგაზრდა კრიტიკოსის“ „ბრალდება“ იმდენად გულსატკენი ყოფილა, რომ ვეძათხეველი მთქმელის ამ ლექსზე საინტერესო კომენტარს გვთავაზობს:

„ჩემთვის სასიამოვნო ის გახლდათ, რომ უმდიდრესი ხალხური პოეზიისა და ვაჟას პოეტურ მარგალიტს ნაზიარებ მთიელ კაცს, ხალხის წიაღიდან გამოსულს, სწორედ იმ კუთხის შვილს ჩემი სტრიქონები „ხალხური პოეზიის და ვაჟას ლექსების იმიტაციად“ რატომღაც არ მოსჩვენებია! იგი იმთავითვე ჩასწვდა ჩემს ჩანაფიქრს, „მიხვდა“, რომ „ეს ლექსები“ დაწერილი იყო **ხალხურ კილოზე** (ხაზი ყველგან ჩემია — გ. გ.), — „მათი ბაღნიდან“ იყო და, ბუნებრივია, ვეძათხვევლი მთქმელის მიმართ განვიმსჭვალე იმ დიდებული გრძნობით, რასაც ურთიერთგაგება ჰქვია, მკითხველისა და ავტორის ურთიერთგაგება; როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნე, ჩემი მიზანი ის იყო, რომ **სწორედ ხალხური პოეზიის** ენით შევხშიანებოდი **ხალხური პოეზიის მადლცხებულ კუთხეს**“ (356)...

აქ ორ ფაქტს მივაპყრობთ ყურადღებას: ა) ფშავი, უფრო სწორი იქნება, ვთქვათ, ფშავ-ხევსურეთი — „**ხალხური პოეზიის მადლცხებული კუთხეა**“ და 2) ფშაური, უფრო ზუსტად ფშავ-ხევსურული დიალექტი — „**ხალხური პოეზიის ენაა**“...

„პოლემიკა“ ფშაური ციკლის ლექსების თაობაზე ამით არ დასრულებულა. ცნობილ მწერალსა და კრიტიკოსს, ლავროსი კალანდაძეს, რომელიც იმჟამად „მნათობის“ პასუხისმგებელი მდივანი იყო, ჟურნალში „ახალგაზრდა კრიტიკოსის“ საპასუხო წერილი გამოუქვეყნებია; ანა კალანდაძის მხარდამჭერი წერილი: „აი, თქვენ იხილავთ ანა კალანდაძის ლექსებს, დაბეჭდილს ჟურნალ „მნათობის“ გასული წლის... №11-ში და საკმაოდ ბევრ საყვედურს ამბობთ პოეტის მისამართით... ასეთია თქვენი განაჩენი: „ფშავ-ხევსურებზე დაწერილ ლექსებში... გახალხურებისაკენ, სისადავისაკენ სწრაფვას პოეტი ხალხური პოეზიის და ვაჟას ლექსების იმიტაციამდე მიიყვანა“... ეს საკმაოდ მძიმე საყვედურია და, ვფიქრობ, საკმაოდაც უმართებულო... ჩვენ გვიყვარს სამშობლო, გვიყვარს ეს მთა, ეს ტყე, ეს

მდინარე, მაგრამ პოეტმა დაინახა ამ სიყვარულის მეორე მხარეც, დაინახა, თუ როგორ „კუყვარვართ“ ჩვენ ამ მთას, ამ ტყეს, ამ მდინარეს და როგორ წყურიათ მათ, რომ ჩვენც ძლიერ, მეტად ძლიერ გვიყვარდეს ისინი. ბუნების ამ გასულიერებაში დიდი გრძნობაა... ჩვენც, ჩვენი მხრივ, თავიდან უნდა ავიცილოთ პოეზიის გასქემატურებისა და გამოფიტვის საშიშროება. დეე, თანამედროვე ადამიანი მეტყველებდეს პოეზიაში მთელი თავისი, მრავალფეროვანი სულიერი ცხოვრებით. ...ჩვენც, კრიტიკოსები, ნამეტანს ნუ ვიზამთ, ნამეტანს ნუ შემოვზღუდავთ პოეტურ იდეათა სამყაროს. ჩვენს მუშაობაშიც არ ვარგა აჩქარება“ (357)... ლ. კალანდაძის ეს წერილი „მნათობში“ 1956 წელს დაბეჭდილა (მე-3 ნომერში)... კრიტიკოსის არქივში მოგვიანებით უპოვიათ ქუშხეველის ლექსის ხელნაწერი; როგორც ჩანს, ეს ლექსი მასაც მოსწონდა... (ლექსი გამოქვეყნებულა 1964 წელს ფოლკლორულ კრებულში...)...

ამ ფაქტს ქ-ნი ანა სხვაგან შეფასებასაც აძლევს: „მახსოვს, ერთმა კრიტიკულმა წერილმა, რომელიც 50-იან წლებში „მნათობში“ გამოქვეყნებულ ჩემი ფშაური ლექსების ციკლს უმართებულო, მცდარ შეფასებას აძლევდა, ჩემი უარყოფითი ემოციები აღძრა, რადგანაც წერილის ავტორი სცილდებოდა ჭეშმარიტების საზღვრებს!... თითქოს... ჩაქრენ ჩემს ირგვლივ მოხასხასე ფერები, გაფერმკრთალდნენ თვით მარადმწვანე ნაძვებიც კი, მზის ბრწყინვალეობაც კი... დაიბინდა! ეს ყველაფერი მხოლოდ ჩემი მაშინდელი სუბიექტური მძაფრი განცდების შედეგი გახლდათ, უარყოფითი ემოციების შედეგი, უსამართლობით გამოწვეული!“ (66).

პროტესტი გასაგებია: პროფესიონალი ენათმეცნიერი, კლასიკოსი პოეტი სრულიად შეგნებულად წერს: „ხალხური პოეზიის მადლცნებულ კუთხეზე“ „ხალხური პოეზიის ენით“...

ასე რომ: ფშავ-ხევსურული ციკლის ლექსებს იმთავითვე მიუპყრია მკითხველისა თუ სპეციალისტების ყურადღება თემატიკით – და „ხალხური კილოთი“...

რამდენიმე ამონარიდს მოვიყვან ფშაური და, მოგვიანებით გამოქვეყნებული, ხევსურული ციკლის ლექსებიდან:

„...ჭიჩოზე ნისლის კოტორი  
მძიმედ, ნელინელ ქანავსა...  
ზემო მიწევს, ღრუბლისკენ,  
ქვე არ ჩამოდის ჭალასა...  
თვალებს უხარის ყურება,  
გრძნობს, სახეს არცა მალავსა...  
ეს თავმდაბლობა უხდების,  
როგორც ქისტების ქალასა“.

ანდა: „დედუკავ, ჩემო დედუკავ,  
ბატარას დაიცდიდია,  
ჩემ ნაპირს ჩამოჯდებოდე,  
დამამშვიდებდე მითია...“

ანდა: „რაისთვის აქებ ქისტებს, ბერდედავ?  
მათს ვაჟკაცობას, ძალას და სიმხნეს?  
მიწა უვსიათ... ხევსურთა ძვლებით...  
– რას ამბობ, ქალავ, ვაჟკაცებ იყვნეს!...“

ანდა: „ამღას მივდივარ, კალოთანაის მხარეს, –  
ცხვარი იქა მყავ (თუ ხევში სად არ ჩავრჩი)!  
გნახე შშვიდობით... ცა ჩირახივით ბოლავს, –  
ნისლები დიან... ქვექვური ჯვარის ძალო!  
არ-კი გეწყინოს, – ლუდ მაუბნებდის ასე,  
ჩემ ათი შვილის გახარებამა, ქალო?...“

ანდა: „ღმერთმ გაგახარათ, დაიცნო,  
თუმც... ეშმაი ხართ, მაცდური!...“

ამოიძახებს ზემოთკე  
ფეხარეული დასტური...“ და სხვა...

ლექსიკური თუ გრამატიკული თავისებურებანი ფშავ-  
ხევსურული დიალექტისა თვალშისაცემია...

სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ამ ლექსებმა საყო-  
ველთაო ყურადღება მიიქცია...

თან ორი ფაქტორიც გავითვალისწინოთ: ანა კალანდაძის  
სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე სხვა ვითარება შეიქ-  
მნა ჩვენს ლიტერატურულ სამყაროში. ქ-ნი ანა „საუბრებში“  
დაწერს: „ლენინგრადის ლიტერატურული ჟურნალების იდეო-  
ლოგიურად დამუშავებას ჩვენთანაც გამოეხმაურნენ. „უიდეო  
და აპოლიტიკური ნაწარმოებებისათვის“ მეც გამაკრიტიკეს  
უფროსი თაობის მწერლებთან ერთად... (44) და ეს პერიოდი  
ასევე ემთხვევა იმას, ვაჟა-ფშაველას რომ ბრალდება წაუყენეს  
„ენობრივ პარტიკულარიზმში“...

და ამ ფონზე არაა გასაკვირი, ვინმემ თავი მოიწონოს  
ანა კალანდაძის კრიტიკით... (ნიშანდობლივი ფაქტი: ამ კრი-  
ტიკას ქ-ნი ანა რამდენიმეჯგუფის გაიხსენებს, შეაფასებს, მაგრამ  
„ახალგაზრდა კრიტიკოსის“ გვარს არ ასახელებს...).

ანა კალანდაძის დამოკიდებულება ხალხური მეტყველე-  
ბისადმი, ძველი ქართულისადმი და თანამედროვე სალიტერა-  
ტურო ენისადმი არაერთის ინტერესის საგანი გამხდარა...

ქ-ნი ანა მოიგონებს 1979 წლის 8 მარტის რადიოგადა-  
ცემას – დიალოგს ლამარა კიკილაშვილთან. წერს: „კითხვა-  
ზე, რა კავშირშია, თქვენი აზრით, ძველი ქართული პოეტური  
სიტყვა და ხალხური მეტყველება, ძველი ქართული ლიტერა-  
ტურული ძეგლების ენა და დღევანდელი ცოცხალი ხალხური  
ენა, ჩემი პასუხი ასეთი გახლდათ: ძველსა და ახალ ქარ-  
თულს შორის, როგორც ცნობილია, ჩინური კედელი არაა აღ-  
მართული, – ძველი და ახალი ქართული ენა შესახება ერთ.

მთლიან ცოცხალ ორგანიზმად, რომლის შუაზე გადაკვეთა უეჭველ სიკვდილს გამოიწვევს-მეთქი“ (118). ამ პასუხში ერთ მომენტს მივაქცევთ ყურადღებას: ძველი და ახალი სალიტერატურო ენა, ცოცხალი ხალხური მეტყველება ერთი მთლიანობაა... ამიტომაცაა ანა კალანდაძის პოეზიაში ძველი ქართული და ხალხური მეტყველება თანამედროვე სალიტერატურო ენასთან შერწყმული... და ეს პროცესი, „არჩევანისა“, რითაა შეპირობებული? ქ-ნი ანა ამ თემაზეც „საუბრობს“: „ყველაფერს „მდაბიური“ ენით ვერ გადმოსცემ და არც ყველაფერი ითქმის „ამაღლებულით“, — ამას უჩვენოდაც ჩინებულად აწესრიგებს „ის“, რაიც შთაგონებით გვწყალობს! დიახ, სათქმელი ხშირად „თვითონ მოძებნის“ თავის გამოხატვის ფორმას, თვითონ „გიკარნახებთ“, რა ფორმით სურს განსხეულება“ (63).

ფაქტია: ფშავი და ხევსურეთი... ფშაველები და ხევსურები — ანა კალანდაძის ცხოვრებასა და პოეზიაში ერთი უზარმაზარი სამყაროა... გადავხედოთ თხზულებათა მეორე ტომის მონაკვეთს — „ფშავსა და ხევსურეთში“ (გვ. 157-223) — და დავრწმუნდებით... და, რა თქმა უნდა, ფშაური და ხევსურული ციკლის ლექსებს...

\* \* \*

ზემოთაც გავიხსენეთ: ქ-ნი ანა შენიშნავს: „ხალხურ კილოს საგანგებოდ მივმართავ ხოლმე კოლორიტის — ხალხურობის სურნელის შესანარჩუნებლად... მივმართავ, ცხადია, მხოლოდ მაშინ, როცა ლექსის თემა მოითხოვს ამას. მაგალითად, ასე მოვიქვეცი ფშაური ციკლის ლექსების წერისას“ (73)...

„ხალხურობის სურნელი“ ფშავ-ხევსურულ კილოს სხვაგვარი აქვსო...

სწორედ ამგვარმა გააზრებამ დამასმევინა კითხვა: „თქვენ გურიაში დაიბადეთ. როგორც წესი, „პირველი პოეტური შთა-

გონება“, „პირველი პოეტური სიტყვა“ თქვენს „სოფელს უკავშირდება...“ და რამდენადაც დაკვირვებებივარ, თქვენს ლექსებში გურული დიალექტის კვალი არ ჩანს... რატომ?...“

ქ-ნ ანას კითხვა არ გაჰკვირვებია... პასუხი მრავლის-თქმელია:

„თუ მკრეხელობაში არ ჩამომერთმევა, მოვიგონებ ადგილს „მგზავრის წერილებიდან“: „მართალია თუ არა ჩემი მოხევე, მე მაგის გასინჯვაში არ შევალ, ან რა ჩემი საქმე ევა? მე გაკვრით, როგორც მგზავრი, ვიხსენებ მას, რაც მისგან გამიგონია. ჩემი ცდა მარტო იმაშია, რომ იმის აზრისათვის იმისივე ფერი შემერჩია და იმის სიტყვისათვის იმისივე კილო. თუ ეს შევასრულე, ჩემი განზრახვაც შემისრულება“...“

და ამას მოსდევს ჩვენი თემისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი აზრი პოეტისა: „ფერი“ და „კილო“ ყოველ ქართულ დიალექტურ სიტყვას თავისებური, განუმეორებელი აქვს... ფშავ-ხევსურული სიტყვის „ფერი“ და „კილო“, ჩემთვის... საკმაოდ უცხო აღმოჩნდა, თანაც... „უმაღლესი პოეზიით“ გაჯერებული... თავი მთვარეზე მეგონა“...“

ქ-ნი ანა განაგრძობს: „ხალხური პოეზიის დიდებულ კუთხეს მინდოდა ისე შევხებოდი მხოლოდ – „თავის ენაზე!“ ეს ლექსები მხოლოდ ასე გახმაურდნენ ჩემში...“ და ამ მსჯელობას მოსდევს ჩემ მიერ გურული დიალექტის თემაზე დასმული შეკითხვის პასუხი: „ჩემს ლექსებში გურული დიალექტის კვალი რომ არ ჩანს, ამასთან დაკავშირებით ისევ ჩემს ნათქვამს გავიმეორებ: „ჯერ კიდევ ბევრი რჩება ამქვეყნად ამოუხსნელი, ამოუცნობი და ამდენად – განუმარტავიც!...“

\* \* \*

ამ, შეიძლება არცთუ დალაგებულ, ჩემს საუბარს ანა კალანდაძის ვრცელი ამონარიდით შევაჯამებ (ზოგ რამეს გავიმეორებ):

„ხალხურ კილოს საგანგებოდ მივმართავ ხოლმე კოლორიტის — ხალხურობის სურნელის შესანარჩუნებლად (უხსოვარ დროში შექმნილ პოეზიას გვეულისხმობ, ძველ ხალხურ პოეზიას და იმ **ხალხური ლექსის კილოს**) მივმართავ, ცხადია, მხოლოდ მაშინ, როცა ლექსის თემა მოითხოვს ამას. მაგალითად, ასე მოვიქცევი ფშაური ლექსების ციკლის წერისას. ისინი ფშაური ხალხური ლექსის მოტივებზეა შექმნილი, — ხალხური პოეზიის დიდებულ კუთხეს მინდოდა (უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყვოდი, „უნდოდა“—მეთქი!) ასე შევხშიანებოდი, მხოლოდ „თავის ენაზე!“ არა, ვერ გადმოსცემს ეს ნათქვამი იმ განწყობილებას, რაიც მაშინ „მკარნახობდა“ ამ სტრიქონებს: **ეს ლექსები ასე გახმაურდნენ ჩემში მთიდან დაბრუნებისთანავე, მხოლოდ ასე მეწერებოდა!**

ეს სხვა დროსაც არაერთხელ აღმინიშნავს, ამდენად „ქართული ფოლკლორის სახეობრივი წყობის გავლენაზე“ ლაპარაკი სავსებით უსაფუძვლოდ და უმართებულოდ მიმაჩნია!“

აქ ქ-ნი ანა ერთ ძალიან საინტერესო კითხვასაც დასვამს: „საინტერესოა, რას უნდა მიეწეროს ის, რომ ფშავ-ხევსურული პოეზიის ნიმუშების კითხვისას მსახიობთა უმრავლესობა უთუოდ უქცევს ამ კუთხის დიალექტზე? ხომ არაა ეს ის, რასაც გარემოს კარნახი შეიძლება ეწოდოს?“ (73).

\* \* \*

ფშავ-ხევსურეთს ქ-ნი ანა გურულის თვალით უყურებს; გურული ისმენს... ამიტომაცაა ზოგჯერ ფშავ-ხევსურული ფაქტებისა და მოვლენების შედარებას გურიასთან ახდენს...

ნათელა ბალიაურის კერძო საუბრიდან ამოკრებილ მასალას როცა გვაცნობს, ასეთ ფაქტზე ამახვილებს ყურადღებას: ხევსურეთში „ძმებს არ სცოდნიათ ერთმანეთში ჩხუბი — „ძმებმა არ იციან შუღლიო“... და როცა ამას წერს, იქვე ფრჩხილებში ასეთ კომენტარს გვთავაზობს: „მამაკაცის, კერძოდ, ძმის კულტი არც გურიისთვისაა უცხო!“ (167)...

ერთგან ასეთ ფაქტს მიანიშნებს: „ხევსურეთში სახლთან ახლოს არასოდეს არ ამხედრდებიანო“ და იქვე გაიხსენებს ბატონი ივანე გიგინეიშვილის ნაამბობს: „კარწინ ცხენზე შეჯდომა გურიაშიც სირცხვილად ითვლებოდა, ეზოს გადაღმა გააცილებდნენ სტუმარს და იქ შეჯდებოდნენ ცხენებზეო“ (497), მაგრამ როცა ენაზე და პოეზიაზე საუბრობს

ფ შ ა ვ - ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი —

„ხალხური პოეზიის ენაა!...

„ხალხური ლექსის კილოა“

„მისი სიტყვის „ფერი“ და „კილო“... საკმაოდ უცხო აღმოჩნდა, თანაც... უმაღლესი პოეზიით გაჯერებული“...

ეს არამიწიერი სამყაროა („თავი მთვარეზე მეგონაო“)...

ხალხურობის სურნელით გაჯერებული კილო...

ფ შ ა ვ - ხ ე ვ ს უ რ ე თ ი —

„ხალხური პოეზიის მადლცხებული კუთხეა“...

„ხალხური პოეზიის დიდებული კუთხეა“...

„გარემოს კარნახი“ გაიძულებს — „შეეხმიანო“ მხოლოდ „თავის ენაზე“...

და ყოველივე ეს დიდებული ქართულია — „ხევსურული კილოთი დაფერილი ქართული“... ქ-ნი ანა ნათელა ბალიაურის ჩანაწერების შესახებ წერს: „ვკითხულობ ამ ჩანაწერებს (...) და ყურში ნათელას ხმა, მისი ხევსურული კილოთი დაფერილი ქართული ჩამესმის... არაგვის ხმაურთან ერთად! მეც ხომ ყოველთვის გულს მიჩქროლებდა და საარაგვოსაკენ მეწეოდა“ (159)...

მე მგონი, ესაა პასუხი ჩემს შეკითხვაზე — გურულისა და ფშავ-ხევსურულის თაობაზე რომ დავსვი...

ისე, სხვათაშორის: ქ-ნი ანა ძალიან კარგად იცნობს სხვა კუთხეებსაც საქართველოსას: მისი ოჯახი იმერეთში, ქუთაისში, ცხოვრობდა და სკოლაც იქ დაამთავრა ქ-ნმა ანამ; ქართლში ექსპედიციებში დადიოდა და არაერთგზის სტუმრობდა კახეთს... „გარემოს კარნახზე“ მხოლოდ ფშავ-ხევსურთში საუბრობს...

\* \* \*

ერთიც:

ქალბატონ ანას შეკითხვა დაეუსვი: „სიმღერისა და ენის ურთიერთკავშირზე ბევრი გიფიქრიათ... ბ-ნი არნოლდ ჩიქობავას ეს აზრიც თქვენს ჩანაწერებში ამოვიკითხე: „ენის შემდეგ სიმღერა ყველაზე მეტად ემსახურება ეროვნულ საქმეს, ერის კულტურის მანვენებელია“... შეკითხვა სხვა კუთხით მინდა დავსვა:

ფაქტია, რომ ლექსი და სიმღერა განუყრელადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. შეიმჩნევა ასეთი კანონზომიერება: ქართულ სინამდვილეში იქ, სადაც მაღალია პოეტური კულტურა, შედარებით დაბალია მუსიკალური კულტურა და პირიქით. მაგალითად, ფშავ-ხევსურული პოეზია უმაღლესი ხელოვნებაა, ამ კუთხის მუსიკალური კულტურა გაცილებით დაბალია; სამაგიეროდ, გურიაში უმაღლესი მუსიკალური კულტურაა, ხალხური პოეზია კი მასთან შედარებით – უფერული... თქვენ როგორ ახსნიდით ამ ფაქტს?...”

სამწუხაროდ, ამ კითხვაზე პასუხისაგან ქ-ნმა ანამ თავი შეიკავა...

ზემოწარმოდგენილი მსჯელობის საფუძველზე თითქოს შესაძლებელი არის ამგვარი დასკვნის გაკეთება:

ფშავ-ხევსურული კილო – პოეზიის ენაა და არა სიმღერის...

გურული კილო – სიმღერის ენაა და არა პოეზიის...

ასეა ვითომ?...

## სასკენ ნიშანთა „ანასეული სისტემა“

### ა) მრავალწერტილი

ანა კალანდაძის ორტომეულის (1995 წ.) ერთ-ერთი რედაქტორი ვახტანგ ჯავახაძე მოგვიანებით წერდა: ლექსებში ანა კალანდაძე ხმარობდა მძიმესა და ორ წერტილს ( ... ); ყველგან სამი წერტილით შეუუცვალე; ქალბატონი ანა დამეთანხმავ. რედაქტორი ნანობდა ტექსტში ამგვარ ჩარევას... (აქვე ვახტანგ ჯავახაძე იმ იმედსაც გამოთქვამს, ოდესმე ვინმე დაწერს გამოკვლევას – „მრავალწერტილი ანა კალანდაძის პოეზიაში“... ჩვენ ვახტანგ ჯავახაძეს დავესვხეთ ერთ-ერთი ჩვენი პუბლიკაციის სათაური...).

თავისთავად, ინტერესს აჩენს, რას ნიშნავს უჩვეულო მძიმე და ორი წერტილი (ჰორიზონტალურად განლაგებული – ... )? ასეთი რამ ტრადიციულ პუნქტუაციის წესებში არ არის. მოგეხსენებათ, ანა კალანდაძე პროფესიონალი ენათმეცნიერია; მის ნაწერებში ენობრივ შეცდომებზე (გრამატიკული იქნება ის, სტილისტური თუ პუნქტუაციური) საუბარი უხერხულიც კი არის: ანას ქართული – კლასიკური ქართულია. „ენა ჩემი ბედისწერააო!“ – წერდა ერთგან და ეს შეგნება ენისადმი მის დამოკიდებულებას კლასიკურ მაგალითად წარმოგვიჩენს...

შენიშვნა: ანა კალანდაძეს თეორიული გრამატიკული ნაშრომები არ შეუქმნია. თუმცა, როგორც ჩანს, მას ჰქონდა თავისი შეხედულებები, თვალსაზრისები, რო-

მელთაც თავის ნაწერებში ატარებდა... თუნდაც: ქ-ნი ანა გამოიყენებს ფორმას „უნებლიედ“. სწორედ ახლახან ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ ნორმად მიიღო ეს ფორმა ადრინდელი მართებული ვარიანტის (უნებლიეთ) გვერდით... ასევე შეიძლება მივიჩნიოთ სასვენ ნიშანთა მისეული სისტემა, თუმცა ამის თაობაზე უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ...

მაშ, რას ნიშნავს არაორდინალური სასვენი ნიშანი? ამ ფიქრმა გადაგვაწყვეტინა მკვლევრის თვალთ ჩაგვეხედა მის პოეზიაში. რამდენადაც რედაქტორ-გამომცემელთა ჩარევა ხდებოდა გამოსაცემ ტექსტში (განსაკუთრებულად პუნქტუაციური), გადავწყვიტეთ, საანალიზოდ აგველო ანა კალანდაძის წიგნი „თუთა“, რომელიც გამომცემლობა „საარმა“ 2004 წელს გამოსცა (რედაქტორი ჯუმბერ თითმერია). ეს არის პოეტის ხელნაწერთა კრებული. მასში შესულია 100 ლექსი (პოეტის მიერ შერჩეული) და მოიცავს 141 გვერდს. წიგნს ერთვის სხვადასხვა მხატვრის მიერ შესრულებული ქ-ნი ანას 7 პორტრეტი და დასურათებულია რუსუდან ფეტვიაშვილის მიერ. შესანიშნავი გამოცემაა.

ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ პოეტის ხელნაწერებია ამ გამოცემაში შესული – რედაქტორ-გამომცემელთა ჩარევა ტექსტში არ მომხდარა.

ვინც იცის ქ-ნი ანას პასუხისმგებლობა მისი ხელიდან გამოსული ტექსტის მიმართ, არ გაუკვირდება: რამდენიმეჯერ გადავიკითხე და წიგნში კორექტურული შეცდომაც ვერ ვიპოვე. ამას იმიტომაც აღვნიშნავ, რომ სასვენი ნიშნებიც ასეთივე პასუხისმგებლობითაა მასში დასმული.

ტრადიციული პუნქტუაციური ნიშნები – მძიმე, ორი წერტილი (ვერტიკალურად განლაგებული), ძახილის ნიშანი, კი-

თხვის ნიშანი და კითხვით-ძახილის ნიშანი ტექსტში ჩვეულებრივ, გრამატიკული წესების შესაბამისად გამოიყენება. უცნაურია, მაგრამ წერტილს იშვიათად გამოიყენებს: მთელ წიგნში სულ 18-ჯერ არის ნახმარი; 9-ჯერ – ლექსის ბოლოს, ამდენ-ჯერვე – შიგ ტექსტში... სხვა შემთხვევაში მოსალოდნელი წერტილის ადგილას მრავალწერტილი ზის... წიგნში რამდენიმე ლექსს ეპიგრაფი უძღვის. ამ პროზაულ ტექსტში წერტილი ჩვეულებრივ, პუნქტუაციის არსებული წესების შესაბამისად გამოიყენება. პოეტურ ტექსტში არაა ასე...

ესეც საინტერესოა: 100 ლექსიდან ლექსის ბოლოს 42-ჯერ ძახილის ნიშანია დასმული, 36-ჯერ – მრავალწერტილი (უმეტესად სამი წერტილი, ერთგან ორი წერტილი .. ); კითხვის ნიშანი და მრავალწერტილი ( ?... ), ძახილის ნიშანი და ტირე ! – (2-ჯერ)...

არ უნდა იყოს ეს ფაქტი უმნიშვნელო...

ჩვენ ვისაუბრებთ მრავალწერტილის გამოყენების თაობაზე, ძირითადად პუნქტუაციის არსებული წესებისაგან განსხვავებულ შემთხვევებზე.

\* \* \*

სამი წერტილი ( ... ). ეს ნიშანი ანას პოეზიაში ყველაზე ხშირადაა გამოყენებული. ჩვეულებრივ, გრამატიკის სახელმძღვანელოებში მითითებული წესებისაგან განსხვავებით, შეიძლება შეგვხვდეს იქ, სადაც „მშრალი გრამატიკული წესების“ დარღვევად უნდა მივიჩნიოთ:

მარტივ წინადადებაში სამი წერტილით გათიშულია წინადადების მთავარი წევრები:

„მე... შხამი მასვეს!“,

„მე ხომ... სტვირი ვარ ქარში გაზრდილი“,

„მეც... სხვათაშორის ვიკითხე“,

„ყვავილებიც... იმდენია ნაზსათუთად ნატიფები!“,

„ეს... ვინ არი, გამოცხადდა მგზავრის წინა?“...

სხვა შემთხვევები, როცა „არასწორადაა დასმული“ სამი წერტილი (სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ზედმეტია“):

„მაგრამ... დახედეთ განჩინებას ამა სოფლისას“.

„როგორ, ვითომ... ქართველები მოდიან?“

„და... მეც გავვიყდი...“

„და... შემოხეთქა ქარმა კარები“.

„სიტყვას ვიტყვი და... დაიწყება ქუხილი ცაზე“.

„და... რა ქალი?!“

„ეტყვიან და... ისიც ეტყვის ურიგოს...“

„იციან მგზავრთა, რომ... მგლისა არი ველი ვრცეული“.

„გნახავ და... გამეხარდები“.

„დუმს, მაგრამ... გულში კი... რას ფიქრობს ნეტა?“

„განა... ერთგვარად შეგიცნო ჩემმა გულმა და სხვისამა?“

„ხელი ჰკარ მახვილს, საქართველოს გულთან დახრი-  
ლო, და... ააცდინე!“

„გული კი ჩემში... კვლავ გაზაფხულობს, თითქოს იგივე...  
ჩემს თავს არ იყვეს!“

„მაგრამ... ნამუსი... ვინ მისცა ძალღათა?“

„და უცხო ნათელს

სული...

პეპლები...

გაეკიდება!“

მაგალითების გამრავლება შეიძლება... თუნდაც:

„აკაციის ტვერი...

წნელის სუსტი ღობე...

ქუდმონდილი ქვეერი...

ღვინიანი კობე...“ და ა. შ.

სახელდებითი წინადადების ბოლოს მხოლოდ სამი წერ-  
ტილი ზის (სავარაუდო შემასმენელზეა მინიშნება ვითომ?)...

ცხადია, წარმოდგენილ შემთხვევებში სამი წერტილის  
ფუნქცია არ არის ტრადიციული (გამოტოვებული სიტყვა, შე-

კვეცილი ციტატა, დაუშთავრებელი წინადადება თუ სიტყვა...);  
– მეტია. ავტორი რიტმს გვიკარნახებს, მოულოდნელობის  
ეფექტს ქმნის, სამი წერტილის მომდევნო ფრაზაზე აქცენტს  
ამახვილებს... და ა. შ. ანა კალანდაძის პოეზიის მკვლევარმა  
ამ ფაქტს ყურადღება უნდა მიაქციოს (და, რა თქმა უნდა,  
დეკლამატორმაც)...

ორი წერტილი (პორიზონტალურად განლაგებული ( .. )  
არაა იშვიათი ანას ლექსებში; გრამატიკული თვალსაზრისით  
მნელია (ფაქტობრივ შეუძლებელი) იმ სხვაობის დანახვა, რაც  
არის ორ წერტილსა ( .. ) და სამ წერტილს ( ... ) შორის:

„ვარსკვლავთა ვუჭვრეტ შიშით და კრძალვით  
უდაბურს ტყეში დაძრწის მარტორქა..  
ქარი გუგუნებს ქვაბის კართან  
თავეანწირული,  
ხმა აქვს საზარი“.

„ჩვენკენ სძრავდნენ, ჩვენ გვარბევდნენ რისხვითა  
გვერდშეჯარულთ სამის წყრთისა ისრითა..“

„ბოლოს აპირებენ, გიგაურებთან,  
ორგან თუ სამგან ელით ტაბლები..“

„ჩანს არ ყოველი წაშლილა,  
არც.. არაგვს მოაქვს ყოველი!“

„მაგრამ.. გალობენ კვლავ ანგელოსნი  
და დღემარადის შეფგფვინვენ ზენას.“

„გაჰყვა სენკოვსკი, ვითომ.. ძველ დროსა?“

ზოგან მსგავს შემთხვევებში, როგორც ვნახეთ, სამი  
წერტილი არის დასმული.

თავისთავად ჩნდება კითხვა: ეს შემთხვევები (ორი წერ-  
ტილი) კალმის შეცდომა ხომ არ არის?

ვეფიქრობთ, — არა: ლექსში „ქარმა შეარხია რტოი ძეწ-  
ნისაი“ (სათაურთან სასვენნი ნიშანი არ ზის) სათაური ტექსტ-  
ში ორჯერ მეორდება. ორივე შემთხვევაში სტრიქონის ბოლოს  
ორი წერტილი არის დასმული ( .. ). არადა 17 სტრიქონიან  
ლექსში რვა სტრიქონის ბოლოს სამი წერტილი ( ... ) ზის.  
როგორც ვთქვით, განმეორებული სათაურის ბოლოს ორივე-  
ჯერ ორი წერტილია! არ ჩანს ეს შემთხვევითი.

არის შემთხვევა ოთხი წერტილისაც:

„ბრწყინვა კანდელთა ჰგავდა  
ბრწყინვას ვარსკვლავთ მირიატთ...“

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კომბინაცია —  
მძიმე და მრავალწერტილი (რის თაობაზეც ვ. ჯავახაძე მია-  
ნიშნებდა).

აქ რამდენიმე ვარიანტი გვაქვს:

მძიმე და ორი წერტილი ( .. )

„მე ვგრძნობ, ტალღები ამ კიდობანს  
როგორ არყევენ, ჩემო ბებია,..  
რად სევდიანნი შენს სარკმელთან  
დგანან არყები?“

„მათ გადაიარეს ცა პირამიდების,  
ხეთა და მიდია,..

ზღაპრული ურარტუ, ქართული მინდვრები,  
კვლავ საით მიდიან?“

„— როგორ ხარ? — ჩუმაღ იკითხე  
(ძველი ნაღველი გშთენია...),..  
დაბნულდა ირგვლივ, მზის სხივი  
მხოლოდ ბორბალოს ჰფენია...“

მძიმე და სამი წერტილი ( ,... ):

„ბუდი ჰქონდეს? ხა, ხა, ხა, ხა,... არასოდეს!“ –

(საინტერესოა: ლექსის ბოლოს ეს ფრაზა მეორდება; გამეორებისას მძიმე აღარ ჩანს: სატანამ თქვა: ხა, ხა, ხა, ხა... არასოდეს!“)

„რა ვიცი,... ღმერთმა მშვიდობა მოგცეს!“

ორივე შემთხვევაში მძიმე „თავის ადგილზეა“; გამოცანას ორი და სამი წერტილი წარმოადგენს. მათ იგივე ფუნქცია აქვთ, რაც ზემოთ (მძიმის გარეშე მრავალწერტილს), თუმცა ეს ფუნქცია ამოსაცნობია. განსხვავებაა დასანახი.

ასევე საინტერესოა კომბინაციები: ძახილის ნიშანი და მრავალწერტილი.

ძახილის ნიშანი ანა კალანდაძის ლექსებში ძალიან ხშირად გამოიყენება. ზემოთაც ვთქვით, თითქმის სანახევროდ ლექსის ბოლოს ძახილის ნიშანს დასვამს... ხშირია ძახილის ნიშანთან მრავალწერტილის კომბინაცია:

**ძახილის ნიშანი და ორი წერტილი:**

„საქართველო შენი წილმომხედარია,  
გაგვამარჯვე, ღვთისმშობელო მარიამ!“

„გაქრა, ნუქარდინ, ოცნება ამო, –  
შორია თამარ!“

„და... რა ქალი?! ხელის გულით სატარები!“

**ძახილის ნიშანი და სამი წერტილი:**

„აქ ჩაესვენა ერთი ვარსკვლავი,  
აქ, შარავანდის დიად გვარისა...

.....  
ეჰა, შავბედო!“

..დინჯად მისდევს კვალში ძველი გუთანნი...  
ვერ წაიღებს ხორბალს სულთამხუთავი!..“

..ხელგაშლილი ვადუდგება მეზღვაური, –  
– მხოლოდ ერთხელ მაკოცეო, სულიკო! ...“

დახილის ნიშანი და ოთხი წერტილი:

„რა თვალები?! ელვის ცეცხლის დამჭერი!...“

ეს ლექსი („ბოშა ქალი“) ამ მხრივ ძალიან საინტერესოა: გვერდივერდ არის დახილის ნიშანი და ორი წერტილი, დახილის ნიშანი და სამი წერტილი, დახილის ნიშანი და ოთხი წერტილი:

„და... რა ქალი?! ხელის გულით სატარები!..

რა თვალები?! ელვის ცეცხლის დამჭერი!...“

ბოშა ქალი, ვარსკვლავების სადარები!

შეხედეს და... შეუკუროთხეს გამჩენი!...“ და ა. შ.

აქ ერთ ფაქტსაც გვინდა ყურადღება მივაქციოთ: მრავალწერტილი დახილის ნიშნისაგან დაშორებულია – „მხოლოდ ერთხელ მაკოცეო, სულიკო! ...“. ჩვეულებრივ მრავალწერტილში წერტილები თითქმის თანაბრადაა დაშორებული. აქ კი ზოგჯერ დახილის ნიშანთან ინტერვალი გვაქვს:

! .. / ! ... არც ეს უნდა იყოს შემთხვევითი.

გვაქვს ასეთი შემთხვევაც – კითხვის ნიშანი და დაშორებული სამი წერტილი:

„დავდივარ ბალში, ვით უდაბნოს მწირი,

და ჭიამარია,

ვინ იცის, სად არი? ...“

ეს ლექსის დასასრულია. ლექსში კითხვის ნიშნები არის, მაგრამ მრავალწერტილის გარეშე:

„რატომ არ დასველდი, თუ წვიმდა

წუხელი,

გეძინა სადა?

თქვი ჭიაშარია, სით მიგიხარია?“

კიდევ ერთი საინტერესო თავისებურება: ტირეს გამოყენება „ანასეული მრავალწერტილის“ ფუნქციით:

„მტრის გვაძოთ შორის... იცვნეს ღიაცო,

როს დასწვდნენ ჩაჩქანს,—

ხელი არ ახლეს იმის იარაღს“.

„ამ ცხელ ქვიშაზე... პატარა გოგომ

გადაირბინა,—

თეთრმა იზიღამ...“

„რასაც აქ ეძებ,

დახუჭე თვალი,—

შენშია სულაც!“

სხვაგან მსგავს შემთხვევაში მრავალწერტილია გამოყენებული; ჩვეულებრივ ტირე ტრადიციული ფუნქციით გამოიყენება — დიალოგში:

„დგახარ ქუჩის განაპირას,

ვარდებს ყიდი...

— ჩემო კარგო,

არაბი ხარ?—

— იეზიდი... —

როგორც ია,

თავდახრილი ბუჩქის ძირას,

მორცხვი ხარ და

როგორ გშენის კდემა ღიდი...

— თქვი, შავთვალავ,

არაბი ხარ?—

— იეზიდი! —“

ბოლო სტრიქონის ბოლო ტირე „ანასეული“ მრავალ-  
წერტილის ფუნქციისაა...

ახლახან ზაზა აბზიანიძემ გამოსცა ალბომი — „ანა კა-  
ლანდაძე — ხელნაწერები; ანა ნიკოლაძე — ფერწერა“. ხელნა-  
წერი ლექსების რვეული ანა კალანდაძეს 1950 წელს უსახ-  
სოვრებია თავისი ლექტორებისათვის — ანა ნიკოლაძისა და  
გიორგი აბზიანიძისათვის.

სასვენ ნიშნებთან თავისებური დამოკიდებულება ანა კა-  
ლანდაძისა ამ ახალგაზრდობისდროინდელი ალბომიდანაც ჩანს.  
თუმცა არ ემთხვევა ყოველივე გვიანდელ ხელნაწერებს. მეტი  
„თავისუფლება“ გვიანდელ ხელნაწერებშია. ჩვენი მიზანი არ  
არის ამ ხელნაწერთა შედარება. ერთს აღვნიშნავთ: ორი წერ-  
ტილი ( .. ) იმ ხელნაწერებშიც არის მძიმის ფუნქციით.  
ლექსში „ალარავინ აღარ მიყვარს“ ორჯერ მეორდება ერთი  
და იგივე სტრიქონი. „ძველ ალბომში“ ასეა:

„ზა.. ზა.. ზა.. ზა.. არასოდეს!“ ორივე სტრიქონში სასვე-  
ნი ნიშნები ერთნაირად არის დასმული (..).

„საარის“ გამოცემულ წიგნში (2004 წ.) ეს ვარიანტია:

„ზა, ზა, ზა, ზა... არასოდეს! — გამეორებისას სამი წერ-  
ტილის წინ მძიმე არ არის...

„თუთა“-ში ანასეული სასვენ ნიშანთა სისტემა უფრო  
„დახვეწილია“, ვიდრე „ალბომში“...

ვარიაციები — !.. / !... / !... / ! ... ან „... / „... — ნა-  
ბეჭდ ტექსტში აღარ არის. რედაქტორმა (ვ. ჯავახიძემ) დაი-  
ნანა კიდევ — არ უნდა გამესწორებინაო.

ერთ მაგალითს მოვიყვან, რედაქტირებულ (სტამბურად  
გამოცემულ) ტექსტს რა სახე აქვს (ფრჩხილებში ვსვამ ხელ-  
ნაწერისეულ ვარიანტს):

„და რა ქალი?! ხელის გულით სატარები... (!...)  
რა თვალები?! ელვის ცეცხლის დამჭერი... (!...)  
ბომა ქალი, ვარსკვლავების სადარები... (!)  
შეხედეს და... შეუკურთხეს გამჩენი... (!...)  
მეზღვაურებს გამოძწევად გვერდს აუვლის,  
ეტყვიან და... ისიც ეტყვის ურიგოს...  
ხელგაშლილი გადუდგება მეზღვაური: (-)  
- მხოლოდ ერთხელ მაკოცეო, სულიკო!.. (! ...).

კიდევ ერთი საინტერესო ვარიანტი: ლექსი „დამილო-  
ცეთ, ძმებო!“ ბეჭდური ვარიანტი თითქმის ემთხვევა გვიანდელ  
ხელნაწერს. ერთი მცირე სხვაობაა:

„აკაციის ტვერი...  
წნელის სუსტი ღობე...  
ქუდმოხდილი ქვეერი...  
ღვინიანი კოპე...  
აქ, - მზით დამწვარ ხელში,  
ღვინიანი ჭიქა...  
იქ, - ცარიელ ქვეერში  
დამწვედული ჭინკა...“

ხელნაწერში V და VII სტრიქონებში ტირე არ არის  
და VI სტრიქონის ბოლოს მძიმეა. საინტერესო ვარიანტია  
ადრეულ ხელნაწერში: კენტი სტრიქონების ბოლოს სამი წერ-  
ტილია (ტვერი... ქვეერი...), ლუწი სტრიქონების ბოლოს ორი  
წერტილი (ღობე.. კოპე.. ჭიქა.. ჭინკა...)... უდავოდ საინტერე-  
სოა!..

ამ მაგალითებიდანაც ჩანს, რა სიფრთხილეა საჭირო  
კლასიკოსის ნაწერების გამოცემისას. პროფესიონალ ენათმეც-  
ნიერს, კლასიკოს პოეტ ანა კალანდაძეს „გრამატიკული ნორ-

მების შესაბამისად“ (პუნქტუაციის სტანდარტული წესების შესაბამისად) ტექსტს უსწორებენ...

პოეტს რედაქტორთან კამათი არ დაუწყია, დაეთანხმა მის გასწორებებს... ესეც გასაგებია: ანა კლანდაძის ბუნებისათვის ჩვეული ეესტი – ამ ( ... ) და სხვა ავტორისეულ იმპროვიზაციათა შესახებ პოეტი პასუხს ერიდება, ახსნას არ ცდილობს. რატომ? სხვა შემთხვევისათვის ანასაგან თქმულს გავიხსენებ: „ჯერ კიდევ ბევრი რჩება ამქვეყნად ამოუხსნელი, ამოუცნობი და. ამდენად, განუმარტავიც...“ „ამას უჩვენოდაც ჩინებულად აწესრიგებს „ის“, რაიც შთაგონებით გვწყალობს!“

2004 წელსვე გამოქვეყნდა „ლიტერატურის მატრიანემ“ გამოსცა ანა კლანდაძის კრებული „ძვირფასი ავტოგრაფები“. წიგნი გამოსაცემად მოამზადა გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტრატურის სახელმწიფო მუზეუმმა. კიდევ ერთი წიგნი ხელნაწერთა; 50 ლექსია 50 გვერდზე... ისევ იმ პრინციპით, თუმცა ვარიაციები სასვენ ნიშანთა არაა მრავალფეროვანი „თუთას“ მსგავსად... თავისთავად ის ფაქტი, რომ გვაქვს ანა კლანდაძის ლექსების ხელნაწერთა სამი წიგნი, არ ჩანს შემთხვევითი...

\* \* \*

ანა კლანდაძის პროზაულ ჩანაწერთა ხელნაწერები არ მინახავს: ბეჭდურ გამოცემაში (ანა კლანდაძე, ორტომეული, ტ. II, გამოქვეყნდა „საქართველო“, 1996) სამი წერტილის გამოყენების თავისებური შემთხვევები დასტურდება. კერძოდ, ისეთი შემთხვევები გვაქვს მხედველობაში, სამი წერტილი წინადადების შუაში რომ გათიშავს წინადადების წევრებს (ანუ „არაგრაამატიკული“ დანიშნულებით); ასე ვთქვათ, „უფუნქციო“ სამი წერტილი:

„წარმოიდგინეთ, რომ... შევცვალე ეს „დაწუნებული“ სიტყვა“

„ლექის გამოქვეყნებისას ახლაც ისეთი განცდა მაქვს, თითქოს... პირველად იბეჭდებოდეს!“

„დღესაც გვეჭირდება მტკიცება იმისა, რომ... ჩვენი... ჩვენია... საკუთარი“

„მინც... ქებას ვიტყვი გაზაფხულისას“

„თარგმანები კი... სხვა არაფერია“

„შემდეგ კი... ვივიწყებ“

„ბიბლიაში“ ხომ... „დულს და გადმოდულს“

მსაგვსი შემთხვევები საძებარი არაა... ცხადია, ეს არ არის სასვენი ნიშანი ტრადიციული გაგებით, პუნქტუაციის წესების შესაბამისი; ეს უფრო მეტია...

ბარემ, აქვე ვიტყვი: სამი წერტილის გამოყენების ორიგინალური შემთხვევები ხშირია სათაურებში (როგორც ლექსებში, ისე პროზაულ ჩანაწერებში)... მხოლოდ მაგალითები: ლექსებში –

ფოთლები... ფოთლები...

მაგრამ... ამაოდ...

ვითარცა... „უწინ“!

და... სადღა არი?

დღეს... რას იტყვლით?

მსხვერლიც... „მცირეა“!

სალმობავ ჩემო...

განუდგა მოგვთა...

თათრის გოგონავ...

ასევე ჟამი...

და სხვა მრავალი.

მინიატურებში –

ხე... დღემდე ტირის...

იგი... შემოქმედა!  
სისხლი... ერთი ჯგუფისა უნდა იყოს.  
თავზე კი... შლაპა ეხურა...  
კარგია, რომ...  
ქრისტეს ჯვარი...  
მახსოვს...  
ძროხები...  
თურმე...  
ვველაფერი... თავდაყირა... და სხვა მრავალი.

ბ) ძველი ქართული ენა და ანა კალანდაძე (სასვენიშანთა „ანასეული სისტემის“ ახსნის ცდა)

ბეჭდურ გამოცემებში პროზაულ ტექსტებში დამოწმებული სამი წერტილი ცალკე თემაა – პაუზა „მოულოდნელობის ეფექტის“ შესაქმნელად ანდა სამი წერტილის მომდევნო სიტყვა-ფრაზაზე განსაკუთრებული აქცენტების გასაკეთებლად.

სხვაა ხელნაწერ პოეტურ ტექსტებში დადასტურებული წერტილი (.). ორ წერტილი (..), სამი წერტილი (...), ოთხი წერტილი (....); მითუმეტეს, როცა ეს წერტილები მძიმის ან ძახილის ნიშნის შემდეგაა: (...), (....), (.....), (!), (!..), (!...), (!... – დაშორებული ძახილის ნიშანს), (!.....)...

ჩენი ღრმა რწმენით, ეს ყოველივე ძველი ქართული ენის გავლენაა, ძველი ქართული ხელნაწერები (ძეგლები) არის წყარო ამგვარი სისტემის შექმნაებისა...

პროზაში ერთი საინტერესო ვარიანტიც არის – წერტილი და მისგან დაშორებული სამი წერტილი (. ...): ციტატაში როცა თხრობითი წინადადება მთავრდება და მომდევნო წინადადების დასაწყისიდან გამოტოვებულია სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი, მაშინ ვვაქვს ამგვარი ვარიანტი: წერტილი წინა წინადადებისაა, სამი წერტილი – მომდევნო წინადადების; მივიღეთ კი ასეთი კომბინაცია: „ისლანდიური ლიტერატურა ის-

ლანდიელმა დედის რძესთან ერთად შეისისხლხორცა. ... ის-  
ლანდიური ენის დაწერილობა და გრამატიკა თითქმის არ შე-  
ცვლილა“. მსგავს ვარიანტად შეიძლება განვიხილოთ ძახილის  
ნიშანი და სამი წერტილი (! ...): „სალამი დანიავ! ... ატლან-  
ტიკის განდევილი“... ადრეც აღვნიშნე, გამოტოვებულ სიტყვა-  
თა მისათითებლად ტექმტოლოგები ფრჩხილებში სვამენ სამ  
წერტილს (...); ეს ვარიანტი მეც მიხმარია... ანასეული ვარი-  
ანტი მხოლოდ ანასია...

\* \* \*

ანა კლანდაძეს აქვს ასეთი ჩანაწერი: „სამოციან წლებ-  
ში ძველი ქართული ენის ფონდის შესავსებად ლექსიკოლოგი-  
ის განყოფილების თანაშრომლებმა ოშკის ბიბლიის (მეათე  
საუკ.) ნუსხურად ნაწერი ტექსტი მხედრულით გადმოვიღეთ  
(ხელთ ფოტოპირები გვქონდა). „მეფეთა წიგნი“, „იგავნი სო-  
ლომონისანი“, „ეზეკიელი“, „ეზრა“, „ესთერი“, „ივლითი“...  
უბედნიერესი წუთები იყო ჩემს ცხოვრებაში!

აქედან იყო მობერილი ჩემი განწყობილებაც ამ ლექსის  
შესაქმნელად — „ვერავენ ამჩნევს შენსა მშვენებას“. ეს უსათა-  
ურო ლექსი 1962 წელს დაიწერა“ (137).

ერთგან პოეტი თავის „სამაგიდო წიგნებს“ ჩამოთვლის;  
„ქართული ოთხთავის“ ორ ძველ რედაქციას, „ქართული  
ოთხთავის“ სიმფონია-ლექსიკონსა და „ქართლის ცხოვრება-  
საც“ ასახელებს; ამბობს, — „ჩემი სამაგიდო წიგნებია და ამი-  
ტომ მათ ყოველთვის ახლოს უნდა ვხედავდეო“ (79)...

მეტიც, იტყვის: „ჩემი გულისთქმა ხშირად საოცრად მი-  
ესადაგება ხოლმე ჩემთვის საინტერესო ადგილებს ამ ბრძნე-  
ლი წიგნებიდან, — „ბიბლია“ „შთავონების უშრეტი წყაროა“  
ყოველ-დროისა და ყოველ-ეპოქის ხელოვანისათვის“ (78)...

ძველი ქართული ენობრივი სამყაროს თემა ქ-ნი ანასა-  
თვის ამოუწურავია... იმ სამყაროში „ცხოვრებისას“ წინაპრე-  
ბის „ხმა ესმის“ პოეტს, ესმის მათი ქართული...

ბრძანებს: „როგორც ჩვენი უხსოვარი წინაპრების ხმა და ხატება ჩვენდა შეუძმნველად აირეკლება სოლმე და გამოისახება ჩვენში. ასევე ძველი ქართული ენის მადლიანი აჩრდილი თავს ადვას ახალს და მისგან განუშორებელია“ (79).

სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე ეს დამოკიდებულება შეუძმნველი არ დარჩენიათ. კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს „დავითნი“ უჩუქებია ქ-ნი ანასთვის ასეთი წარწერით: „ძველი ქართულის მოყვარულს ანიკოს. კ.-პ კალისტრატესაგან. 1948. III. 4.“ (522).

ამ ფაქტს, როგორც ჩანს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და სხვაგანაც ჩაწერს: „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“... ბევრი დიდებული ადამიანის ნაჩუქარი წიგნია ჩემს ბიბლიოთეკაში, მაგრამ ამჯერად მინდა გამოვეყო მათგან 1873 წელს თბილისში გამოცემული „დავითნი“, რომელიც კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძისგან მივიღე 1948 წელს წარწერით – „ძველი ქართულის მოყვარულსო“... (81).

ესეც საინტერესოდ მეჩვენება: საუკუნოვანი პოლემიკა ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაციის შესახებ ანა კალანდაძესთან მარტივად და ლოგიკურად წყდება: „ძველი და ახალი ქართული ენა მესახება ერთ მთლიან, ცოცხალ ორგანიზმად, რომლის შუაზე გადაკვეთა მის უეჭველ სიკვდილს გამოიწვევს!“ (79).

(ეს დასკვნაც დიდად საგულისხმოა!..)

ამიტომაც, „ძველი ქართული“ პოეტიკისათვის არ არის ისტორია... თანამედროვეობაა მისთვის, ქ-ნი ანა „ცხოვრობს“ ქართულ ენაში – ერთიან ქართულ ენაში... საზრდოობს მისი სურნელით:

„ძველი ქართულისა და უძამაცეს მთიელთა ენის სურნელი ნაზად ერწყმოდა ერთმანეთს და ჩემს პოეტურ ფანტაზიას აცხოველებდა“... (74).

(ასე „გადაწყვიტა“ ქ-ნმა ანამ იბერიულ-კავკასიურ ენათა „ერთიანობის“ საკითხიც... ამასაც გულისხმობდა ბ-ნი არნოლდ ჩიქობავა, როცა ნაჩუქარ წიგნზე წაუწერა „კავკასიელს“...) თავის ჩანაწერებში ქალბატონი ანა ძველი ქართულის თემას არაერთგზის უბრუნდება. ცნობილ დრამატურგ პოლიკარპე კაკაბაძესთან შეხვედრებს იხსენებს და წერს:

„ძირჩევედა, რომ ხშირად მეკითხა „ბიბლია“, – „ბიბლია“ იკითხეთო, თითქმის ყოველი შეხვედრისას მეტყვოდა ხოლმე. ჩემი სტუდენტობის წლებში, როდესაც წმიდა წიგნების უბრალოდ ხსენებაც კი მიუტევებელ დანაშაულად ითვლებოდა, უნივერსიტეტში ძველი ქართული ენის შესასწავლად მეორე კურსზე უკვე ვეცნობოდით ძველი და ახალი აღთქმის წიგნებს, უამისოდ ძველი ქართული ენის შესწავლა უბრალოდ წარმოუდგენელი იყო და ეს დიდი და იძულებითი გამონაკლისიც ამიტომ იყო დაშვებული! ბატონ პოლიკარპეს თითქოს აფიქრებდა, რომ საღვთო წიგნებთან ჩემი შემაერთებელი ძაფი არ გაწყვეტილიყო. ასე ურჩევდა თურმე დიდი რომაელი პოეტი, ჰორაციუსი, თავის მეგობრებს: დღისითაც და ღამითაც დაიჭირეთ ხელთ და იკითხეთ ბერძნული სანიმუშო ქმნილებები“ (604).

ერთი ასეთი მინიატურაც გავიხსენოთ ქალბატონი ანასი: „სიონის ტაძრის ქორეპისკოპოსმა, მეუფე კონსტანტინე მელიქიძემ, ერთხელ საუბარში მითხრა, ტაძრებზე ბევრს წერთო... დიახ, – მიუუგე, – უნივერსიტეტში ვსწავლობდი და... – არა! – ხმას აუწია მან, – ეს თქვენში უფრო ადრე იყო!...“

„ო, არის რაღაც უსაზომოდ დამაფიქსირებელი“... – და ასკვნის ქ-ნი ანა... ძველ საქართველოსთან, ძველ ქართულ ენასთან დამოკიდებულებაზეა ყურადღება აქაც გამახვილებული... ხაზგასმა იმაზე, რომ ეს მასში შინაგანად (გენეტურად) არის მოცემული...

რატომ გავიხსენეთ ყოველივე ეს?

„უბედნიერესი წუთები იყო ჩემს ცხოვრებაში“, ნუსხებად ნაწერ ტექსტს მხედრულად რომ გადავწერდითო... ცხადია, ქ-ნ ანას შესისხლხორცებული აქვს ის სულისკვეთება, ის განწყობა, რა სულისკვეთებითა და განწყობითაც იქმნებოდა ძვირფასი ხელნაწერები... ძველი ქართული ენის სურნელება, ხიბლი... ყველა წერილმანი (თუ მსხვილმანი), რაც ხელნაწერთან იყო დაკავშირებული. პოეტისათვის მახლობელია... ცხადია, სასვენ ნიშნებთან (თუ განკვეთილობის ნიშნებთან) დაკავშირებული პრობლემებიც... ქალბატონ ანას არ შეუქმნია ნაშრომები ამ თემასთან დაკავშირებით, მაგრამ გათავისებულად რომ აქვს, ეს „ანასეულ სასვენ ნიშანთა სისტემიდანაც“ ჩანს...

უფრო კონკრეტულად:

ძველ ქართულ ხელნაწერებში სასვენ ნიშანთა საინტერესო სისტემაა. მრავალ სამეცნიერო ნაშრომში არის საუბარი ამის თაობაზე (ივ. ჯავახიშვილისა, პ. ინგოროყვასი, კ. კეკელიძისა, ე. მეტრეველის...)... ახლახან გამოიცა ლამარა ქაჯაიას მონოგრაფია („პუნქტუაცია ქართულ ხელნაწერებში“, 2018). რომელშიც საკითხი ღრმად და მაღალპროფესიულად არის შესწავლილი. ჩვენ ამჯერად სწორედ ამ წიგნს ვემყარებით; ამ თემასთან დაკავშირებით ამონარიდებსაც ამ წიგნიდან მოვიყვანთ...

როგორც ირკვევა, სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვა ხელნაწერში, სხვადასხვა ავტორთან თუ მთარგმნელთან პუნქტუაციის თავისებური ვარიანტები გვქონდა. ყველაზე მწყობრი და ლოგიკური სისტემა ჩამოაყალიბა XI საუკუნის მეორე ნახევრის დიდმა ქართველმა მეცნიერმა ეფრემ მცირემ. ლ. ქაჯაიას თქმით, „ქართულ წერილობით ძეგლებში დადასტურებული ცნობის საფუძველზე ეფრემი იმ პირველთაგანია, რომელმაც პუნქტუაციის ერთგვარი სისტემა ჩამოაყალიბა. მან

შეშილო ერთი, ორი, სამი და ექვსწერტილიანი სისტემა და თითოეულ ნიშანს დააკისრა თავისი ფუნქცია“ (117).

ამგვარად, ეფრემისეული ნიშნებია: წერტილი (.), ორი წერტილი (:), სამი წერტილი (:), ექვსი წერტილი (:). უფრო ადრინდელ ხელნაწერებში ოთხი წერტილიც გვხვდება ორგვარი კონფიგურაციით (···), (: :), თუმცა ეფრემს ეს არ შეუტანია თავის სისტემაში. ეფრემს ადრე ხმარებულ ნიშანთაგან არც მძიმე (·), არც ტირე (—) არ გამოუყენებია. როგორც ვთქვით, ხმარობს მხოლოდ წერტილებს; ამ ნიშნებს განუსაზღვრა მან ფუნქციები და მანვე დაამკვიდრა შესაბამისი ტერმინები; კვლავ ლამარა ქაჯაიას დავიმოწმებთ:

„ეფრემს სასვენ ნიშნად აღებული აქვს წერტილი და ამ წერტილით ქმნის სხვადასხვა კომბინაციას. მას შემოაქვს ეგრეთ წოდებული ერთი, ორი, სამი და ექვსწერტილიანი სისტემა და ტერმინები: „მცირედ სასუშნად“, „განსაკუთხელად სიტყვსა“, „დიდად სასუშნად“ და „სრულად დასაბოლოებლად“. ზოგჯერ ეფრემი ექვს წერტილს იყენებს არა მარტო თხრობის დასასრულს, არამედ „კმის საქცევადაც“. ე. ი. სადეკლამაციო მიზნით: „რომელი ესე მეტაფრასთა შინა უფრო იპოების, რაჟამს მოწამე მსაჯულისა მიმართ მეტყუწლებდეს და მყის ღმრთისაჲ მიმართ ცვალოს მეტყუწლებად, ესევეითარსა მას ადგილსა ექუსი წერტილი უზის. არა რაითა დააბოლოოს, არამედ რაითა კმად იქციოს მკითხველმან“ (9).

სასვენ ნიშნებს რომ დიდი ყურადღება ექცეოდა, ეს ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებშიც ჩანს; მწიგნობარნი ივედრებინ:

„ყოველთა გევედრებით, ვინცა სწერდეთ, ნუ სცვალვებთ სიტყუასა, გინა თუ წერტილსა“... (XI ს. ხელნაწერიდან).

„გევედრები უკუშ, რაითა წერტილი შეიკრძაღლეთ და მე ყოველივე ცდომილებად მომიტეთ“ (XI-XII სს. ხელნაწერიდან)... მსგავსი მინაწერები მრავლადაა...

დაუბრუნდეთ ქალბატონ ანა კალანდაძეს.

მოდით, ჯერ მუხრან მაჭავარიანის ერთი აზრი მოვიშველიოთ: „პირადად მე ლექსში სასვენ ნიშნებს ვანიჭებ. მეტი რომ არ ვთქვა. დიდ მნიშვნელობას“... და კიდევ: „არსებობს თუ არა ნიჭის საზომი რაიმე ხელსაწყო?! არსებობს! — ეს არის წერტილი! დიას! (აი, ეს — .). სად გაჩერდები, სად დასვამ წერტილს, რა სტადიაში ჩათვლი შენს ნაწარმოებს გასრულებულად...“ (მ. მაჭავარიანი).

როგორც ჩანს ასეთივეა ქალბატონი ანას დამოკიდებულება წერტილისადმი: „საჭირო ადგილზე“ წერტილის დასმა „თავისით“ ხდება, გონებითი განსჯის გარეშე... „ვილაცის“ კარნახით...: „დროზე წერტილის დასმა“, სათქმელის დროზე დამთავრებასაც თითქოს „ვილაცა“ გეკარნახობს (იხევე, როგორც თემატიკას, როგორც... ყველაფერს!), ფიზიკურადაც კი გრძნობთ, რომ კიდევ ერთი სტრიქონის დამატებაც რომ გახდეს საჭირო, უკვე ვეღარ შეძლებ ფიქრს: სული გეხუთება და ჩქარა იშორებ სათქმელს, ჩქარა თავისუფლდები, წერტილს ჩქარა სვამ „საჭირო“ ადგილზე. ამას უფრო... ჩემი შემოქმედებითი „წესი“ მკარნახობს და არა „კლასიკური იაპონური პოეზიის გავლენა“! (124).

მუსიკოს ანა ვარდიამვილს უთქვამს ქალბატონი ანასთვის: „ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან: ლექსს „არაბი ხარ?“ იქნებ ერთი სტროფი წაამატოთ, — ძალიან მოკლეა და სასიმღეროდ — წამიერიაო“... მაგრამ ვერ შეუსრულებია ეს თხოვნა პოეტს — წერტილი უკვე დასმული იყო!...

ასეთი თხოვნა სხვაც ყოფილაო — „კომპოზიტორები (და მოყვარულნი) ხშირად დაუფიქრებია ჩემი ლექსების მცირე ზომას... ზოგმა „გამოსავალი“ თავადვე იპოვა: პოპურის მსგავსი რაღაც შექმნა, — რამდენიმე პატარა ზომის (ერთი თემატიკის) ლექსი ამოუყენა გვერდში ერთმანეთს“ (560)...

ეს – „წერტილის საბოლოო დასმის შემთხვევაა“... „წერტილის დასმა“ შეიძლება ზოგად ტერმინადაც გავიგოთ და „პუნქტუაციასთან“ გავაიგივოთ... პუნქტუაციას რომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პოეტი, ფაქტია... (მე ვფიქრობ, გამომცემლობებს რომ თანხმდება ხელნაწერი წიგნების გაკეთებაზე. შეიძლება ესეც იყოს მიზეზი...)...

ესეც ფაქტია, პუნქტუაციას (წერტილს...) კორექტურა დიდად ვნებს; ამასაც დარდობს ქალბატონი ანა: „კორექტურული შეცდომები, სამწუხაროდ, წიგნის აუცილებელი თანამგზავრები გახდნენ“... და კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ხელნაწერად გავრცელებული მისი ლექსებიც კი დაზღვეული იყო კორექტურული შეცდომისაგან: „ორმოციან წლებში, როდესაც ჩემი ლექსები ჯერ კიდევ ხელნაწერებით ვრცელდებოდა, მახსოვს ერთი მკითხველის ვოდება იმის გამო, რომ... ხელნაწერებში თითქმის არ ყოფილა არცერთი კორექტურული შეცდომა“ (84). და ამიტომაც „არ ეზარება“ ხელნაწერი წიგნების გაკეთება (როგორც ვთქვი, სამი ასეთი წიგნი მაქვს ქალბატონი ანასი...). ხელნაწერებში უკვე ვეღარ ერევიან რედაქტორ-კორექტორები და რჩება ნება პოეტისა!..

რა არის ეს ნება?

ვფიქრობთ, ძველი ქართულის გავლენით, ლექსის აუცილებელი საჭიროებიდან გამომდინარე, ეფრემ მცირესეული ტერმინები რომ მოვიშველიოთ, „განსაკუთვთელად“ ფრაზისა (ანასთან ფრაზისა და არა „სიტყვსა“), „მცირედ სასუწნად“, „დიდად სასუწნად“, „სრულად დასაბოლოებლად“ და „კმის საქცეველად“ – იქმნება სასვენ ნიშანთა „ანა კალანდაძისეული სისტემა“:

.. – ორი წერტილი

... – სამი წერტილი (ტრადიციულისაგან განსხვავებული ფუნქციებით)

.... – ოთხი წერტილი

... – მძიმე და ორი წერტილი

.... – მძიმე და სამი წერტილი

!.. – ძახილის ნიშანი და ორი წერტილი

!... – ძახილის ნიშანი და სამი წერტილი

!.... – ძახილის ნიშანი და ოთხი წერტილი

! ..!... ძახილის ნიშნისაგან დაშორებული ორი ან სამი

წერტილი

ამათ გვერდით ტრადიციული ნიშნები რჩება: . (წერტილი), ... (სამი წერტილი ტრადიციული ფუნქციით), , (მძიმე) ! (ძახილის ნიშანი), ? (კითხვის ნიშანი), ?! (კითხვისა და ძახილის ნიშანი)...

დიახ, ასე ვფიქრობთ ჩვენ...

ასეა, ვითომ?...

*პარაგრაფის I ნაწილი („შრავალწერტილი“)  
გამოქვეყნდა პროფ. ზ. ჭუმბურიძისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კრებულში 2016 წელს.*

## ფოთი სამი დღე ანას კომუნიტი ციცხლობდა

2002 წლის 19-21 აპრილს ფოთში დღესასწაული გაიმართა „ენა და ანა“. მერია იყო მასპინძელი. სახელს ჟურნალ „ბურჯი ეროვნებისას“ დაესესხნენ (წერილი გამოქვეყნდა ამ სათაურით). ფოთელები ამ ჟურნალის მკითხველნი არიან და დღესასწაულზე მეც მიმიწვიეს (როგორც ჟურნალის რედაქტორ-გამომცემელი). თბილისიდან 19 აპრილს, სუთშაბათს, შუადღისას, კავემზავრეთ ფოთიდან სავანეებოდ გამოგზავნილი კომფორტული მიკროავტობუსით: ქალბატონი ანა, ქნი თინა ფანდარელი (ქნი ანას რძალი), ორი მასპინძელი გოგონა – ინგა და იზა ლუტიძეები და მე. ამ მგზავრობისა და დღესასწაულის რამდენიმე ეპიზოდს გავიხსენებ ამჯერად.

\* \* \*

ავტობუსში სკამების ორი რიგი იყო. წინ ქალბატონი ანა და ქალბატონი თინა დასხდნენ; უკანა რიგში – ინგა, იზა და მე. კარგი სამგზავრო ამინდი იყო... საუბარი ბუნებრივად აეწყო...

ლიხს იქით სოფელ ხუნევში რესტორან „ოდასთან“ შევისვენეთ, წავიხემსოთო. რესტორანში შესვლა და პურობა არ იხურვეს ქალბატონებმა – სახელდახელო სუფერა გაიშალა მანქანაში...

ქალბატონმა ანამ ბრძანა: ერთხელ ავლივ ზურაბიშვილმა მოთხრა. მე და შენ ნათესავები ვართო... ჩემი ვაკვირებული და ინტერესიანი მზერა რომ შენიშნა, დაამატა: ახალგაზრდობაში შენს სოფელში ვმსახურობდიო... ჰოდა, — განაგრძო ქალბატონმა ანამ, — ჩვენ ახლა ასეთი ტრაპეზი მივიღეთ ერთად და მეტი გვეთქმისო...

\* \* \*

გრძელმა გზამ სხვადასხვა თემაზე აგვალაპარაკა. ამინდზე, კანონზომიერ ბუნებრივ მოვლენებზე ჩამოვარდა სიტყვა. ქალბატონმა ანამ გაიხსენა და ქალბატონ თინას სთხოვა, მოეყოლა:

— ყოველ 27 იანვარს, ნინოობას, საგარეჯოში აუცილებლად ქარიანი ამინდი იყო (ქალბატონი თინა საგარეჯოელია). ბებია იტყოდა, ეს ქარი არ არის, წმინდა ნინო მოდის ბოდბიდან ნინოწმინდაში და იმის კაბის შრიალიაო...

ქალბატონი ანა: — ამან ლექსი დამაწერინა...

გამახსენდა: „ნინოობა დღეს

თითქოს უცვლელად

ამ გზებზე ქარნი

ქრიან ძლიერნი.

იფარებიან

გზები ბურუსით, —

თითქოს... რაღაცას

მოელიანო...

ცას შეავედრებს

დათოვლილ სოფლებს, —

ნათელი რამე

გზაზე დგებაო:

ბოდბედან თვისი,

კაბის შრიალით,

ამბობენ, ნინო

მობრძანდებაო...“

\* \* \*

ჟურნალი ვახსენე და ქალბატონი ანა მომიბრუნდა:

— კარგა ხანია „ბურჯი ეროვნებისა“ აღარ წამიკითხავს.

— დაგვიგვიანდა გამოცემა, თბილისში ჩამოსვლისთანავე მოგართმევთ-მეთქი.

გაიღიმა და დაამატა:

— კახეთში იტყვიან, დაჩივლება თხოვნას ნიშნავსო.

\* \* \*

ფოთში მოგვიანებით ჩავედით.

ქალაქი ღირსეულად დახვდა ქალბატონ ანას. ქალაქის ხელმძღვანელობა ღუტიძეების ოჯახში გველოდა. საქალაქო გაზეთის სპეციალური გამოშვება დაგვახვედრეს — ქ-ნ ანას ეძღვნებოდა.

— ეს ზაურ დოღბაიაა, ადგილობრივი მნიშვნელობის პოეტი, — ღიმილით გააცნეს ქალბატონ ანას.

— ვწერ, მაგრამ არ ვაჩენო, — ასევე ღიმილით ჩაილაპარაკა ზაურმა.

— ეს ძალიან კარგი ნიჭია, — ჩაიღიმა ქალბატონმა ანამაც.

— ნიჭი ისაა, თქვენ რომ გაქვთ, ქალბატონო ანა, — თავმდაბლად შეეპასუნა ბატონი ზაური...

მერე ბატონმა ზაურმა სუფრას უთამადა და მართლაცდა ნიჭიერად წარმართა. დიდებულად გემასპინძლობდნენ...

ქალბატონ ანას ჰკითხეს, ფოთში თუ ხართ ნამყოფი. ბავშვობაში ვიყავი, თუმცა აღარ მახსოვსო, — ხმადაბლა უპასუნა ქალბატონმა ანამ... ცოტა ხნის შემდეგ მომიბრუნდა და გადმომილაპარაკა: პირველად ვარ ფოთში, მაგრამ შემრცხვა მეთქვა და მოვიტყუეო... ხომ მომეტყვებო?...

სტუმრებისათვის ქალაქში სასტუმრო გაემზადებინათ; იქ წასვლა შემოგვთავაზეს. ქალბატონმა ანამ ბრძანა, თუ ოჯახი არ იქნება წინააღმდეგი, აქ მირჩენია დარჩენაო... ღუტიძეების ოჯახი ბედნიერი იყო ქალბატონი ანას არჩევანით...

მერე ვესუმრე ინგას: დიდებული რეკლამაა გასათხოვარი ქალისთვის – „ჩემს ოჯახში ქალბატონ ანას სამი ღამე აქვს გათეული!“ ხუმრობა მოეწონა ქალბატონ ანას, თუმცა ინგას პასუხმა გულიანად გააცინა: „გამომეხმაუროს, ვის ოჯახშიც ვალაკტიონს აქვს ღამე გათეული“!...

ხვალინდელი გეგმა გავვაცნეს. დატვირთული დღე გველის...

\* \* \*

დილით შეხვედრა პირველ გიმნაზიაში. სკოლის ეზოდან მოყოლებული მესამე სართულის დარბაზამდე ორ რიგად ჩამწკრივებული გოგო-ბიჭები ყვავილებს უფენდნენ ფეხქვეშ ქალბატონ ანას. დიდებული სანახაობა იყო, როგორ იშლებოდა ცოცხალი ყვავილების ხალიჩა ქალბატონი ანას ფეხქვეშ... თავკაცობენ სკოლის დირექტორი როლანდ ხარებავა, პოეტი ჯემალ ჩახავა და სხვანი...


ქალბატონ ანას რომ ეკადრებოდა, ისეთი შეხვედრა იყო. საოცარი გემოვნებით გაკეთებული ლიტერატურულ-დრამატული კომპოზიცია. ხშირად გაისმოდა – რა არის სამშობლო, ვინ არის ბატონ-პატრონი ჩვენი ენისა, ქართული პოეზიისაო. მაშინ ვთქვი ჩემს გამოსვლაში: ჩვენს დედაენას ბატონი არ ეყოლება. სანამ პატრონად ასეთი გოგო-ბიჭები ჰყავს-მეთქი; ჩვენს პოეზიას ბატონი არ ეყოლება, სანამ პატრონად ქალბატონი ანა ეგულება-მეთქი...

პოეტი ჯემალ ჩახავა ენამზეობს; ეფერება ქალბატონ ანას... სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ უთხრა ჯემალ ჩახავამ ქალბატონ ანას:

– ქალბატონო ანა, ხომ ვართ საქართველოში ოთხასი პოეტი; თითომ თითო წელი რომ დავიკლოთ და თქვენ გაჩუქოთ, ან ჩვენ რა დაგვაკლდება და ან საქართველოსო. თქვენ კი იცოცხლებთ ოთხასი წელიო.

ქალბატონი ანა ღიმილით უსმენს, იცინის...

\* \* \*



საჯარო ბიბლიოთეკაში გველოდნენ. ლამაზად მორთულ დარბაზში ტახტი იდგა. გვერდით თითო სავარძელი ედგა. ქალბატონი ანა და მე ტახტზე დაგვესვენა. აქეთ-იქით სავარძლებში პატარა გოგონები მოგვისკუპეს.

ქალბატონი ანას გვერდით რომ გოგონა ზის, ვერ ისვენებს, ცქმუტავს. გზადაგზა ქალბატონი ანა გამოელაპარაკება.

– რა გქვია?

– მე თამუნა მქვია, ის ჩემი დაა, მარიამი, – ჩემ გვერდით მჯდომზე მიუთითებს, – ჩვენ კიდევ გვყავს ერთი და...

კითხულობენ მისალმებებს; ლექსებს ამბობენ მოსწავლეები... ქალბატონი ანა ყურადღებადაა ქცეული...

თამუნა კი ტიტინებს, არ ჩერდება:

– ჩემმა დამ უნდა იცეკვოს, მე ლექსი უნდა ვთქვა... აქ ჩვენი სურათებია...

ქალბატონი ანა ისევ ჩაუგდება სიტყვას:

– რა ლამაზი კაბა გაცვია!...

– მინათხოვრეს დღეისთვის!... – ქალბატონი ანა სიცილს ძლივს იკავებს. მომიბრუნდა:

– სოფელში რომ შეხვალ, სოფლის ამბავი ბავშვს ჰკითხო...

ქალბატონ ანას საჩუქრად დიდი, ლამაზი დათუნია მიართვეს. მერე გავიგეთ, პატარა თამუნას უტირია თურმე, საჩუქარი რატომ მე არ მიმაცემინეთო. შეწუხდა ქალბატონი ანა; გული დასწყდა, რომ გამეგო, იმ დათუნის თამუნას ვაჩუქებდო.

\* \* \*

საჯარო ბიბლიოთეკაში შეხვედრისას ერთმა ყმაწვილმა წაიკითხა ლექსი „ყაყაჩოსა სიწითლითა“:

„ფრთაგაშლილი მთები არი,  
სხივგაშლილი სერებია...  
არ ჩურჩულობს ლელიანი, —  
გული შეუჯერებია...  
აქ კორდია მობიბინე,  
აქ მზიანი ტევრებია...  
რად უსკდება გული ირემს?  
გელა გადამტერებია...“

ქალბატონმა ანამ გადმომილაპარაკა. ჩემს ზოგიერთ ლექსში ისეთი აზრი ჩადეს, ისეთი რამ მომაწერეს... ამ ლექსში ადრე კობა მქონდა. სტალინზე წერო (ლექსი 1946 წელსაა დაწერილი — გ. გ.) და შევცვალე, გელა ჩავწერე... ცოტა ხნის შემდეგ ღიმილით დაუმატა: ალიტერაციაც გამოვიდა...

\* \* \*

დღის ბოლოს გაიმართა დიდი შეხვედრა თეატრში.

სცენიდან შემოაბრძანეს ქალბატონი ანა და დარბაზის შუაგულში დააბრძანეს (სადაც წინასწარ ჩვენ, ქალბატონი ანას თანმხლებთ, მიგვიჩინეს ადგილი). დარბაზი ფეხზეა. ტაშით ინგრევა იქაურობა.

საოცრად ზომიერი, გემოვნებიანი, კულტურული საღამო იყო. ჩანდა, რომ იცოდა ფოთმა ფასი ქალბატონი ანასი.

ექვსი ახალგაზრდა მსახიობი ანას ლექსებს კითხულობდა. ლამაზად გაკეთებული მონტაჟი იყო ქალბატონი ანას

ლექსებისა. შერე სიტყვები. მისალმებები. ზომიერება ყველაფერში ჩანდა.

ორიგინალური, იუმორით შეფერილი სიტყვა თქვა ჯემალ ჩახავამ: პარლამენტში უთქვამთ. პირველ-მეორეზე გაითვალეთო და ყველა პირველს იძახდაო. ჩვენ, პოეტებს, ამ მხრივ პრობლემა არა გვაქვს: პირველი ქალბატონი ანააო...

ჩემს გამოსვლაში ესეც გავისხენე: აკაკი წერეთელმა თქვა — იაკობ გოგებაშვილი ღირსია იმისა, რომ ქართველმა ხალხმა სიცოცხლეში ძეგლი დაუდგასო. დღეს, დამერწმუნებით, თუ ვინმე არის ღირსი იმისა, რომ ქართველმა ხალხმა სიცოცხლეში ძეგლი დაუდგას, ანა კალანდაძეა-მეთქი... და მჯერა, რომ ეს ასეა!

ბოლოს სცენაზე ქალბატონი ანა მიიწვიეს; ტაშის ვრი-ალში ავიდა ქალბატონი ანა სცენაზე. ფოთის საპატიო მოქალაქეობა უბოძეს და მერიის კულტურის სამსახურის უფროსმა სოსო გვაძაბიამ კერამიკურ თიხაზე ქალბატონი ანას ხელის ანაბეჭდი აიღო. — მუხეუმში მივუჩინთ ადგილს, იხილოს მომავალმა თაობებმა იმ მარჯვენის ანაბეჭდი, შედეგები რომ დაგვიწერაო... ლამაზი რიტუალი იყო...

შერე სუფრა გამორჩეულ რესტორანში... სუფრას ჯემალ ჩახავამ უთამადა. საოცრად მონდენილი თამადა იყო (ქ-ნი ანას ჩანაწერი გამახსენდა: „ქართული სუფრა და ქართული სუფრული სიმღერები! გონებამახვილი თამადა და განუმეორებელი სადღეგრძელოები! ვის არ მოხიბლავს? დღეს, სამწუხაროდ, ხშირად არც კი გვესმის სადღეგრძელოთა მნიშვნელობა, მათი სიღრმე!...)...

მახვილსიტყვაობს ბ-ნი ჯემალი: — მოიწყეს ეს კონკურსები. რა კონკურსი უნდა ჰქონდეს ტექსტს, როცა გვყავს ანა კალანდაძე; როცა გვაქვს ანას პოეზია!... — და ჰყვება ლექსს „საქართველოო ლამაზო“.

თამადამ რაღაც უხერხული ანეკლოტი თქვა, სკაბრეზი გაურია. ქალბატონი ანა იცინის. მომიბრუნდა: სხვას რომ ასეთი რამ ეთქვა ჩემთან, მეწყინებოდა, სუფრას მივატოვებდიო... ამას უხდებო...

ძალიან ორიგინალურად ითამადა ბატონმა ჯემალ ჩახავამ; ყველა სადღეგრძელო ქალბატონ ანას მიუძღვნა — სხვადასხვა კუთხით... შინ წავიდეთო წამჩურჩულა ქალბატონმა ანამ... დავილაღე... თანაც სულ ჩემზეა საუბარი და უხერხულიაო...

მერე ისევ ღუტიძეების ოჯახში; ჩაი შემოგვთავაზეს... იმ დღის შთაბეჭდილებები... ქალბატონი ანა დიდად კმაყოფილია... მასპინძლები ბედნიერები არიან...

\* \* \*

მესამე დღე.

ფოთის აკვატორია დავათვალიერეთ; კატარლით გავისეირნეთ.

ახლა სად მივდივართ, იკითხა ქალბატონმა ანამ. უპასუხეს, რაღაც გრძელი დასახელება თქვეს დაწესებულებისა... როგორც ჩანს, კარგად ვერ გაიგო ქალბატონმა ანამ (ჩვენც). მომიბრუნდა:

— ერთხელ შეხვედრა მომიწყვეს რაღაც დაწესებულებაში. უცნაური გრძელი სახელი ერქვა. სუფრას მოადგილემ უთამადა; შენიშნა ჩვენი უხერხულობა დაწესებულების სახელთან დაკავშირებით და თქვა: მე ამ დაწესებულების სახელს ჩქარ-ჩქარა ვამბობ და სწორად, ამიტომ ამირჩიეს მოადგილელო...

\* \* \*

სუფსის ტერმინალს ვეწვიეთ. დასვენების დღეა. დაცვის ბიჭებმა არ შეგვიშვეს ტერმინალის ტერიატორიაზე, ნებართვა არის საჭიროო. ფოთის ვიცემერი ნუგზარ კაჭარავა და მერიის სამსახურის უფროსები — სოსო გვაძაბია, ნუკრი კურდ-



ღელთა, ნონა ჟვანია – უხერხულად გრძობენ თავს. განუმარტეს, აუხსნეს „დაცვის ბიჭებს“, ვინ არიან. ტერმინალის ხელმძღვანელობა აქ არ არის და ამიტომ ვერ გაგატარებთო, მშვიდად გვიპასუხეს. მათმა

თანამდებობებმა ვერ გაჭრა, ვერ შეაცვლევინეს ყმაწვილ დამცველებს გადაწყვეტილება – არ შეიძლება უნებართვოდო, უფროსობა ორშაბათს იქნებაო (შაბათი იყო)... გაწბილებულმა ქალაქის ხელმძღვანელობამ სტუმარი მოიშველია: ანა კალანდაძე გვყავს სტუმრად, იმას უნდა დავათვალიერებინოთო. არც ამან გაჭრა. გაბრაზებულმა მასპინძელმა ორმეტრიან ყმაწვილს – „დაცვის ბიჭს“ – ირონიულად ჰკითხა, იცი, ვინ არის ანა კალანდაძეო? ღიმილით მობრუნდა ყმაწვილი ქალბატონი ანასკენ, ასევე ღიმილით დაიწყო და ჩაამთავრა ლექსი:

„შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო,  
შენ ისე ღრმა ხარ...“

ქალბატონი ანა ღიმილით უსმენს; ხელი მოჰკიდა, აღტაცებულმა მოუწონა ყმაწვილებს საქციელი, რომ არ შეგვიშვეს ტერმინალში. ყველა თუ ასე დაიცავს კანონს, მაშინ ეშველება საქართველოსო და მათთან სურათის გადაღება მოისურვა. სამწუხაროდ, ამ ახალგაზრდებისათვის სახელი არ მიკითხავს... სურათი შემოგვრჩა, თუმცა არც მთლად კარგი ხარისხისა...

\* \* \*



პალიასტომის ტბის ნახვა მოისურვა ქალბატონმა ანამ.

ცუდი ამინდი იყო – ქარი, წვიმა... მაინც წავედით.

დიდებული სანახაობა გაიშალა ჩვენ თვალწინ: ბურუსსა და ნისლში გახვეული მღელვარე პალიასტომი... ქალბატონი ანა გამოგვეყო, ტბისკენ წავიდა, მონუსხულივით. დიდ-

ხანს უყურებდა ამღვრეულ, აღელვებულ ტბას. ის რა კუნძულია, რა ჰქვიაო – იკითხა და შორს ბურუსში ჩაძირულ კუნძულზე მიანიშნა. აღმოჩნდა, რომ უსახელო კუნძული იყო. არ დაიბნა ნუგზარ კაჭარავა – ანას კურძულიაო და დაამატა: თქვენს სახელს დავარქმევთ ქალბატონო ანა... მერიის თანამშრომლები გვმასპინძლობდნენ და ასიამოვნეს ქალბატონ ანას...

ისე, ანა კალანდაძის პოეზიის ფოთელ თაყვანისმცემლებს შეუძლიათ საიუბილეოდ შეუსრულონ ქალბატონ ანას ეს დანაპირები...

\* \* \*

იწურება მესამე დღე ფოთში ანაობისა... ისევ მასპინძელთა თაყვამოდება... ნიკო ნიკოლაძის კოშკის უნახავად ზომ არ გაგიშვებთო... მერე გამოსამშვიდობებელი სუფრაო... აქ ჩვენმა უშუალო მასპინძლებმა – ლუტიძეებმა – იმარჯვეს: გამოსამშვიდობებელი სუფრა ნელი და ზაურ ლუტიძეების ოჯახში გაიშალა... ქალბატონო ანა ვერ ფარავს ფოთში გატარებული დღეებით კმაყოფილებას... თითქოს ეძნელება განშორება... თითქოს საკუთარი სახლიდან მიემგზავრებოდეს სადმე...

აშკარად გამოხატავს სევდანარევი განწყობას ფოთთან განშორების გამო...



\* \* \*

თბილისში ვბრუნდებით. ისევ იმ მიკროავტობუსით; ისევ იმ მძღოლით...

გზადაგზა ვიხსენებთ ვიზიტის დეტალებს...

იგოეთთან საგზაო პოლიციამ გაგვაჩერა, მძღოლს საბუთები მოსთხოვეს:

– საიდან მოდიხართ და რა მიგაქვთო.

ფოთელმა მძღოლმა ამაყად უპასუხა:

– ქალბატონი ანა კალანდაძე მიმყავსო.

პოლიციელებმა უსიტყვოდ დაუბრუნეს საბუთები მძღოლს და მშვიდობით გვზავრობა გვისურვეს. ქალბატონი ანა ჩუმად იღიმება...

*ჟურნალი „ბურჯი ეროვნებისა,  
№10-12, 2004*

## „ბავსრი რამ არის ამჟამინად ამოუხსნელი...“

1978 წლის 12 იანვარს აკადემიკოსმა ქეთევან ლომთათიძემ, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა, დაწერა ბრძანება ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად ჩემი დანიშვნის შესახებ... იმავე წლის შემოდგომაზე ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარედ ამირჩიეს და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი გავხდი. საბჭოს მაშინდელ შემადგენლობას რომ ვიხსენებ (არნოლდ ჩიქობავა, ქეთევან ლომთათიძე, ანა კალანდაძე, ივანე გივინეიშვილი, თინათინ შარაძენიძე, გურამ თოფურია, როგნეტა ლამბაშიძე, ალექსანდრე კობახიძე, მიხეილ ჭაბაშვილი, ზურაბ ჯაფარიძე...), დღესაც მიჭირს დაჯერება, რომ 40 წლის წინათ მე მათ გვერდით ვიჯექი...

ქალბატონ ანასთან პირადი ნაცნობობაც ამ დროიდან მაქვს...

მერე, 1982-1985 წლებში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის სწავლული მდივანი ვიყავი... ამ პერიოდმა საბჭოს წევრებთან კიდევ უფრო დამაახლოვა...

ქალბატონ ანას პირველად როდის ვესტუმრე და რატომ, ვეღარ ვიხსენებ...

რამდენიმე ეპიზოდს მოვიგონებ შეხვედრებისას; საუბრებისას...

\* \* \*

ქალბატონი ანა არ ლაპარაკობდა თავისთავზე... არ უყვარდა პირადულზე საუბარი...

არის შემთხვევები, როცა მწერალი საკუთარ დამსახურებას ხაზგასმით მიანიშნებს: მე ეს შემოვიღე... მე ეს დავწერე...

მე ეს გავაკეთე... „მე არ ვჯერდები მოქმედების სიტყვიერად სატკვას და სწორად მივმართავ სიტყვების განლაგებით სატკვას მოქმედებისას... სატკვის ეს მეთოდი ქართულ პოეზიაში (და არა მარტო ქართულში) ჩემამდე არავის გამოუყენებია“ (მ. მაჭავარიანი)...

ზოგჯერ შედარებასაც ახდენს კოლეგა მწერალთან; და თავის უპირატესობაზე მიანიშნებს... მიხეილ ჯავახიშვილს აქვს ასეთი ჩანაწერები: „ორი ჯურის მწერალია. ერთი სიკვდილის შემდეგ იზრდება, მეორე კლებულობს. მე პირველს ვეკუთვნი, რობაქიძე — მეორეს“... ანდა: „რობაქიძე ევროპიდან გამარჯვებული მოდის საქართველოში, მე კი აქედან მივდივარ ევროპაში გამარჯვებული“... კონსტანტინე გამსახურდიას მაგალითების მოყვანაც შეიძლებოდა...

ქალბატონი ანა სხვაა... ეგ კი არადა, თავისი „მოკრძალებული“ ჩანაწერების გამოქვეყნებაც არ სურდა, — „ბიჭებმა გააკეთესო“ — თითქოს თავს იმართლებდა ქ-ნი ანა... (ბიჭები ორტომეულის რედაქტორ-გამომცემლები კრიტიკოსი ჯანსუღ ღვინჯილია და პოეტი ვახტანგ ჯავახიძე არიან)... ღიახ, ქ-ნი ანასთვის არ არის ბუნებრივი თავისთავზე საუბარი, თუმცა საკუთარი ბუნების ახსნას (ჩვენი ფიქრით) ახდენს სხვათა ამბის გახსენებით... სხვათა ნათქვამის გამეორებით...

არსად ქ-ნი ანა არ საუბრობს იმის შესახებ, რომ მორწმუნეა, თუმცა კომპოზიტორ ანდრია ბალანჩივაძის აზრს ასე გადმოსცემს: „მორწმუნე ვარო, განაცხადა. როგორ შეიძლება, არ გწამდეს, როდესაც „ვილაც“ მალლიდან გკარნახობს?! პავლოვმა, რომელმაც ყველაფერი იცოდა, იწამა ღმერთი!...“ (552).

თავადაც ქ-ნი ანა არაერთგზის მიანიშნებს, „ის“ განსაზღვრავს ჩვენს მოქმედებასო: „ამას უჩვენოდაც აწესრიგებს „ის“, რაიც შთაგონებით გვწყალობს“ (63)... მსგავსი მინიშნე-

ბა მრავლადაა ქ-ნ ანასთან... თუნდაც რამდენიმე გენიალური  
ლექსი წმინდა ნინოზე...

ქალბატონ ანას ასეთი მინიატურაც აქვს:

„უფრო ადრე იყო!“

სიონის ტაძრის ქორეპისკოპოსმა, მეუფე კონსტანტინე  
მელიქიძემ, ერთხელ საუბარში მითხრა, ტაძრებზე ბევრს წერ-  
თო... დიას, — მივუკე, — უნივერსიტეტში ვსწავლობდი და...

— არა! — ხმას აუწვია მან, — ეს თქვენში უფრო ადრე  
იყო!...

„ო, არის რაღაც უსაზომოდ დამაფიქრებელი“... — დაას-  
რულებს მინიატურას ქ-ნი ანა...

### „უტყუარი საბუთი“

ერთხელ ინტერვიუში ქალბატონ ანას გალაკტიონის შე-  
სახებ დაუუსვი კითხვა — იცნობდა თუ არა გალაკტიონს,  
ჰქონდა თუ არა შეხვედრები მასთან (გავიხსენოთ: ქ-ნი ანა  
1946 წელს გამოჩნდა პოეზიის ასპარეზზე; გალაკტიონი 1959  
წელს გარდაიცვალა)...

ქალბატონმა ანამ ბრძანა: „მიუხედავად ზოგიერთი გაზე-  
თის მტკიცებისა, რომ მე გალაკტიონს არა თუ ვიცნობდი,  
მასთან... დამეგობრებულიც კი ვყოფილვარ... უნდა განვაცხადო,  
რომ დიდ პოეტს პირადად არ ვიცნობდი...“ (იქვე დაამატა)  
„სამწუხარო ისაა, რომ ეს „ფაქტი“ მომავალში ამ საკითხით  
დაინტერესებულმა პირმა თავისუფლად შეიძლება... „უტყუარ  
საბუთად“ მიიღოს და გამოიყენოს“...

შალვა ნუცუბიძესთან შეხვედრებზე რომ საუბრობს, სია-  
მოვნებით გაიხსენებს: ბ-ნი შალვა ინსტიტუტში მეწვია, ოთახ-  
ში არ შემოვიდაო, „ამოიღო უბის ჯიბიდან ოთხად გაკეცილი  
თაბახის ქაღალდი და გამომიწოდა ამ სიტყვებით: თუ დაბეჭ-  
დავთ სადმე, ხომ კარგი, თუ არადა, თქვენს არქივში იყოსო.

ეს გახლდათ გალაკტიონის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაწერილი ჩემი ლექსის, — „ო, იდუმალი არხევს კვიპაროსს“, — მისეული რუსული თარგმანი“...

გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსი ქ-ნი ანას თითქმის ყველა გამოცემაშია დაბეჭდილი; შ. ნუცუბიძისეული რუსული თარგმანი II ტომში (ჩანაწერებში) შეიტანა...

არადა, გალაკტიონისადმი მიძღვნილ ლექსს ქ-ნი ანა სხვაგანაც ახსენებს და ამით გამოხატავს თავის დამოკიდებულებას პოეტისადმი...

სხვათაშორის, ასე საოცრად ლამაზად, ასე პოეტურად, ასე შთამბეჭდავად გალაკტიონის სული ალბათ არავის გაუცილებია:

„ლამაზი სული ქართ, ფოთლებით,  
თვისი სიმშვიდით და შეშფოთებით,  
ქლიავისა და ატმის ტოტებით  
საგაზაფხულო მიწას შორდება...  
და ზამბახები ჩუმი ეტლებით  
და ბეთანიის ლურჯი იები,  
ანგელოსები პერგამენტებით  
ღრუბლებისაკენ მიაცილებენ“....

(ლექსი ხუთსტროფიანია...)

ქ-ნი ანა მრავალი პრემიის ლაურეატი იყო, მაგრამ განსაკუთრებით ეამაყება რუსთაველისა და გალაკტიონის პრემიები. კმაყოფილებით იხსენებს, რომ 1981 წელს მიენიჭა „გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიის ლაურეატის წოდება“... და ეს ბუნებრივიცაა...

მერე, გვიან, „გალაკტიონოლოგიის“ V ტომში (2010 წ.) წავიკითხე გალაკტიონ ტაბიძის უცნაური ჩანაწერი: „საკვირველი იყო ის სენსაციები, რომელიც წინდაწინ მოუწყვეს ახალგაზრდა მწერალს ანა კალანდაძეს და ეს მაკვირვებს მით უფრო, რომ ეს ხდება იმ ქვეყანაში, სადაც იყო ილია, ვაჟა

და სადაც არის გალაკტიონი“ (გალაკტიონოლოგია, V, 2010, 25)... მართლაც საკვირველი ჩანაწერია... ფაქტია, ქ-ნი ანა ამ ჩანაწერს არ იცნობდა...

უცნაურია... რა შეიძლება ითქვას ამ ჩანაწერის თაობაზე? –

იქვე გალაკტიონის ერთი ჩანაწერიცაა დავით კლდიაშვილზე: „დ. კლდიაშვილი სრულებით პოპულარული პოეტი არ არის. ერთ-ერთმა მასზე მხოლოდ ის თქვა: – თავადიშვილი იყო, ყმები ჰყავდა...“

რა არის ეს? „არასერიოზული“ ჩანაწერი? იუმორნარევი კომენტარი? ამ ჩანაწერებში დავით კლდიაშვილისა და ანა კალანდაძისადმი ერთგვარია დამოკიდებულება („უცნაური“) გალაკტიონისა...

როცა „სერიოზულად“ წერს დავით კლდიაშვილზე, ეს უკვე გალაკტიონისეული ჩანაწერია... გალაკტიონის შესაფერისი შეფასება... დიახ. არსებობს ასეთი ჩანაწერიც:

1954 წელს მოსკოვში ჩაუწერია გალაკტიონს: „როდესაც ხელთ ვიღებ დავით კლდიაშვილის წიგნს, არ შეიძლება არ გავიფიქრო: (არ დაგავიწყდეთ, პირველი ქართული სახალხო მწერალი)“... იქვე განაგრძობს: „რომ დავით კლდიაშვილი არა, დაუხატველი დარჩებოდა მსოფლიო ლიტერატურაში სოლომონ მორბელაძე, ვერც ერთი მწერალი ვერ მოისაზრებდა გამოესახა ბეკინა და ერთადერთი მთელ შავიზღვისპირზე დარისპანი, რომელიც მოგზაურობს თავისი ურყევი მიზანით, მოგზაურობს თავისი ლაფჩინებით და „იმე, იმე“-თი, რომ დავით კლდიაშვილი არა, დაუხატველი დარჩებოდა კაროჟნა, მშვენიერზე მშვენიერი კაროჟნა, ნამდვილი სახე რევოლუციამდელი“... (ჩანაწერი აქ წყდება)...

ესაა გალაკტიონის შესაფერისი შეფასება დავით კლდიაშვილისა, ასევე დიდი მწერლისაგან... ამ განწყობაზე რომ ანა კალანდაძეზე ჩაეწერა რაიმე, რა თქმა უნდა, ზუსტი იქნებოდა

გალაკტიონისეული შეფასება... ანუ ორგვარი განწყობა გალაკტიონისა... ორგვარი შეფასება... ვთქვათ ასე: „არასერიოზული“, „იუმორნარევი“ და სერიოზული... კარგია, რომ ქ-ნი ანა ამ ჩანაწერს არ იცნობდა...

ასე ვფიქრობ...

### კორექტურა... უნებლიე ლაფსუსი...

ქ-ნი ანა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს „უშეცდომო“ ნაწერს. სიამოვნებით აღნიშნავს ერთგან, რომ დაბეჭდამდე ხელნაწერებად გავრცელებულ მის ლექსებში კორექტურული შეცდომებიც კი არ არის გაპარულიო...

ერთხელ, სტუმრობისას, საუბარში ვუთხარი, რომ II ტომში მის ერთ წერილში (ნიკო კეცხოველს რომ ეძღვნება) სტრიქონია „გაფრენილი“ (გვ. 457) (წიგნის ლინოტიპზე აწყობის შემთხვევაში კორექტურის დროს შეიძლებოდა სტრიქონი ამოვარდნილიყო; ამას „გაფრენილ სტრიქონს“ ეძახდნენ). ქ-ნმა ანამ წიგნი მოიტანა: ნიკო კეცხოველი სიყრმის მეგობრის, გრიგოლ მეგრელიშვილის („მთის ნიავის“) შესახებ საუბრობს. ბრძანებს, მე და გიორგი ლეონიძემ (ერთად სწავლობდნენ გიმნაზიაში) მისი წიგნი გამოვეცით, – „გრიგოლ მეგრელიშვილს სატრფო ჰყავდა, თინა ერქვა, გვარს არ გეტყვი, მას ახლა შვილიშვილები ჰყავს, – ვანაგრძობდა ბატონი ნიკო, – პირველი წიგნი მას გავუგზავნე, წიგნს ასეთი წარწერა გავუკეთე გრიმას სახელით – „ისე წაკედი, „მშვიდობით“ ვერ გი“... აქ წყდება თხრობა. ამას მოსდევს სტრიქონი – „(მართო რევაზ ინანიშვილის გახსენებაც იკმარებდა!)“...

ცხადია, სტრიქონი „გაფრენილია“... ქალბატონმა ანამ ნახა, წიგნი მღუპარედ გასწია გვერდზე... ამ თემაზე აღარაფერი უთქვამს... აშკარად უსიამოვნო ხასიათზე დადგა... ნეტა არ მეთქვა-მეთქი, ვიფიქრე...

სხვათაშორის, ერთხელაც მინიატურაში გაპარული უზუსტობის შესახებაც შევბედე. აი, ეს მინიატურა (გვ. 316):

„გულს ხედავს უფალი“...

ნიკორწმინდის ტაძარში სანთლები დავანთეთ. ზურგს უკან მესმოდა, მსახური ქალი როგორ ეუბნებოდა ვილაცას: პირჯვარი, დედა, ასთე უნდა გადვიწეროთ – სამი მოწკეპული თითი (ბოროტი, რომელიც ყოველი ჩვენგანის გვერდით დგას, ვერ ჩავა შიგ, ისთე მაგრადაა ეს თითები ერთმანეთთან მიტყუპებული!) შუბლთან უნდა მიიტანო და თქვა: წმიდაო ღმერთო. – მერე უნდა მიიტანო თითები ღვთის სარტყელთან და თქვა: წმიდაო ძლიერო. – მერე მარცხენა მხარის კვინისთან და იტყვი: წმიდაო უკვდავო, – მერე მარჯვენა კვინისთან და იტყვი: შეგვიწყალე ჩვენ“...

ლაფსუსია-მეთქი დაშვებული – ჯერ მარჯვენა კვინისი უნდა-მეთქი და მერე – მარცხენა კვინისი... ვთქვი და ღიმილით შევხედე ქ-ნ ანას.

ქ-ნმა ანამ სერიოზულად მომისმინა, უხერხული ღუმილი ვიგრძენი და სხვა რამეზე გადავიტანეთ საუბარი...

2003 წელს გამომცემლობა „ინტელექტს“ შევთავაზე „მცირე პროზის“ სერიით გამოეცა ანა კალანდაძის პროზა. შემდგენელ-რედაქტორობა მე მთხოვა გამომცემლობის ხელმძღვანელმა კახმეგ კუდავამ. ეს მინიატურაც შევიტანე წიგნში (ანა კალანდაძე, „სიყვარულისაგან ფართოვდება ქვეყანა“, 2009 წ.) თავს უფლება მივეცი, ეს უზუსტობა გამესწორებინა (გვ. 17)...

„ყოფითი გამარჯვება“

2005 წლის 13 იანვარს ვესტუმრე. თარიღზე გაამახვილა ყურადღება და 13 რიცხვისადმი თავისი დადებითი დამოკიდებულება გამოხატა... „ჩანაწერებიდან“ მახსოვდა და შევახ-

სენე, ეს გიწერიათ-მეთქი — „რიცხვებიდან ძალიან მიყვარს 13, მასთან ჩემი ერთი დიდი გამარჯვებაა დაკავშირებული“ (33)...

— ჰოოო... — ცოტა გაგრძელებით თქვა და ჩაფიქრდა... ჩემი ცნობისმოყვარე მხერა რომ დაიჭირა (როგორც ჩანს, სახეზე ამოიკითხა — „რა გამარჯვებაზეა საუბარი?“), მცირე პაუზის შემდგომ დაამატა — „ეს ყოფითი გამარჯვება იყო“...

### იმედგაცრუება...

ქ-ნი ანა უხასიათოდ დაგვხვდა... მასპინძელი ცდილობდა არ შეემჩნია, მაგრამ ვერ ახერხებდა... მერე მოგვიბოდიშა. რალაც პირადი უსიამოვნება შემხვდა, თქვენ ცუდად არ გამოვითო...

არადა, ჩვენ ვიცოდით: „საბას“ პრემია განსაკუთრებული დამსახურებისათვის ქ-ნი ანასთვის უნდა მიეცათ (ასეთი ხმა გამოვიდა), წინა დღეს „აჯობეს“ და ეს პრემია სხვას მისცეს... ქ-ნი ანას გაისად მივცემთო — უთქვამთ ორგანიზატორებს... (მართლაც მიიღო მომდევნო წელს ქ-ნმა ანამ ეს ჯილდო...)...

იმედგაცრუება, თანაც არაპატიოსანი გზით, იყო გულისწყვეტის მიზეზი... ცხადია, ქ-ნი ანა ამას არ იმსახურებდა...

\* \* \*

2006 შემოდგომაზე ქ-ნი ანა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დისერტაციის დაცვაზე მიიწვიეს. მე შევთავაზე, მანქანით მოგაკითხავთ და წავიყვანთ-მეთქი. პარასკევი იყო — გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ გამოსვლის დღე. ბახტრიონის ქუჩაზე, ბუკიას ბაღთან, გაზეთების ჯიხური იდგა. ქ-ნმა ანამ მოსოვა, გამეჩერებინა მანქანა — ამ ჯიხურში „ლიტერატურულ საქართველოს“ მინახავენ და გამოვართმეო. ცხადია, ვუთხარი მე გადავალ-მეთქი; ფულს მოგცემო; ვავი-

ლიმე, როგორ გეკადრებათ-მეთქი და სწრაფად გადავედი... მივედი ჯიხურთან. მოვისინჯე ჯიბეები და... ვაზეთის ფული არ აღმომაჩნდა!... ნირწამხდარმა ვაზეთის გამყიდველ ქალბატონს აკუესენი, ქნმა ანამ ვაზეთზე გამომაგზავნა-მეთქი და თან ჩემა „გაჭირვება“ მივაყოლე; სვალ დილით მოგიტანთ-მეთქი ფულს... ქნმა ღიმილით შემომხედა, მომაწოდა ვაზეთი და „მინსნა ვაჭირვებისაგან“... მეორე დილით აღრიხანად მივაკითხე ჯიხურს...

ღისერტაციის დაცვა I კორპუსში იყო, მეორე სართულზე. 93-ე აუდიტორიაში... კიბეზე ჩვენს წინ პოეტი მ. ჯ. მიდიოდა. ქნი ანა რომ დაინახა, მობრუნდა, ღიმილით შემოეგება. ხელზე ეამბორა და მოიკითხა... ქალბატონმა ანამ ცივად დაუკრა თავი... გამიკვირდა...

შემდეგ ქალბატონ ანას ჩანაწერებში ამოვიკითხე (ადრე არ მიმიქცევია ყურადღება): ქნი ანა თავისი შემოქმედებითი წარსულის შესახებ საუბრობს და წერს: „ყოველივე ამის „წვრილად თხრობა“ იმდაც ჩავთვალე საჭიროდ, რომ მკითხველისადმი უფრო საჩინო ყოფილიყო ოთხ ათეულ წელს გაგრძელებული „მცირე მასშტაბის რეპრესიები“ და იქიდან გამომდინარე ის „კავშირი“, „ბოშა ქალსა“ და „ლენინის ქუღს“ შორის რომ არსებობს („ღმერთო ჩემო, რა კავშირი აქვთ ამ „ბოშა ქალსა“ და „ლენინის ქუღს“? – ბავშვური მიამიტობით კითხულობს ბატონი ჯგუბურია. მას მხედველობაში აქვს 1950 წელს ლენინზე დაწერილი ჩემი ლექსი)!“ (118)...

აი, თურმე რა ყოფილა...

### სტუმრობა

ერთ ზაფხულს (1999 წელი იყო) ქნი ანა შინ მესტუმრა ნაძალადეგში. მისაღები გამოცდების პერიოდი იყო და ერთ ფშაველ მეგობარს უთხოვია ჩემი გაცნობა – აბიტურიენ-

ტისათვის კონსულტაციები მთხოვა ქ-ნმა ანამ... კონსულტაციები გაგვიგრძელდა...

ბესიკ ჯორბენაძის წიგნი „პოეზიის ენა“ იყო ახალგაშობული და ვაჩუქე; ძალიან კეთილად და სინანულით გაიხსენა უფროოდ გარდაცვლილი კოლეგა...

ქ-ნი ანას სტუმრობა ოჯახისთვის მოვლენა იყო და დიასახლისმა – ნინომ – შეძლებისდაგვარად მოიწონა თავი...

ქ-ნმა ანამ შემდეგშიაც რამდენჯერმე გაიხსენა ეს ამბავი და თავს „იმართლებდა“ – ვერ ვუთხარი უარი, ვერ ვთქვი, არ ვიცნობო და შენც უხერხულ დღეში ჩაგაგდეო (მე, ცხადია, ღმერთს მადლობას ვწირავდი ამ ბედნიერი შემთხვევისათვის...)... ნინოს მასპინძლობასაც მადლობით იხსენებდა და ამიტომაც ამის შემდგომ ყველა ნაჩუქარ წიგნზე ასეთ წარწერას აკეთებდა – „ქ-ნ ნინოს და ბატ-ნ გოგის“... ან „ნინოს და გოგის“...

### წარწერა წიგნზე

2004 წლის 30 დეკემბერს ვესტუმრეთ ქ-ნ ანას (15 დეკემბერს დაბადების დღე პირადად ვერ მივულოცეთ, საიუბილეო საღამო იყო ოპერის თეატრში...); საიუბილეო თარიღი გვინდოდა მიგველოცა...

წამოსვლისას თავისი ახალი წიგნი გამოგვიტანა და წარწერის გაკეთება დაიწყო... თან თქვა:

– ზოგიერთმა ისეთი კარგი წარწერის გაკეთება იცის... მე კი არ გამოძღის...

– სამაგიეროდ ისინი თქვენნაირ ლექსებს ვერ წერენ!...  
– „დავამშვიდეთ“ ქ-ნი ანა.

ღიმილით შემოგვხედა...

წიგნს („ძვირფასი ავტოგრაფები“) ასეთი წარწერა გაუკეთა: „მრავალ ასალ წელს, მრავალ კალანდას  
ჯანმრთელად და ბედნიერად, ქ-ნო ნინო და ბატ-ნო გო-  
გი!

30. XII. 2004.“

### „თქვენ აგაშენათ ღმერთმა!...“

ზაფხული იყო. წინასწარ შევთანხმეთ შეხვედრა ქ-ნ ანასთან (ჟურნალისათვის „ბურჯი ეროვნებისა“ ინტერვიუ მსურდა ამელო...). მე და იოსები (ჭუმბურიძე) ვესტუმრეთ.

კარებზე ზარი დაერეკეთ.

— ვინ არის? — ქ-ნი ანას ხმა გვესმის კარს მიღმა.

— ჩვენ ვართ, ქ-ნო ანა...

— უი, თქვენ აგაშენათ ღმერთმა! — გამოგვძახა ქ-ნმა ანამ და კარი გაგვიღო; სიცილით შემოგვეგება და შეგვიპატიუა შინ...

ცოტა გაკვირვებულები ვართ — პასუხიც გვეუცხოვა („თქვენ აგაშენათ ღმერთმა“) და ასეთი მხიარული შეხვედრაც (ცხადია, პირველად არ ვსტუმრობდით ქ-ნ ანას)...

მოიხურა თუ არა კარი, დაიწყო:

— ანეგლოტი მითხრეს, ძალიან მომეწონა: კახელს ღამით კარზე დაუბრახუნეს. — ვინ არისო?... — გასძახა მასპინძელმა. — ყაჩაღები ვართო!... — თქვენ აგაშენათ ღმერთმა! მე სტუმრები მეგონეთო...

### ნაყინი

საჟურნალე ინტერვიუზე შევთანხმდით ქ-ნ ანასთან. პასუხის გასაცემად ერთი კვირა ითხოვა...

ქაღალტონი ანა გემასპინძლობს; ცივი ხილი მოგვართვა და „საოჯახო“ ნაყინი... ძალიან ცხელოდა და სიამოვნებით გეახე-

ლით ნაყინი... ქ-ნი ანა გვაძალებს, კიდევ გადაიღეთ, კიდევ გადაიღეთ... ყუთი გავანახვერეთ... ვისაუბრეთ, კითხვები დავტოვოთ და გამოვემშვიდობეთ... ერთი კვირის შემდეგ დავკვიბარა...

ვესტუმრეთ... გაუსაძლისი სიცხეა... ქ-ნმა ანამ დავგვსნა მაგიდასთან, მოგვართვა ცივი ხილი და „საოჯახო“ ნაყინი ნახვევრად სავსე ყუთით...

— როგორც ჩანს, ნაყინი ძალიან გიყვართ, ქ-ნო ანა, — ამას იოსები ეკითხება...

— ოჰ, არა! პირიქით, საერთოდ არ ვჭამ... ეს ის ნაყინია, თქვენ რომ მოგიტანეთ ამასწინათ... ვიფიქრე, კიდევ მოვლენ-მეთქი და შევინახე...

### „თუთა“

ქალბატონ ანას პირველად რომ ვესტუმრე შინ, საბურთალოს ქუჩაზე, ზაფხული იყო. აივანზე გასასვლელი კარი ღია იყო და თვალში მეცა თუთის ხე. თითქოს მთელ აივანს ფარავდა... სიმბოლურად მეჩვენა და შევნიშნე...

„ჯერ კიდევ ბევრი რამ რჩება ამქვეყნად ამოუხსნელი, ამოუცნობი და, ამდენად განუმარტავიც!“... — უყვარდა ქ-ნ ანას ამის გამეორება... ამ ამოუხსნელ და ამოუცნობ მოვლენათა რიგს განეკუთვნება „თბილისური თუთის“ ამბავიც: „როცა ამ ბინაში გადმოვედი, პირველივე წელს მეზობელმა მახარა, შენს აივანთან (II სართულზე ცნოვრობდა ქ-ნი ანა) თუთა „თავისით ამოსულაო“... გაიზარდა და „შემოვიდა აივანზე“...

ის თუთა კი, „ლამის სახლში რომ შემოიჭრა და ლამის წელზე რომ შემოხვია ხელი...“ — „გურული“ იყო: „თუთის ხე ჩემს შშობლიურ სოფელში, ხიდისთავში, იდგა ჩვენი ოდის წინ. ლექსის დაწერის უშუალო საბაბი კი ასეთი გახლდათ: სტუდენტობისას ერთ ზაფხულს ხიდისთავში არდადეგებზე ჩასული ავად გავხდი. ვიწექი... ლამით გამომეღვიძა და ძილგამკრთალს რატომღაც დიდხანს აღარ დამეძინა. ძალაუნებურად მივჩერებო-

დი ფანჯარას, რომელშიც მხოლოდ ვარსკვლავები ციმციმებდნენ და აივანს მომდგარი თუთა ილანდებოდა. გათენება ჯერ შორს იყო, მამლები არ ყიოდნენ. ფიქრებში წასულმა ვიგრძენი, რომ ჩემსა და თუთას შორის უხილავი ძაფი გაიბა..." (97).

მართლაც. „ჯერ კიდევ ბევრი რამ რჩება ამქვეყნად ამოუხსნელი“...

### „ბადრი მთვარე“

ქ-ნი ანა „საუბრებში“ საკმაოდ ვრცლად აღწერს იმ საღამოს, პირველი ლექსი რომ დაწერა:

„ზაფხულის ერთ საღამოს ბავშვები ჩვენი ძველებური ფართოაივანიანი ოდის წინ ეზოში ვისხედით და დიდი გულისყურით ვუსმენდით ფოცია მამიდას, რომელიც მშობლიურ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა თბილისის ერთ-ერთ საშუალო სკოლაში. იმ ზაფხულს ისიც ჩვენთან ერთად ისვენებდა. მოულოდნელად ჩვენი ყურადღება მიიპყრო საოცარმა ნათელმა, მათაა წვერებს რომ ეფინებოდა. მთვარე ამოდიოდა, საესე, ბადრი მთვარე! ბავშვები მოჯადოებულებივით შეეყურებდით ამ დიდებულ სურათს, ყურადღება გაგვეფანტა... მამიდამ იგრძნო: მშვენიერია არა? – გვკითხა და მეორე დღისთვის ყოველივე ამის აღწერა გვთხოვა.

დილისთვის ორსტროფიანი ლექსი მზად მქონდა. ლექსს, რა თქმა უნდა, „ბადრი მთვარე“ დავარქვი. მამიდამ დიდად გაიხარა, ლექსი მომიწონა და შინაურებსაც წაუკითხა. სიხარულით მეცხრე ცაზე ვიყავი მხოლოდ იმიტომ, რომ... დავალების შესრულება შევძელი და რომ მამიდას ვასიამოვნე. (...) მეხუთე კლასში ვიყავი, 11 წლისა, იდგა 1935 წელი...“ (41).

ეს ამბავი ზეპირადაც მიაშბო ერთხელ. ვთხოვე ქ-ნ ანას, ეთქვა პირველი ლექსი „ბადრი მთვარე“... – არაო, – თქვა ქ-ნმა ანამ და ჩაიციხა... ძალიან მაინტერესებდა და ერთხელაც

ისევ ჩამოვუგდე სიტყვა პირველ ლექსზე და ვკითხე: არ გასსოვთ-მეთქი?

შემომხედა, გაიცინა, — კი მახსოვსო, — მითხრა, — მაგრამ არ გეტყვიო...

### „ბიჭებმა გამიკეთეს“...

საუბარი ქ-ნი ანას ორტომეულზე ჩამოვადგეთ. ჩემს აღფრთოვანებას განსაკუთრებით მეორე ტომის მიმართ გამოვხატავდი... პროზაული ჩანაწერები ადრეც გამოუქვეყნებია, მაგრამ ეს ტომი მაინც სხვაა... (600 გვერდიანი ტომი! I ტომზე 200 გვერდით მეტია!)... — „ბიჭებმა გამიკეთეს!“... — ბრძანა ქ-ნმა ანამ. „ბიჭები“ ორტომეულის რედაქტორ-გამომცემლები კრიტიკოსი ჯანსუღ ღვინჯილია (გამომცემლობა „საქართველოს“ ღირექტორი) და პოეტი ვახტანგ ჯავახაძეა (გამომცემლობის მთავარი რედაქტორი)...

ბატონ ვახტანგს ვუამბე ეს. გაიხსენა: ერთტომეულს აპირებდა და მე დავითანხმე, პროზა ცალკე ტომად გამოგვეცა (ამ ტომში 30-ოდე გვერდი თარგმანებია)... იოლად არ დავთანხმებია ანაო... მე უშმტკიცებდი... ის ეჭვის თვალთ მიყურებდა და ბოლოს მითხრა, — იცოდე, „ატვეჩაი“ შენ იყავიო!... ორივენი ქუთაისლები ვართ და ვიცოდი, რასაც ნიშნავდა „ატვეჩაი“... ჰოდა, გამართლდა ჩემი მოლოდინიო, — ბრძანა ვახტანგ ჯავახაძემ...

ეს ის გამოცემაა, მძიმე და ორი წერტილი (...) სამი წერტილით რომ შეაცვლევინა ბატონმა ვახტანგმა ქ-ნ ანას და რასაც შემდეგ ნანობდა რედაქტორი...

### ოქროყანაში...

გასული საუკუნის 80-იან წლების დასაწყისში ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილებამ გაას-

რულა მუშაობა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ერთტომეულზე (გამოიცა 1986 წელს). ზაფხული იყო. ბატონი არნოლდ ჩიქობავა ოქროყანაში ისვენებდა. შემოქმედებითმა ჯგუფმა გადაწყვიტა, ოქროყანაში სტუმრებოდა ბატონ არნოლდს და მიელოცათ მისთვის ერთტომეულის დასრულება. მე ფოტოგრაფიით ვიყავი გატაცებული და მთხოვეს, მათთან ერთად წავსულიყავი ოქროყანაში და სურათები გადაგველო... მე და ავთანდილ არაბული ვფოტოგრაფობდით... კინოაპარატიც წავილე და ეს შეხვედრა კინოფირზეც აღვბეჭდე...

სურათები დავბეჭდე და მივართვი ლექსიკოლოგებს; გავუგზავნეთ ბატონ არნოლდსაც...

იმჟამად ენათმეცნიერების ინსტიტუტი ჯაფარიძის ქუჩაზე იყო ერთ ძველ შენობაში განთავსებული; ჩვენი ტრადიციული შენობიდან (ძერჟინსკის 8; ამჟამად პ. ინგოროყვას ქუჩა) ახალი „გასახლებული“ ვიყავით — კომპარტიის ცკ-თან არსებულმა პარტკომისიამ მოისურვა ასე!...

ქალბატონ ანას ოქროყანის სურათები რომ მივართვი, მთხოვა, ენათმეცნიერების ინსტიტუტის ტრადიციული შენობისთვის სურათი გამემლო და მიმეტანა მისთვის, — „ძალიან მიყვარს ის შენობაო...“

რა თქმა უნდა, თხოვნა შევუსრულე...

1989 წელს ენათმეცნიერების ინსტიტუტს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის, შუამდგომლობით დაუბრუნდა თავისი ისტორიული შენობა პავლე ინგოროყვას ქუჩაზე, 8 ნომერში... აჰ, მეორე სართულზე, ერთ დიდ ოთახში, ფანჯარასთან, იდგა უბრალო მაგიდა, ქალბატონ ანას მაგიდა... იმ მაგიდასთან დღეს ანა კალანდაძის სურათი კიდია და მაგიდაზე დგას პატარა ლარნაკი — ყვავილებისათვის...

## უმისამართო წერილი

2006 წლის შემოდგომაზე ვესტუმრე ქ-ნ ანას. საუნივერსიტეტო პროტესტის ძირითადი ტალღა გადავლილი იყო. ქ-ნ ანას აინტერესებს უნივერსიტეტის ამბები... ცოტა იუმორის შემოტანა ვცადე საუბარში, — ამ მოვლენებმა „ნამეტანი პოპულარული“ გამხადეს-მეთქი; პროკურატურასა და სასამართლოში რომ მიბარებდნენ, უწყებაზე მისამართი არ იყო მითითებული, მხოლოდ სახელ-გვარი ეწერა — „გიორგი გოგოლაშვილს“-მეთქი...

ქალბატონი ანა იცინის და ელენე ახვლედიანის მიერ მისდამი მიწერილი წერილის შესახებ მიაძვობს... (ამ ამბავსაც II ტომიდან დავიმოწმებ): ელენე ახვლედიანმა „ჩემი დაბადების 50 წლისთავზე დამირეკა და საპატიო ნიშნის ორდენის მიღება მომილოცა: გამარჯობა, ორდენოსანო! რომ იცოდე, როგორი საძაგელი ვიღაცა ხარ! მოსალოცი ბარათი გამომიგზავნე, მაგრამ მისამართი დამავიწყა, მარტო „თბილისი“ და შენი სახელ-გვარი დავაწერე კონვერტს. ეგრევე ჩააგდეს ყუთში. არა უშავს, მოვივა. საზღვარგარეთ რიხტერს გავუგზავნე მისალოცი ტელეგრამა უმისამართოდ და მიიღო, „დამაიმედა“...

ქ-ნი ანა „თავს იმართლებს“: რადგანაც რიხტერი არ გახლდით, მის მეგობარ ქალს, როგორც შემდეგ თავად მიაძვო, კონვერტი „ეგრევე არ ჩაუგდია“ საფოსტო ყუთში, მისამართი გაუგია და ჩაუწერია დატოვებულ ადგილზე. კონვერტზე ორი სხვადასხვა ხელი იმთავითვე მოგხვდებოდათ თვალში“...

... კათალიკოს-პატრიარქს, ილია მეორეს, უთქვამს ერთ-ერთ ქადაგებაში: „თავმდაბლობა ღმერთის შესამოსელია“...

## „ჭკუა მაინც ვერ ვისწავლე“...

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქ-ნი ანასთავის ძალიან ძვირფასი იყო... უნივერსიტეტი და ენათმეცნიერების ინსტიტუტი...

როგორც აღვნიშნე, 2005-2006 წლებში უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებს ყურადღებით ადევნებდა თვალს... როცა შევხვდებოდი, გულდასმით გამომკითხავდა, რა ხდებოდა; მეც ვცდილობდი ობიექტურად მომეთხრო მოვლენათა მიმდინარეობა... აღშფოთებული იყო უნივერსიტეტში პოლიციის შემოსვლით და ავთანდილ არაბულისა და ჩემი გასამართლებით... თქვენ ძალიან აქტიური ხართო, – მითხრა... იუმორის შემოტანა ვცადე საუბარში და ნინოს (ჩემი მეუღლის) ნათქვამი საყვედური გავიხსენე: ყველგან შენ უნდა გამოჩნდე, ყველაფერი შენ უნდა თქვაო...

ქალბატონ ანას გაელიმა და ბატონი არნოლდის ნათქვამი გაიხსენა – „ჭკუა მაინც ვერ ვისწავლეო“... იმდენად საინტერესო ფაქტი მგონია, ამ ჩანაწერს – არნოლდ ჩიქობავას ნაამბობს – მოვიხმობ ქ-ნი ანას მეორე ტომიდან:

„იულონ აბესაძემ (პროტოიერი იყო) ერთ ჩვენგანს ჰკითხა (მესუთე კლასში ვიყავით): რას ნიშნავს „წმინდა გული“ მასწარებლის ამ ნათქვამში: „ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“... კარგი, ნიჭიერი ბიჭი იყო, არ დაიბნა და უთხრა: „წმინდა გული“ იმას ნიშნავს, მხოლოდ იმას რომ იტყვი, რასაც ფიქრობო. აბესაძეს გაეცინა – Это же дурак?! რამდენი დრო გავიდა მას მერე და ახლაც ცხადად მასსოვს, ჭკუა კი ვერ ვისწავლე!“

ძნელია, როგორც ჩანს, „ჭკუის სწავლა“...

## სოლომონ დოდაშვილის საფლავთან...

ქალბატონი ანა და მისი ძმის, ზურაბის, ოჯახი საბურთალოს ქუჩაზე ერთ სართულზე (II სართულზე), ორ ბინაში ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ. როდესაც ვესტუმრობოდი, ქალბატონი ანა გვეტყოდა, სამსახურიდან მოდიხართ, მშვიერი იქნებით... მე კი არა მაქვს რამე, მაგრამ თინას აქვს სადილიო... ქ-ნი თინა ყანდარელი – ქალბატონი ანას რძალია...

ქალბატონი თინა გვიამბობს:

ანას საძინებელში არ შევდიოდი... როცა გარდაიცვალა, მაშინ შევედი. სასთუმალთან სოლომონ დოდაშვილის წიგნი ედო გადაშლილი. როგორც ჩანს, ბოლოს ამ წიგნს კითხულობდაო... ცხადია, სოლომონ დოდაშვილის „თხზულებანი“ ქალბატონი ანას სამაგიდო წიგნი არ ყოფილა (სამაგიდო წიგნებს ჩამოთვლის ერთგან...)

ქ-ნი თინა ამას მთაწმინდაზე გვიამბობდა, ქ-ნი ანას საფლავთან...

ქალბატონი ანა მთაწმინდის პანთეონში სოლომონ დოდაშვილის გვერდით არის დაკრძალული...

მართლაც, „ჯერ კიდევ, ბევრი რამ რჩება ამქვეყნად ამოუხსნელი, ამოუცნობი და ამდენად – განუმარტავი“!

## დაშიფრული ჩანაწერები

ქალბატონი ანა 2008 წლის 11 მარტს გარდაიცვალა.

როცა გადაწყდა მისი პროზაული ჩანაწერების „მცირე პროზის“ სერიით გამოცემა (გამომცემლობა „ინტელექტი“, საგამომცემლო პროექტის ავტორი კახმეგ კუდავა). წიგნს ერთ-ერთი მინიატურის სათაური შევეურჩიე – „სიყვარულისაგან ფართოვდება ქვეყანა“. მე, როგორც იდეის ავტორმა და კრებულის შემდგენელ-რედაქტორმა, ოჯახისაგან ნებართვა ავიღე და მერე გამოცემული წიგნი მივართვი ქ-ნი ანას ოჯახს...

ძალიან ძნელი იყო ქ-ნი ანას შემდეგ მის ოჯახში მისვლა... კარგა ხანს ვისაუბრეთ ქალბატონ თინა ყანდარელთან და ქეთი კალანდაძესთან (ქ-ნი ანას ძმიშვილთან)...

გამოუქვეყნებელი ჩანაწერებით დავინტერესდი... როგორც მოსალოდნელი იყო, ჩანაწერები მრავლად არისო...

ქ-ნი თინა ბრძანებს, ზოგი მათგანი „დაშიფრულია“, ანუ იყო ისეთი ჩანაწერები, რომლებსაც ქ-ნი ანა „თავისთვის“ წერდა... – მე შეეძელი ამ დაშიფრული ჩანაწერების წაკითხვაო, – ბრძანა ქალბატონმა თინამ და ორიოდე „დაშიფრული“ ჩანაწერი მიამბო:

შუალამისას გურამ დოჩანაშვილმა დამირეკა. ნასვამი ჩანდა. დიდხანს მესაუბრა... მიმტკიცებდა, თქვენ არავის არ ჰგავხართო, ყველას აქვს სქოლიო; შენ ლექსებს სქოლიო არა აქვსო...

მეორე ჩანაწერი ასე მახსოვს: სამედიცინო უნივერსიტეტში ფილოსოფოს დავით გეგეშიძეს ლექციაზე უთქვამს: საქართველოში ნიკორწმინდის ორი ტაძარია – რაჭასა და გალაკტიონის პოეზიაში; დავით აღმაშენებლის ორი საფლავია – გელათში და ანა კალანდაძის პოეზიაშიო...

... ალბათ რამდენ საინტერესო ჩანაწერს ინახავს გამოუქვეყნებელი ხელნაწერები...

(სერიისათვის – „ენა და მწერალი“)

„ენა მწერლის ბალავარია, მისი უმთავრესი იარაღია. ენის უცოდინარი მწერალი სამფეხა ცხენსა ჰკავს, გენიოსიც რომ იყოს, ვერც გაიტყვევს და ვერც დაიძვრება.“ – წერს მიხეილ ჯავახიშვილი. – ეს არის ალბათ ყველაზე ზუსტი პასუხი კითხვაზე: რა არის ენა მწერლისათვის?

მრავალი აზრის მოშველიება შეგვიძლია ამ კითხვის პასუხად... ვაჟა-ფშაველას მოვეუსმინოთ:

„ენა სახეა მწერლისა. მისი ფიზიონომიაა და. უკეთესად რომ ვსთქვათ, – მწერლის სულია; ენაში იმალება მწერლის ინდივიდუალობა, მისი „მე“. ამიტომ ნიჭიერი მწერლის ნაწარმოები თუ ერთი-ორი რამ წავიკითხავთ წინად, შეძლებს ხელმოუწერელიც რომ შეგხვდეთ. ადვილად იცნობთ, ვის კალამსაც ეკუთვნის.“ ენაში „უხილავად ჩაქსოვილია მიუღი მისი (მწერლის – ვ. ვ.) სულიერი სიცოცხლე. ავლადილება.“

სხვაც შეიძლებოდა... წინასიტყვისთვის ეს ვიკმართ... სხვა ცალკეულ მწერალთა შესახებ როცა ვისაუბრებთ, მაშინ ვთქვათ...

ღიას. ამ სერიაში ვაპირებთ ქართველ კლასიკოს მწერალთა შესახებ ვისაუბროთ...

ანუ: რას აძლევს ენა მწერალს და რას აძლევს მწერალი ენას?... რაში გამოიხატება მწერლის ენობრივი თავისებურება?... და სხვა...

ვისაუბრებთ ენობრივ საკითხებზე; თუმცა არა მხოლოდ ენობრივზე... შევეცდებით მწერლის ჩვენული პორტრეტიც შევქნათ... სერიის სათაური – ენა და მწერალი – ამითაც გვგონია გამართლებული...

ვიწყებთ დავით კლდიაშვილით...

დიდი დავით კლდიაშვილით...

მერე მუხრან მაჭავარიანი...

ანა კალანდაძე...

და სხვა.

\* წიგნიდან: „ენა და მწერალი. – „შეგნებით სავსე ქართული“ (ფიქრები დავით კლდიაშვილზე)“, 2019.

ՅՈՒՆԵՍԿՕ-ՅՈՒՆԵՍԿՕ

ՅՈՒՆԵՍԿՕ-ՅՈՒՆԵՍԿՕ-ԵՎ ԵՎՐՈՊԱԿԱՆ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ (1992 թ.), ԵՎՐՈՊԱԿԱՆ (1994 թ.)

Հունիսի 1948 թվականի 24 աշուն ևայ. կրթիչներ (չորհրդեր)։ Կրթ. զարգացում  
կրթչու։ 1966 թվականի զարգացումից հետո ևայ. կրթչու 27-11 կրթչու։  
1971 թվական - ԵՎՐՈՊԱԿԱՆ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ  
ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ

1975 թվականի միջոցով ԵՎՐՈՊԱԿԱՆ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ  
ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ, ԵՎՐՈՊԱԿԱՆ, ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ, ԿՐԹԱԿՐԱՆԻ  
ԿՐԹԱԿՐԱՆԻ; ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ

1978 թվականի միջոցով ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ  
ԿՐԹԱԿՐԱՆԻ (ԿՐԹԱԿՐԱՆԻ), ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ, ԿՐԹԱԿՐԱՆԻ  
ԿՐԹԱԿՐԱՆԻ, ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ; ԿՐԹԱԿՐԱՆԻ  
ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ

ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ  
ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ (ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ)

ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ „ԿՐԹԱԿՐԱՆԻ  
ԿՐԹԱԿՐԱՆԻ“ (1994-2006 թվական)։ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ  
ԿՐԹԱԿՐԱՆԻ „ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ“, „ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ  
ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ“, „ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ“;  
ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ  
ԿՐԹԱԿՐԱՆԻ, ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ; ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ  
ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ

ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ  
ԿՐԹԱԿՐԱՆԻ; ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ  
ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ; ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ  
ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ ԿՐԹԱԿՐԱՆԻ...

- 2005 թվական չտպագրված ալբոմ շոգենմուզեան միջոցառում («միջազգային  
 ևսխմանումնի ջանադրանքնա ջանադրանքնա»);
- 2012 թվական մոնոգրաֆն ուսում քաղաքնա ևսխմանումնա մոնոգրաֆն - «ևսխմանումնա» -  
 («միջանդանդնա միջանդանդնա ջանադրանքնա միջանդանդնա իրադրանքնա-  
 տուն»);
- 2013 թվական մոնոգրաֆն մանուկնա ևսխմանումնա ևսխմանումնա մոնոգրաֆն  
 (իրադրանքնա: «խանդանդնա միջանդանդնա», «մանուկնա իրադրանքնա իրա  
 մանուկնա», «խանդանդնա ևսխմանումնա իրա - մանուկնա ջան  
 մանուկնա»);
- 2015 թվական մոնոգրաֆն ալբոմ շոգենմուզեան ևսխմանումնա ևսխմանումնա մոնոգրաֆն  
 (իրադրանքնա: «ևսխմանումնա ալբոմնա», «խանդանդնա ևսխմանումնա իրա  
 - ևսխմանումնա», «խանդանդնա - ևսխմանումնա ևսխմանումնա ջան ջանադրանքնա  
 իրա»);
- 2018 թվական չտպագրված ուսում քաղաքնա միջոցառում (ևսխմանումնա 70  
 իրադրանքնա)...
- ...ևսխմանումնա ջանադրանքնա...

